შლამის მართვა და გადამუშავება	არ არის მკაფიო რეგულაციები ლამის მართვასთან დაკავშირებით	ევროკავშირის დირექტივა 86/278/EEC შლამის შესახებ	ევროკავშირის შლამის მართვის პრინციპი (გადამუშავება მანამდე სანამ შესაძლებებლია) იქნება გამოყენებული

ეროვნული მიდგომა და გსზშ მოთხოვნები ასვე იქნა შეფასებული და მოიცავს:

- პროექტის კატეგორიზაცია
- დამტკიცების პროცედურა

პროცედურა აღწერილია ზემოთ. ეს პროცესი საერთაშორია მიმდინარეობს დამოუკიდებლად საერთაშორისო გარემოსდაცვისა და სოციალური ზემოქმედების შეფასება .

4. პროექტის აღწერა

პროექტის მიზნები

პროექტის მიზანია აჭარის ამ დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების არინების და წმენდის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მომსახურების ხელმისაწვდომობის, მდგრადობის და საიმედოობის მხრივ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუმჯობესდება ნახევრად ურბანული დასახლებების და სოფლების მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემცირდება სიღარიბე, რაც ხელს შეუწყობს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვას. ეს პროექტი წარმოადგენს საქართველოს კომუნალური ინფრასტრუქტურის პროგრამას, რომელიც აქამდე მხოლოდ ბათუმით და მისი მიმდებარე მუნიციპალიტეტებით შემოიფარგლებოდა.

ლოტ-1 დაგეგმილი ქვეპროექტები

ლოტ-1 დაგეგმილი ქვეპროექტები 5 მუნიციპალიტეტის (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის) დაბებსა და სოფლებს მოიცავს. ყველა ამ მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების და წყალარინების ცენტრალური სისტემები რეაბილიტირებული იქნება კონკრეტული მუნიციპალიტეტის საჭიროებების შესაბამისად.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში აუცილებელია სისტემების რეაბილიტაცია და გამოცვლა, ზოგიერთში საჭიროა ასევე ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ქვემოთ მუნიციპალიტეტების მიხედვით არის აღწერილი ეს სამუშაოები და წარმოდგენილია ვიზუალური მასალა.

ლოტ-1 საწყისი ანგარიშის(7) მონაცემების მიხედვით, დაბებში წყალმომარაგების/წყალარინების და გამწმენდი ნაგებობების გასაუმჯობესებლად დაგეგმილია ქვემოთ ჩამოთვლილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

როგორც სს „აჭარის წყლის ალიანსთან“ 2020 წლის 14 მაისს ჩატარებულ შეხვედრაზე იქნა შეთანხებული ამ ჩამონათვალში არ არის გათვალისწინებული გზების რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოები.

4.1.1 ხულოს მუნიციპალიტეტი :

ხულოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

ცხრილი 13 ლოტ-1 დაგეგმილი ქვეპროექტები: ხულოს მუნიციპალიტეტი

წყალმომარაგება
ა. გამანაწილებელი ქსელის (დაბაში) მშენებლობა, ჰიდრანტების, რედუქციული სარქველების და სახლების დაერთებების ჩათვლით;
ბ. სასმელი წყლის რეზერვუარების მშენებლობა და რეაბილიტაცია;
გ. წყალამღებების მშენებლობა სასმელი წყლისთვის;

დ.	გადამცემი მაგისტრალების რეაბილიტაცია ახალი რეზერვუარიდან ხულოს დაბაში;
ე.	გადამცემი მაგისტრალები წყალამღებიდან არსებული „ახალი რეზერვუარისკენ“
ვ.	ახალი წყალგამწმენდი ნაგებობა და
ზ.	წყალსაცავის მშენებლობა
წყალარინება და ჩამდინარე წყლების წმენდა	
ა.	წყალარინების მთელი ქსელის რეკონსტრუქცია და გაგრძელება დაბის ტერიტორიაზე სახლების დაერთებების ჩათვლით.
ბ.	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (ფეკალური შლამის წმენდის ჩათვლით).
სხვადასხვა სამუშაოები	
a.	დაბაში ახალი საწყობის მშენებლობა ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის აღჭურვილობის შესანახად (მე-2 ლოტის სპეციფიკაციების, პროექტის და ადგილის შესაბამისად).

ქვემოთ სურათზე წარმოდგენილია პროექტის ფართობი (მარცხნივ: WS, მარჯვნივ WW). კონკრეტული ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებში მოცემული იქნება უკეთესი რეზოლუციის და უფრო დიდი მასშტაბის რუკები.:

გამოსახულება 6 ხულოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი წყალმომარაგების სისტემები და ჩამდინარე წყლების წმენდის ნაგებობები



4.1.2 შუახევის მუნიციპალიტეტი:

შუახევის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

ცხრილი 14 ლოტ-1 დაგეგმილი ქვეპროექტები: შუახევის მუნიციპალიტეტი

წყალმომარაგება
ა. გამანაწილებელი ქსელის (საშუალო და მაღალი დაწნევის ზონები) რეკონსტრუქცია, სახლების დაერთებების ჩათვლით.
ბ. გამანაწილებელი ქსელის (დაბალი დაწნევის ზონა) რეკონსტრუქცია, სახლების დაერთებების ჩათვლით.
გ. გამანაწილებელი ქსელის (შორეული ზონა) რეკონსტრუქცია, სახლების დაერთებების ჩათვლით.
დ. სხეფელას რეზერვუარის რეაბილიტაცია; ოთხამელის რეზერვუარის ნგრევა; მცირე სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია (ოთხამელის რეზერვუარის ადგილას);
ე. სასმელი წყლის ორი რეზერვუარის რეაბილიტაცია - შორეული ზონა (კოლოშნარი და გორხანაული);
ვ. დღვანის წყალამღების აღდგენა და გადამცემი მაგისტრალის რემონტი;
ზ. ღომას წყაროების რეაბილიტაცია და გადამცემი მაგისტრალის დიდი მონაკვეთების აღდგენა;
თ. შორეულ ზონაში გადამცემი მაგისტრალის აღდგენა (მდინარის გადაკვეთის ჩათვლით);
ი. დღვანის გამწმენდი ნაგებობის აღდგენა; სამოლეთის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია.
წყალარინება და ჩამდინარე წყლების გაწმენდა
ა. წყალარინების მთელი ქსელის აღდგენა და გაგრძელება. დაახლოებით 4კმ ქსელის მოწყობა დაბაში, სახლების დაერთებების ჩათვლით;
ბ. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ორი მცირე ნაგებობის მშენებლობა, ფეკალური შლამის გამწმენდი ერთი სისტემის ჩათვლით..
სხვადასხვა სამუშაოები
ა. დაბაში ახალი საწყობის მშენებლობა ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის აღჭურვილობის შესანახად (მე-2 ლოტის სპეციფიკაციების, პროექტის და ადგილის შესაბამისად).

ქვემოთ სურათებზე წარმოდგენილია პროექტის ფართობი (მარცხნივ: წყალმომარაგება, მარჯვნივ წყალარინება):

გამოსახულება 7 შუახევის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი წყალმომარაგების სისტემები და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები





4.1.3 ქედის მუნიციპალიტეტი

ქედის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

ცხრილი 15 ლოტ-1 დაგეგმილი ქვეპროექტები: ქედის მუნიციპალიტეტი

წყალმომარაგება	
ა.	გამანაწილებელი ქსელის (KE_1) აღდგენა, სახლების დაერთებების ჩათვლით
ბ.	გამანაწილებელი ქსელის (KE 2) აღდგენა, სახლების დაერთებების ჩათვლით
გ.	ღარათის რეზერვუარის რეაბილიტაცია; შევაბურის რეზერვუარის აღდგენა;
დ.	ღარათის წყალამღებების აღდგენა და გადამცემი მაგისტრალის რემონტი;
ე.	შევაბურის წყაროს რეაბილიტაცია და გადამცემი მაგისტრალის მონაკვეთების აღდგენა;
ვ.	ღარათის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია.
g.	ღარათის წყალმიმღებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (12 კმ)
წყალარინება და ჩამდინარე წყლების წმენდა	
ა.	წყალარინების მთელი ქსელის რეაბილიტაცია და გაგრძელება (სულ დაახლოებით 8კმ) დაბაში და სახლების დაერთებები;
ბ.	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ოთხი მცირე ნაგებობის რემონტი, ფეკალური შლამის გამწმენდი ერთი სისტემის ჩათვლით.
სხვადასხვა სამუშაოები	
a.	დაბაში ახალი საწყობის მშენებლობა ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის აღჭურვილობის შესანახად.

ქვემოთ სურათებზე წარმოდგენილია პროექტის ფართობი (მარცხნივ: წყალმომარაგება, მარჯვნივ წყალარინება:

გამოსახულება 8 ქედის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი წყალმომარაგების სისტემები და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები





4.1.4 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება::

ცხრილი 16 ლოტ-1 დაგეგმილი ქვეპროექტები: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

წყალმომარაგება
ა. გამანაწილებელი ქსელის (KHE_1 Erge) აღდგენა, სახლების დაერთებების ჩათვლით
ბ. გამანაწილებელი ქსელის (KHE_2 Lower Jocho) აღდგენა, სახლების დაერთებების ჩათვლით
გ. ახალი გამანაწილებელი ქსელის (KHE_3 Higher Jocho) მშენებლობა, სახლების დაერთებების ჩათვლითd.
დ. სასმელი წყლის რეზერვუარების მშენებლობა: ახალი ერგეს, ბაშკო-ეკალაურის, ზემო ჯოჭოს დასავლეთის და აღმოსავლეთი და წიფნარას რეზერვუარები.
ე. ზემო ჯოჭოში ახალი წყალამღების, ახალი გამწმენდი ნაგებობის და რამდენიმე გადამცემი მაგისტრალის მშენებლობა;
ვ. ახალი გამანაწილებელი ქსელის (KHE_3 Higher Jocho) მშენებლობა, სახლების დაერთებების ჩათვლით.
ზ. სასმელი წყლის რეზერვუარების მშენებლობა: ახალი ერგეს, ბაშკო-ეკალაურის, ზემო ჯოჭოს დასავლეთის და აღმოსავლეთი და წიფნარას რეზერვუარები.
თ. ზემო ჯოჭოში ახალი წყალამღების, ახალი გამწმენდი ნაგებობის და რამდენიმე გადამცემი მაგისტრალის მშენებლობა;

ი.	ბაშკო-ეკალაურის წყალამღებების და გადამცემი მაგისტრალის მონაკვეთების აღდგენა; რეზერვუარის ტერიტორიაზე ახალი წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
კ.	წიფნარას და ქვემო ჯოჭოს წყაროების და წყალამღებების რეაბილიტაცია; ჯოჭოს გადამცემი მაგისტრალის აღდგენა.
წყალარინება და ჩამდინარე წყლების წმენდა	
a.	დაახლოებით 1000 შიდასანიტარული ობიექტის (სეპტიკური ავზის და ფილტრაციული ინფრასტრუქტურის) მოწყობა. დასახლების სტრუქტურიდან გამომდინარე, წყალარინების ცენტრალიზებული სისტემა არაპრაქტიკულია. იგივე კონცეფიცა იქნა გამოყენებული მე-2 ლოტისთვის
სხვადასხვა სამუშაოები	
a.	დაბაში ახალი საწყობის მშენებლობა ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის აღჭურვილობის შესანახად (მე-2 ლოტის სპეციფიკაციების, პროექტის და ადგილის შესაბამისად).

ქვემოთ სურათებზე წარმოდგენილია პროექტის ფართობი (მარცხნივ: წყალმომარაგება, მარჯვნივ წყალარინება):

გამოსახულება 9 ხელვაჩაურის (ერგე და ჯოჭო) წყალმომარაგება და შიდასანიტარული ობიექტები





4.1.5 ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

ცხრილი 17 ლოტ-1 დაგეგმილი ქვეპროექტები: ქობულეთის მუნიციპალიტეტი

წყალმომარაგება
ა. დაბის სახლების დაერთებების აღდგენა მრიცხველების ჩათვლით;
ბ. დაბის მიწისქვეშა რეზერვუარის აღდგენა; დაბის აწეული რეზერვუარის აღდგენა.
გ. 2 შუალედური სატუმბი სადგურის აშენება დაბის გამანაწილებელ ქსელზე (დასაზუსტებელია ტოპოგრაფიული მონაცემების მიხედვით);
დ. სოფელ ჯიხანჯურის 3 რეზერვუარის (ლიმონტრესტი, ჯიხანჯური 1 და ჯიხანჯური 2) აღდგენა; 1 რეზერვუარის (ჯიხანჯური 3) რეაბილიტაცია;
ე. დაბის წყალმომარაგების სამუშაოები (ახალი ჭაბურღილები, სატუმბი სადგურები და გადამცემი მაგისტრალი) (საცდელი ბურღვის შედეგების მიხედვით);

ვ.	ჯიხანჯურის სოფლების წყალმომარაგების სამუშაოები (ახალი ჭაბურღილები, სატუმბი სადგურები და გადამცემი მაგისტრალი) (საცდელი ბურღვის შედეგების მიხედვით).
წყალარინება და ჩამდინარე წყლების წმენდა	
ა.	წყალარინების მთელი ქსელის რეაბილიტაცია და გაგრძელება (სულ დაახლოებით 7კმ) დაბაში და სახლების დაერთებები;
ბ.	ჩამდინარე წყლების გამწმენდი 5 ნაგებობის მშენებლობა.
სხვადასხვა სამუშაოები	
ა.	დაბაში ახალი საწყობის მშენებლობა ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის აღჭურვილობის შესანახად (მე-2 ლოტის სპეციფიკაციების, პროექტის და ადგილის შესაბამისად).

ქვემოთ სურათებზე წარმოდგენილია პროექტის ფართობი (მარცხნივ: წყალმომარაგება, მარჯვნივ წყალარინება):

გამოსახულება 10 ქობულეთის (ოჩხამურის) წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების წმენდა



კონკრეტული ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებში მოცემულია დაგეგმილი სამუშაოების უფრო დეტალური აღწერა და დამატებითი რუკები..

4.2 ლოტი 2-ის დაგეგმილი ქვეპროექტები

რაც შეეხება ლოტი 2-ის ინვესტიციებს, შედარებით მცირე მასშტაბის და მნიშვნელოვნად უფრო დიდი რაოდენობით ინვესტიციების გამო, ლოტი 2-ის დაგეგმილ ქვეპროექტებთან დაკავშირებით სიტუაცია ამ ეტაპზე შესაძლოა მკაფიოდ არ იყოს განსაზღვრული. ინვესტიციების საბოლოო ჩამონათვალი დამოკიდებული იქნება ყველა საველე ვიზიტის შედეგზე, ადგილობრივი ჩართული მხარეებისგან მიღებულ განაცხადის ფორმებზე, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან გახდნენ პროგრამის ბენეფიციარები, და უფლებამოსილების შეფასების შედეგებზე, მათ შორის, საწყისი პროექტის ტექნიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე (5).

ამ დრომდე განხორციელებული საქმიანობებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოთხოვნა ინვესტიციებზე და რეგიონში არსებული რეალური საჭიროებები აჭარბებს პროგრამის ამ ეტაპისთვის არსებულ საინვესტიციო სახსრებს. შედეგად, პროგრამას ექნება ინვესტიციების გონივრულად განხორციელების გამოწვევა, რათა დიდი გავლენა მოახდინოს აჭარის სოფლის მაცხოვრებელთა ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე.

შეჯამებულია კონსულტანტის მიერ გაკეთებული წინასწარი ვარაუდები და გამოთვლები. ინვესტიციების მოცულობის შესახებ საბოლოო შედეგები განისაზღვრება მხოლოდ საბოლოო პროექტის მომზადების შემდეგ. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსახორციელებელი სამუშაოების კარგად შესაფასებლად, წყალმომარაგების შემოთავაზებულ კონცეფციაზე, რეგიონის ცოდნის და საველე ვიზიტების შედეგებზე დაყრდნობით.

4.2.1 წყალმიმღები ობიექტები და სამარაგე ავზები

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია წყალმიმღებებისა და სამარაგე ავზების რაოდენობები. ინვესტიციების მიმოხილვისას, მიჩნეულია, რომ სოფლების მცირე ზომისა და წყლის კარგი ხალმისაწვდომობის გამო სისტემაში ჩართული იქნება წყლის ერთი წყარო. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია წყალმომარაგების სისტემაში ერთზე მეტი წყაროს ჩართვა, მაგრამ მისი მიზანშეწონილობის დასადასტურებლად, ჩატარდება ტექნიკური და ფინანსური ანალიზი.

ცხრილი 18 მუნიციპალიტეტის მიხედვით სამარაგე ავზების მოსალოდნელი რაოდენობა და მოცულობა

მუნიციპალიტეტი	წყალმიმღებების რაოდენობა	რეზერვუარების მოცულობების მოსალოდნელი პროცენტულობა (%)					
		30 მ³	50 მ³	100 მ³	200 მ³	300 მ³	500 მ³
ხელვაჩაური	1	15	35	50	0	0	0
ქობულეთი	2	0	40	50	10	0	0
ქედა	3	10	50	40	0	0	0
შუახევი	9	10	50	40	0	0	0
ხულო	10	10	40	50	0	0	0

4.2.2 გადამცემი მაგისტრალები (TM)

პოტენციურ სოფლებში საველე ვიზიტების საფუძველზე, თითოეული მუნიციპალიტეტისთვის განისაზღვრა სავარაუდო მანძილი წყლის შესაძლო წყაროდან სამარაგე ავზებამდე. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, გადამცემი მაგისტრალი აღწევს მთავარ სამარაგე ავზამდე, განაგრძობს მას შემდეგ, რათა მოამარაგოს სოფლის მაღალ ტერიტორიებზე არსებული სახლები, რითაც განსაზღვრავს სხვადასხვა წნევის ზონას ერთი და იგივე სოფლისთვის. ამ შემთხვევებში, მაღალ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები,

პირდაპირ დაუკავშირდება წნევის შემამცირებელ კამერებს გადამცემი მაგისტრალის გავლით.

ცხრილი 19 გადამცემი მაგისტრალის საშუალო სიგრძე მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	გადამცემი მაგისტრალის საშუალო სიგრძე (მ)	გადამცემი მაგისტრალის საშუალო სიგრძე სოფელში(მ)-წნევის ზონები	გადამცემი მაგისტრალის მთლიანი სიგრძე (მ)
ხელვაჩაური	2.500	750	2.250
ქობულეთი	1.750	750	2.500
ქედა	2.000	1.000	3.000
შუახევი	2.250	1.250	3.500
ხულო	2.000	1.250	3.250

გაუფილტრავი წყლის გადამცემ მაგისტრალებთან დაკავშირებით, სისტემისთვის სავარაუდოდ გამოიყენება სამი სხვადასხვა დიამეტრი: DN 90 მმ / DN 110 მმ / DN 125 მმ. სასურველ მასალად შეირჩა HDPE. ინსტალაცია განიხილება 1,5 მეტრამდე.

4.2.3 სახლის დაერთებები და წყლის გამანაწილებელი ქსელი

გადამცემი მაგისტრალის (TM) გამოთვლებისთვის გამოყენებული მიდგომის შესაბამისად, წყლის გამანაწილებელი ქსელის (DN) საშუალო სიგრძე და ქსელიდან სახლების დაერთებებამდე საშუალო მანძილი განისაზღვრა თითოეული მუნიციპალიტეტისთვის, როგორც ეს მოცემულია შემდეგ ცხრილში. სახლის დაერთებებში შედის წყლის მრიცხველი მისი შესაბამისი ყუთით და აქსესუარებით.

ცხრილი 20 გადამცემი მაგისტრალის TM საშუალო სიგრძე მუნიციპალიტეტის მიხედვით

მუნიციპალიტეტი	გამანაწილებელი ქსელის საშუალო სიგრძე (მ)	საშუალო მანძილი გამანაწილებელი ქსელიდან სახლებამდე (მ)
ხელვაჩაური	3.500	15
ქობულეთი	3.500	10
ქედა	3.750	20
შუახევი	4.500	20
ხულო	4.250	35

4.2.4 სეპტიკური ავზები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია დასამონტაჟებელი სეპტიკური ავზების სავარაუდო რაოდენობა. სხვადასხვა განხორციელებით სხვადასხვა სქემის წარმოდგენის მიზნით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სეპტიკური ავზების დამონტაჟებასთან დაკავშირებით, განისაზღვრა სეპტიკური ავზების პროცენტული რაოდენობა 1, 2, 10, 15, 20 და 30 ოჯახი–სთვის. დაახლოებით ინვესტიციების 70% (1.730 სეპტიკური ავზი) გაითვალისწინებს საკითხის გადაჭრის ინდივიდუალურ მეთოდს (1 სახლი, რომელიც დაკავშირებულია საკუთარ სეპტიკურ ავზთან), ხოლო 25-ში (~ 610 სეპტიკი) გაითვალისწინებს 2 ოჯახის დაერთების სქემას. უფრო დიდი შეთანხმებები შეიძლება განვიხილოთ 10-30 (~ 100 სეპტიკი, მთლიანი რაოდენობის 5%), მაგრამ განხორციელდება სოციალური, ტექნიკური, გარემოსდაცვითი და ფინანსური ანალიზი მათი გამოყენებისა და მდგრადობის დასადასტურებლად. სულ დამონტაჟდება დაახლოებით 2,450 სეპტიკური ავზი.

ცხრილი 21 სეპტიკური ავზების სავარაუდო რიცხვი და ზომა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	სეპტიკური ავზების ტიპები და განაწილება მუნიციპალიტეტის მიხედვით (მუნიციპალიტეტში თითოეული სახეობის სისტემის %)					
	1 ოჯახი	2 ოჯახი	10 ოჯახი	15 ოჯახი	20 ოჯახი	30 ოჯახი
ხელვაჩაური	30	20	25	10	10	5
ქობულეთი	30	30	20	10	5	5
ქედა	40	25	20	10	5	0
შუახევი	35	30	15	10	5	5
ხულო	50	30	10	5	5	0

4.2.5 ინფილტრაციის თხრილები

სეპტიკური ავზის ზომისა და ნიადაგის ტიპიდან გამომდინარე, მოეწყობა საშრობ-საწრეტი მოედნების ერთი, ორი ან სამი შრე, რომლებშიც განლაგდება პერფორირებული მილები, რის საშუალებითაც მოხდება ჩამდინარე წყლის განაწილება თითოეული თხრილის საშუალებით. ინფილტრაციის თხრილების ზედაპირის ფართობი განსხვავებული იქნება სეპტიკური ავზის მოცულობის და ნიადაგის კატეგორიის მიხედვით. თხრილები ამოივსება შესაბამისი მარცვლის ზომის საფილტრი საშუალებით. საბოლოო ნარჩენი წყლის ნაკადის ჩადინება მოხდება ნიადაგის ქვედა ფენაში, რომელიც წარმოადგენს საბოლოო მიმღებს.

4.2.6 წყალარინების დაერთებები

ამ პროგრამისთვის, წყალარინების დაერთებებში იგულისხმება მილსადენი, რომელიც ტუალეტის ობიექტებს სეპტიკურ ავზთან აკავშირებს. იმ შემთხვევაში თუ ოჯახები უფრო

დიდი მოცულობის კომუნალურ სეპტიკურ ავზთან არიან დაკავშირებულნი, კანალიზაციის ხაზი ითვალისწინებს მთლიან სიგრძეს, რომლის საკანალიზაციო წყალი თითოეული სახლიდან გადადის სეპტიკური ავზის დამონტაჟების ადგილზე ტრანსპორტირების მიზნით.

ცხრილი 22 გადამცემი მაგისტრალის საშუალო სიგრძე მუნიციპალიტეტების მიხედვით

სეპტიკური ავზის სახე:	1	2	10	15	20	30
მილის ტიპი	დიზაინის მთლიანი სიგრძე, მილის სახეობის მიხედვით					
110-2	17,50	20,00	12,50	12,00	10,50	12,00
150-2	0,00	0,00	8,75	12,00	14,00	16,00
200-2	0,00	0,00	3,75	6,00	5,25	6,00
200-4	0,00	0,00	0,00	0,00	5,25	6,00
სულ	17,50	20,00	25,00	30,00	35,00	40,00

4.2.7 ჭები

წყალარინების ჭები თუ სათვალთვალო ჭები აუცილებელია ჩამდინარე წყლების სათანადო ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის მიზნით. ინვესტიციის განახლებული ხარჯების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ წყალარინების ჭების 90% იქნება 2 მ – მდე სიმაღლის. განიხილება პლასტმასის ან ბეტონის ჭები, რაც დამოკიდებულია მათი ადგილმდებარეობისა და რეზისტენტულობის მოთხოვნებზე

5. გარემოსდაცვითი და სოციალური მდგომარეობა

5.1 პროექტის ზემოქმედების ფართობი (AoI)

5.1.1 პროექტის ზემოქმედების ფართობების განსაზღვრა-1-ელი ლოტი

1-ელი ლოტის პროექტის ფართობი მოიცავს ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ფარგლებში შერჩეულ ადგილებს. ზემოქმედების ფართობი მოიცავს ა) წყალამღების ტერიტორიას, მისასვლელი გზების და წყალსადენი მაგისტრალების ჩათვლით; 2) გამოსაცვლელ ან გასაფართოებელ ცენტრალიზებული წყალმომარაგების ინფრასტრუქტურას; 3) დაბების ცენტრში გამოსაცვლელ წყალარინების ქსელს, მათ შორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისკენ მომავალ საკანალიზაციო მილებს; 4)ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებს (როგორც ახალს, ასევე სარეაბილიტაციოს) და წყლის ობიექტებში გაწმენდილი ნამუშევარი წყლის ჩამშვებ მილებს, ასევე წყლის ჩაშვების წერტილის ქვედა ბიეფს.

გამოსახულება 11 ლოტი 1-ის პროექტის ზემოქმედების ფართობი



თითოეულ მუნიციპალიტეტში პროექტის ზემოქმედების ფართობის უფრო დეტალური რუკა წარმოდგენილი იქნება ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების ტექნიკურ აღწერაში.

5.1.2 ლოტი 2 -ის საპროექტო ტერიტორიების საზღვრების დადგენა

ლოტი 2-ის საპროექტო ტერიტორია მოიცავს პროგრამის ხუთივე მუნიციპალიტეტში შერჩეულ ტერიტორიებს: ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთის მუნიციპალიტეტები. მოქმედების არეალი მოიცავს: 1)წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ტერიტორიებს, წყლის გადამცემი მაგისტრალების ჩათვლით; 2) სამარაგო ავზების ადგილებს. 3) სეპტიკური ავზებისა და საფილტრე მოედნებისთვის განკუთვნილ ადგილებს.

A map of villages identified to date for participating in the Program is presented in the figure below. აქამდე გამოვლენილი პროგრამაში მონაწილე სოფლების რუკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზე.

5.1.3 გარემოსდაცვითი და სოციალური მდგომარეობა

5.1.4 რელიეფი

აჭარის რეგიონი ძირითადად მთიანია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დასავლეთ ნაწილი ბათუმის და ქობულეთის ირგვლივ, სადაც ზღვის დონიდან სიმაღლე 0-დან 2.6მ-მდე მერყეობს. რელიეფის თვალსაზრისით აჭარა მთების და ველების საკმაოდ რთულ სისტემას წარმოადგენს. მისი ტერიტორიის ნაწილი მესხეთის ქედს მოიცავს. აქ გადის ასევე აჭარისწყალი, რომელიც რეგიონის მთავარ მდინარეს წარმოადგენს. აჭარა-თრიალეთის სისტემა მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და ერთმანეთისგან ჰყოფს ჩრდილო და სამხრეთ ამიერკავკასიას. ფართო პლაჟები მხოლოდ ბათუმში, ჩაქვსა და ქობულეთში გვხვდება. (5).

საპროექტო სისტემების მიხედვით ჩატარდება ტოპოგადაღებები პროექტის სხვადასხვა კომპონენტისთვის (წყალამღებები, გამანაწილებელი ქსელები, რეზერვუარები და სეპტიკურიო ავზები).

გეოლოგიური აგებულება

ხელმისაწვდომი გეოლოგიური რუკები ძალიან მცირემასშტაბიანი და მხოლოდ ზოგად ინფორმაციას გვაწვდის. ქვემოთ სურათზე წარმოდგენილია გეოლოგიური რუკა (1986 წლის ძველი საბჭოთა რუკის ფრაგმენტი, K 37/38, M=1:1.000.000). კიდევ რამდენიმე რუკა არსებობს, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის უკეთესი ხარისხის და არ იძლევა მეტ ინფორმაციას. ეს რუკები მხოლოდ სიტუაციის ზოგადი მიმოხილვისთვის გამოდგება.

გამოსახულება 12 აჭარის ზოგადი გეოლოგიური რუკა



როგორც გამოსახულება 12 გვიჩვენებს, აჭარის ტერიტორიის დიდი ნაწილი , (90%-ზე მეტი) ვულკანური, კერძოდ ბაზალტისა და ბაზალტოვანი ქანებისგან (მაგ. ანდეზიტისგან) შედგება. ეს არის კლდოვანი ქანები, ზოგან ძლიერი ტექტონური დეფორმაციებით და მეტ-ნაკლებად დაბზარული. ეს ქანები განსაზღვრავს აღნიშნული ტერიტორიის მორფოლოგიურ იერ-სახეს. აქ დომინირებს მთები ღრმა ხეობებით და ციცაბო ფერდობებით.

ჩვენ არ გვაქვს სათანადო მასშტაბის რუკები, რომ სოფლების დონეზე განვსაზღვროთ გეოლოგიური აგებულება. აქედან გამომდინარე, საბოლოო პროექტის შემუშავებამდე თითოეული ფართობისთვის ან სოფლისთვის ინდივიდუალურად უნდა იქნეს შესწავლილი გეოლოგიური მდგომარეობა, განსაკუთრებით ქანების სტაბილურობა, მზიდუნარიანობა, დანალექი ქანების წყალგამტარობა და შეფასდეს რისკები (ქვის ცვენის, მეწყრის და ღვარცოფის რისკების ჩათვლით).

5.1.5 ნიადაგები

აჭარაში რეგისტრირებული 11 ტიპის ნიადაგი და ყველაზე ფართოდ გავრცელებულია:

- ალუვიური ნიადაგი და წითელმიწები (სანაპირო ზონა);
- ყომრალი ნიადაგები (მთის) და
- მთა-მდელოს ნიადაგები (ალპური ზონის ნიადაგები).

სასოფლო-სამეურნეო მიწები აჭარის ტერიტორიის მხოლოდ 25%-ს შეადგენს. მათი დიდი ნაწილი 10% ქანობის ფერდობებზე მდებარეობს. ბოლო ათწლეულებში ძლიერი ნალექების და მიწების კულტივაციის გამო აჭარაში მნიშვნელოვნად გაიზარდა წყლით გამოწვეული ეროზია, რომელიც სახნავი მიწების 30-35%-ზე გვხვდება. განსაკუთრებით საგანგაშო სიტუაციაა სუბალპურ ზონაში, სადაც აქტიურად ძოვს საქონელი. ეროზიის განვითარებას ხელს უწყობს ასევე ხეების გაჩეხვა.

საწყის ეტაპზე განისაზღვრა გრუნტების კატეგორიები პროგრამის ფართობებზე (5), როგორც ნაჩვენებია ცხრილი 23-ში. კატეგორიის გრუნტებს ახასიათებს მაღალი ბმულობა და 144 კილოპასკალი (კპა) ან მეტი წინაღობა კუმშვაზე. ამ კატეგორიის გრუნტებია შლამიანი თიხა, ქვიშა თიხნარი და თიხნარი. B კატეგორიის გრუნტები მარცვლოვანია და ახასიათებს 144 კილოპასკალზე ნაკლები, მაგრამ 48 კილოპასკალზე მეტი წინაღობა კუმშვაზე. ესენია შლამი, შლამიანი თიხნარი და ქვიშნარი თიხნარი. C კატეგორიის გრუნტები მარცვლოვანია და აქვს 48 კილოპასკალის ან ნაკლები წინაღობა კუმშვაზე. ესენია ხრეში, ქვიშა, თიხნარი ქვიშა, წყალნაჯერი გრუნტი, გრუნტები, საიდანაც წყალი თავისუფლად ჟონავს. წყალნაჯერი არასტაბილური ქანები და ქანობიანი შრეებრივი სისტემების შემადგენელი მასალა. ადგილზე ვიზიტის და შესაბამისი კვლევების ჩატარების შემდეგ ეს კატეგორიები უფრო დეტალურად განისაზღვრება თითოეული სოფლისთვის.

ცხრილი 23 გრუნტის კატეგორიები (5)

რეგიონი	**გრუნტის კატეგორია (გრუნტის ამოღებასთან მიმართებით)**		
	A კატეგორია	**B კატეგორია**	**C კატეგორია**
ბარი	70 %	20 %	10 %
მთა	30 %	40 %	30 %

გრუნტის ჩაყინვის სიღრმეები შემდეგია (5):

- ბარში ზღვის დონიდან 1000მ-მდე– 0,5 მ
- მთაში ზღვის დონიდან 1000მ-ის ზემოთ – 1 მ

სეპტიკური ავზების შემთხვევაში აუცილებელია გრუნტის წყალგამტარობის გათვალისწინება წყლის ობიექტების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ქვემოთ წარმოდგენილი ინდიკატორები დაგვეხმარება სხვადასხვა ტიპის გრუნტების გამტარობის განსაზღვრაში.

ცხრილი 24 გრუნტის წყალგამტარობის კოეფიციენტი აჭარის ფართობებზე

მასალის ტიპი	**წყალგამტარობის კოეფიციენტი k_f**	**წყალგამტარობა**	**სავარაუდო ფართობები**
ბაზალტის ქანი – დანაწევრებული	10–1 - 10–2 მ/წმ	მაღალი წყალგამტარობა	მთა, ზოგადად
ხრეში ქვიშით	10–1 - 10–3 მ/წმ	მაღალი წყალგამტარობა	მთა: ველები - ბარი - ბათუმი
გრუნტი ქვიშით და ხრეშით	10–3 - 10–4 მ/წმ	წყალგამტარი	მთა: ველები, მცირექანობიანი ფერდობები, პლატოები, - ბარი, ბათუმი, ქობულეთი

მასალის ტიპი	წყალგამტარობის კოეფიციენტი k_f	წყალგამტარობა	სავარაუდო ფართობები
გრუნტი ქვიშით და შლამით	10^{-3} - 10^{-5} მ/წმ	წყალგამტარი	მთა: დაქანება - ბარი, ბათუმი, ქობულეთი
ჩამოწოლილი გრუნტი	10^{-3} - 10^{-6} მ/წმ	წყალგამტარი-მცირედ წყალგამტარი	მთა: ზოგადი - ბარი
ქვიშა-ლამიანი თიხა	10^{-5} - 10^{-7} მ/წმ	მცირედ წყალგამტარი-ცუდად წყალგამტარი	ბათუმი, ქობულეთი
თიხა	10^{-7} - 10^{-12} მ/წმ	თითქმის წყალგაუმტარი	ქობულეთი
ბაზალტური ქანის მონოლითი	-	წყალგაუმტარი	მთა: ზოგადად

5.1.6 ჰაერის ხარისხი

ამ ბოლო წლებში გარემოს დაცვის სააგენტომ დაიწყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის განახლება. დღეს ჰაერის ხარისხის მოინტორინგის 8 სადგური ფუნქციონირებს. ერთი მათგანი ბათუმში მდებარეობს(8). აჭარაში ჰაერის დაბინძურების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.

1999 წელს საქართველო შეურთდა 1979 წლის ჟენევის კონვენციას შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ. საქართველო ამზადებს ანგარიშებს ჰაერის სხვადასხვა დამაბინძურებლების შესახებ, რომელთა წყაროა ენერგოსექტორი, წარმოება, სოფლის მეურნეობა და ნარჩენების გადამუშავება. ეს მონაცემები მხოლოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებობს. ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა კი მხოლოდ თბილისისთვის არის შემუშავებული.

5.1.7 ხმაური

წარმოდგენილ დოკუმენტებში, გასაჯაროებულ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში და სხვა საჯარო წყაროებში არ არის პროგრამის ფართობებზე ფონური ხმაურის გაზომვის შესახებ მონაცემები. მუნიციპალიტეტებს არ ევალებათ ხმაურის დონის გაზომვა. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას.

გზის გასწვრივ მდებარე სახლების მაცხოვრებლები განიცდიან ხმაურის ზემოქმედებას მშენებლობის ფაზაში. მისასვლელი გზები მეჩხერად დასახლებულ ადგილებზე გადის..

5.1.8 მეტეოროლოგია და კლიმატი

აჭარის სანაპირო ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა ნელ-ნელა სტაბილურად მატულობს. ტემპერატურის მატება გაზაფხულ-ზაფხულზე აღინიშნება. ზამთრები კი, პირიქით, უფრო ცივია. აჭარის სანაპირო ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა 13 – 14,5°C-ია. ყველაზე თბილი ადგილია ბათუმი, სადაც საშუალო ტემპერატურა 14,5°C. ყველაზე ცივი ადგილი კი გოდერძის უღელტეხილია (2,4°C). ყველაზე ცივი თვეა იანვარი და ყველაზე ცხელი - აგვისტო. სანაპირო ზონაშიმ მოიმატა ცხელი დღეების და ტროპიკული ღამეების რიცხვმა, რამაც შეიძლება გავლენა მახდინოს მოსახლეობის ჯაანმრთელობაზე და ტურიზმის ინდუსტრიაზე. აჭარაში ამ ბოლო პერიოდში ტემპერატურის ყველაზე დიდი მატება (0,5°C-მდე) ქობულეთის და ქედის მუნიციპალიტეტებში დაფიქსირდა. ამ მუნიციპალიტეტებში აღინიშნა ასევე ცხელი დღეების, ტროპიკული ღამეების, წვიმიანი და უხვნალექიანი დღეების რაოდენობის ყველაზე დიდი მატება (9).

აჭარის ტერიტორიაზე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ყველგან მაღალია და 70-90%-ს შეადგენს. ყველაზე მაღალი ფარდობითი ტენიანობა (საშუალოდ 88%) გოდერძის უღელტეხილზეა დაფიქსირებული (10).

აჭარაში ნალექის წლიური რაოდენობა 2600მმ-ს შეადგენს ბარში, 1300მმ-ს მთაში და 1500მმ-ს ალპურ ზონაში. მთა მტირალას (1.334 მ) დასავლეთ ფერდობზე ნალექის წლიური რაოდენობა 4000მმ-ს შეადგენს..

აჭარაში თბილ პერიოდში დღიური ნალექი 80-100მმ-ს შეადგენს და წვიმის ხანგრძლივობა 2-4 საათია. აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდში ამგვარი დღეების რაოდენობა სანაპირო ზონაში 23-ია, ხოლო მთაში - 10-12.

5.1.9 კლიმატის ცვლილება

ევროპასა და ცენტრალურ აზიაში საქართველო კლიმატის ცვლილებისადმი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ქვეყანაა (მე-5 ადგილზე) ადაპტაციის მცირე პოტენციალით (11). გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მიმართ საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებაში (1999) აღნიშნულია, რომ კლიმატის შეიცვალა 1955-1970 და 1990-200 წლებს შორის. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო მინიმუმი და საშუალო მაქსიმუმი. ამავე დროს მოიმატა 24 საათში მოსული ნალექის რაოდენობამ, რამაც შეიძლება სერიოზულად გაზარდოს წყალდიდობების და მეწყრების რისკი (9).

საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ტემპერატურის 3,5 °C -4,2°C-ით მატება და ნალექების 6%-ით შემცირება. ეს პროცესი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ზაფხულში, როდესაც წელიწადის სხვა დროებთან შედარებით უფრო მატულობს ტემპერატურა და იკლებს ნალექები (10).

5.1.10 წყლის წყაროები

საქართველოში წყლის რესურსები არათანაბრად არის განაწილებული და ძირითადად დასავლეთ საქართველოშია კონცენტრირებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში ხშირია წყლის დეფიციტი (10). აჭარის წყლის რესურსები მრავალფეროვანია და მოიცავს მდინარეებს, ტბებს, ჭაობებს და გრუნტის წყლებს. აჭარაში არ არის მყინვარები და წყალსაცავები.

აჭარაში 1500-ზე მეტი მდინარეა, ჯამური სიგრძით 8600კმ. მდინარეების უმეტესობა 20კმ-ზე ნაკლები სიგრძისაა და მხოლოდ ორი მდინარე, აჭარისწყალი და კინტრიში, 40კმ-ზე

გრძელია. მდინარეების უმეტესობა წვიმის წყლით საზრდოობს. მათ ახასიათებს წყალდიდობა გაზაფხულზე, წყალმოვარდნა შემოდგომაზე და წყალმარჩხობა შემოდგომა-ზაფხულში. აჭარის მდინარეების უმეტესობა მდინარე ჭოროხის შენაკადია. ჭოროხი შავ ზღვას უერთდება. აჭარის ზოგი მდინარე პირდაპირ ჩაედინება შავ ზღვაში (10).

მდინარის წლიური ხარჯი არათანაბრად არის განაწილებული, რაც ძირითადად კლიმატზე არის დამოკიდებული. გლობალური დათბობის პირობებში გარკვეული ცვლილებები მოხდება მდინარეების წლიური ხარჯის განაწილებაში. 2021-2050 წლებში აჭარისწყლის საშუალო წლიური ხარჯი ფაქტიურად არ შეიცვლება 1961-1990 წლებთან შედარებით, მაგრამ შემოდგომა-ზამთრში წყლის ხარჯი გაიზრდება, ხოლო გაზაფხულ-ზაფხულზე - შემცირდება (10).

წყალაღების მონაცემების მიხედვით აჭარაში ზედაპირული წყლები ძირითადად გამოიყენება ჰიდროენერგეტიკაში (94%), სასმელად (4%), მრეწველობაში (1.6%) და დანერჩენი - სარწყავად (12).

აჭარა მდიდარია გრუნტის წყლებით. აქ დარეგისტრირებულია მინერალური წყლის 42 წყარო. ამ წყლების უმეტესობა სულფატურ-კარბონატულია, ხოლო 5 მათგანი - თერმულია. გასულ წლებში საქართველოში არ ტარდებოდა გრუნტის წყლების მონიტორინგი. შესაბამისად, ჩვენ არ გვაქვს სრული ინფორმაცია გრუნტის წყლების მოცულობის და ხარისხის შესახებ..

5.1.11 წყლის ხარისხი

მდინარეებსა და წყაროებში დაგროვებული ნატანის მოცულობის გარდა, აჭარაში არ გვაქვს წყლის ხარისხის შესახებ სხვა მონაცემები.

ამ პროგრამის ფარგლებში შემოწმდა წყლის ხარისხი რამდენიმე სოფლის წყაროებში. სწრაფი ტესტების საშუალებით განისაზღვრა E. coli-ს და კოლიფორმების შემცველობა წყალში დაჩატარდა წყლის მიკრობიოლოგიური და ქიმიური ანალიზი. ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ ზამთარში წყლის ხარისხი ოდნავ უკეთესია, ვიდრე ზაფხულში (5).

საქართველოში ზედაპირული წყლის ობიექტების 67% გაუწმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლებით არის დაბინძურებული. ზედაპირული წყლის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ასევე სამთო-მოპოვებითი, ნავთობის და საკვები ინდუსტრია. დაბიძურების წყაროებია ასევე არასანიტარული და უკანონო ნაგავსაყრელები და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა.

5.1.12 ფლორა და ფაუნა

კავკასია ბუნების დაცვის ფონდის (WWF) 200 გლობალური ეკორეგიონის ნუსხაში შედის. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კლასიფიკაციით კავკასია მსოფლიოს ბიოლოგიური მრავლფეროვნების 34 ცხელ წერტილს მიეკუთვნება. ის ასევე ერთ-ერთია მსოფლიოს ენდემური ფრინველების 221 არეალიდან. უფრო მეტიც, კავკასიის ეკორეგიონში აჭარა წარმოადგენს პრიორიტეტულ საკონსერვაციო არეალს (დასავლეთ მცირე კავაკასიონის პრიორიტეტული საკონსერვაციო არეალი საერთაშორისო დონეზე), რომელიც თურქეთის ნაწილსაც მოიცავს (13).

ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ამ ტერიტორიის დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ის წარმოადგენს პლიოცენის ფლორის რეფუგიუმს. მისთვის დამახასიათებელია ლოკალური და ენდემური სახეობების მცენარეების (მათ შორის

ორი როდოდენდრონი და სხვა მარადმწვანე ბუჩქები და ხეები), ასევე ენდემური სახეობების, მათ შორის თევზების, ამფიბიების, ხვლიკების და მცირე ცხოველების, ენდემური ლოკოკინების და ხოჭოების დიდი პროცენტული ოდენობა. ეს ადგილი ასევე ფრინველების მიგრაციის ცნობილ არეალს წარმოადგენს. აჭარაში გვხვდება რელიქტური სახეობები, მაგალითად Betula medwedewii, Epigaea gaulterioides და სხვა. ფლორის დაცული სახეობვების ჩამონათვალი მუნიციპალიტეტების მიხედვით დანართშია მოცემული.

საქართველოს ფლორა ერთ-ერთი უმდიდრესია ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყნებს შორის. აქ გვხვდება 4000 ძარღვიანი (ვასკულარული) მცენარე, მათ შორის 900 (დაახლოებით 21%) კავკასიის ან საქართველოს ენდემია. გარდა ამისა, საქართველოსა და კავკასიაში 17 ენდემური გვარია გავრცელებული. საქართველოს ენდემური ფლორის 152 სახეობა (ენდემური სახეობების დაახლოებით 60%) გადაშენების საფრთხის წინაშეა. რეგულარული მონიტორინგის არარსებობის გამო, მცირე ინფორმაცია გვაქვს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების პოპულაციების დინამიკის შესახებ (14).

აჭარის, ისევე როგორც ყველა მთიანი ქვეყნის მცენარეული საფარი, განსხვავებული ვერტიკალური სარტყლიანობით ხასიათდება. ამ მხარეში გამოხატულია რამდენიმე სარტყელი.

ნ. კეცხოველის მიხედვით (1), ამ რეგიონში რამდენიმე ზონაა:

1) ჰიდროფიტული ბალახეულობა და ტენიანი ტყეები - 0-250 მ ზღვის დონიდან
2) კოლხეთის მარადმწვანე ქვე-ტყიანი და ლეშამბიანი ტყეები- 150-250 მ-დან 450-500 მ-მდე;
3) მთების შუა სარტყელი, რამოდენიმე ქვესარტყლით - 500 მ-დან 2000 მ-მდე:
    a. წიფლნარი როდოდენდრონის, კოლხური ბაძგის და წყავის (Prunus laurocerasus) ქვეტყით;
    b. რცხილნარი წიფლნარის ჩანართებით დაახლოებით 1100მ ზღვის დონიდან;
    c. წიწვოვანი ტყეები 900-1000მ-დან 2000მ-მდე ზღვის დონიდან
4) მთა-მაღალი, სუბალპური და ალპური სარტყლები.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით ტყეების საქართველოს და კავკასიის რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი ჰაბიტატია. კავკასიის სახეობების დაახლოებთ 65%-ის არსებობა ტყეებზე დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ რეგიონის ტყეების 60% განადგურებულია ან ნადგურდება. ინტენსიური ეროზიის და მეწყრების გამო ტყეებმა მეტწილად დაკარგეს თვითაღდგენის უნარი.

საქართველოს ფაუნა 16000 სახეობას მოიცავს. მათგან 19 ძუძუმწოვარი, 3 ფრინველი, 15 რეპტილია და 3 ამფიბიაა მიჩნეული ენდემურ სახეობად კავკასიის რეგიონისთვის, ხოლო ერთი რეპტილია (აჭარული ხვლიკი, Darevskia mixta) საქართველოს ენდემია.(15). საქართველოს კანონმდებლობით დაცულია 61 სახეობა. დაცული სახეობების ჩამონათვალი დანართშია წარმოდგენილი.

ბათუმი და მისი მიმდებარე ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სოფლები ცნობილია, როგორც „ბათუმის ძაბრი“, რომელიც აღმოსავლეთ შავი ზღვის საიმიგრაციო დერეფნის ნაწილს წარმოადგენს და აქ შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა სახეობის ფრინველის, განსაკუთრებით მტაცებელი ფრინველების, ნახვა (10). კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ეს ადგილი იდეალურია ფრინველების, მაგალითად ბოლოკარკაზის) პასიური მიგრაციისთვის და ასევე აქტიური მიგრაციისთვის (ბოლობეჭედა, შავარდენი. ფუტკრიჭამია, მოლაღური, უფეხურა, მწყერი. 2012 წლის

ბათუმის აღრიცხვის შესაბამისად დაფიქსირდა 179000 ბოლოკარკაზის მიგრაცია ერთ დღეში, რაც მსოფლიო რეკორდს წარმოადგენს.

მტაცებელ ფრინველებს შორის ყველაზე საყურადღებოა ბეგობის არწივი (Aquila heliacal). საქართველოში ამ ფრინველის ბუდობის მხოლოდ 15 ადგილი დარჩა. გადაშენების საფრთხის წინაშეა ასევე სვავი (Aegipiusmonachus) და ყარყატი (Ciconianigra).

მსხვილი ცხოველებიდან აჭარაში გვხვდება ტურა და ტახი. შედარებით იშვიათია მელია და წავი. წავის სიმცირე აიხსნება საკვების მცირე რაოდენობით და კომერციული თევზის მრეწველობის ზემოქმედებით. წავების რაოდენობა საქართველოში შემცირდა და მათი პოპულაცია დაახლოებით 400 ცალს შეადგენს. წავები წყალში იკვებებიან და ხმელეთზე ცხოვრობენ. მათი საარსებო გარემოა მდინარეები, წყაროები და წყლის ობიექტების მიმდებარე ადგილები. კავკასიური სალამანდრას საარსებო გარემო შეზღუდულია და მასზე დიდ გავლენას ახდენს ამ გარემოს შემცირება. სალამნდრა გვხვდება ფართოფოთლოვან და შერეულ ტყეებში, ასევე სუბალპურ სარტყელში და ალპურ მდელოებზე. ის ერიდება დიდ წყაროებს და ჩვეულებრივ ცხოვრობს 1-1.5მ სიგანის მდინარის შენაკადებში და 20-30სმ სიღრმეზე წყაროებში (9).

აჭარის იქთიოფაუნა თევზის 88 სახეობისგან შედგება (44 სახეობა შავ ზღვაში, 21 მტკნარწყლიანი სახეობა და 24 ანადრომული სახეობა). ბათუმის სანაპირო წყლებში გვხვდება ზუთხი, ბელუგა, ორაგული, კეფალი და ბარაბული (Mugil cephalus, Ramada risoo, Mugil saliens risoo, and Mugil cephalus risso). აღსანიშნავია ასევე წვერა, სკულპინი და ქაშაყი (16). აჭარის იქთიოფაუნა მრავალფეროვანია, მაგრამ არა მრავალრიცხოვანი. არც ერთი ზემოაღნიშნული თევზის სახეობა არ არის საკმარისად მრავალრიცხოვანი კომერციული თევზჭერისთვის, მაგრამ თევზაობა პოპულარულია ადგილობრივ მოსახლეობაში. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაცული თევზის სახეობები, რომლებიც ცხოვრობს შავ ზღვაში და აჭარის მდინარეებში არის Acipenser colchicus parcicus, Acipenser stellatus Pallas– მიგრირებენ მდინარეებში გაზაფხულზე, Capoeta sieboldii – ჭოროხსა და აჭარისწყალში. ჰაბიტატის დაკარგვის, მიგრაციის მარშრუტების და საქვირითე ადგილების დაკარგვის გამო ზუთხის ექვსივე სახეობა და კალმახი გადაშენების საფრთხის წინაშეა (17).

ამფიბიებიდან აჭარაში გვხვდება მწვანე გომბეშო, ჭაობის ბაყაყი და ტრიტონის ორი სახეობა (ჩვეულებრივი და მცირეაზიური ტრიტონი). ყველაზე გავრცელებული რეპტილიაა წყლის გველი, გრძელი მცურავი (ესკულაპის გველი) და კუ. ბოლო ათწლეულში ჰაბიტატის განადგურება-ფრაგმენტაციის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა ენდემური ამფიბიის - კავკასიური სალამანდრას (Mertensiellacaucasica) და ენდემური რეპტილიის - კავკასიური გველგესლას (Vipera kaznakovi) რაოდენობა (17).

5.1.13 დაცული ტერიტორიები

აჭარის დაცული ტერიტორიების ჯამური ფართობი 39,036ჰა-ს შეადგენს, რაც რეგიონის მთლიანი ტერიტორიის 13%-ზე მეტია. დაცული ტერიტორიები აჭარის სანაპირო ზონაში და მთების დასავლეთ ნაწილშ მდებარეობს. ესენია:

- კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი – 13,893 ჰა;
- ორი ეროვნული პარკი (მტირალა - 15,806 ჰა და მაჭახელა - 8,733 ჰა);
- ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი – 331.25 ჰა
- ქობულეთის აღკვეთილი - 438.75 ჰა.

გამოსახულება 13 დაცული ტერიტორიები და კანდიდატი ზურმუხტის ადგილები აჭარაში



კინტრიშის დაცული ტერიტორიები მოიცავს 1959 წელს შექმნილ კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალს (IUCN-ის I კატეგორია) და 2007 წელს დაარსებულ კინტრიშის დაცულ ლანდშაფტს (IUCN-ის V კატეგორია). კინტრიშის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტი მთიანია და ღრმა ხეობებით დასერილი. ამ ადგილის მთავარი არტერიაა მდინარე კინტრიში. ის სათავეს იღებს მთა ხინოს ახლოს და შავ ზღვაში ჩაედინება კურორტ ქობულეთთან ახლოს (13).

მტირალას ეროვნული პარკი კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მცირე კავკასიონის, სახელდობრ აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე - შავი ზღვის სიახლოვეს მდებარეობს. ის უნიკალური კოლხური ეკოსისტემების კონსერვაციის მიზნით შეიქმნა. (13). პარკი მდებარეობს 1.381 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და ყველაზე ნალექიანი ადგილია საქართველოში. ამას უკავშრიდება მისი სახელიც. მტირალას ეროვნულ პარკში გვხვდება ფაუნის 95 და ფლორის 284 სახეობა.

მაჭახელას ეროვნული პარკი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტშ მდებარეობს და მისი ფართობი 8733ჰა-ს. მისი ტერიტორია ტყეებითაა დაფარული და მათი 75% პირველადი (ხელხულებელი) ტყეებია. პარკის დიდი ნაწილი კოლხური შერეული ტყეებით არის დაფარული. აქ გვხვდება ასევე რელიქტური და ენდემური სახეობების მცენარეები (13).

ლოტ 1-ის პროექტის ფართობი არ მდებარეობს დაცულ ტერიტორიებზე, მაგრამ ესაზღვრება ქობულეთის ეროვნული პარკს/ისპანის ჭაობებს (ოჩხამურის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა). ლოტ 2-ის პროგრამის ფართობი, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთ შერჩეულ სოფელს მოიცავს, მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზეა (ჩაქვისთავი).

5.1.14 სტიქიური უბედურებები და რისკები

გეომორფოლოგიური სტრუქტურის მრავალფეროვნების და სირთულის და შავ ზღვასთან სიახლოვის გამო აჭარა საქართველოს სხვა რაგიონებისგან სტიქიური უბედურების შედარებით დიდი სიხშირით და სიძლიერით გამოირჩევა. საქართველოს ტერიტორიის 70% და დაახლოებით 3000 დასახლება გეოლოგიური რისკის ზონას მიეკუთვნება. აჭარაში გეოლოგიური რისკის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ადგილია ხულოს მუნიციპალიტეტი(10). ბოლო 30 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სტიქიური მოვლენების გამო 170 ადამიანი დაიღუპა და 10000 მოსახლე გადაყვანილი იქნა სხვა ადგილებში. ეკონომიკურმა ზარალმა კი რამდენიმე მილიონი დოლარი შეადგინა (18).

გეოლოგიური რისკები ძირითადად ინტენსიურ ნალექებს უკავშირდება. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მიმართ საქართველოს მესამე ეროვნულ შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ გეოლოგიური პროცესების აქტივაცია ყველაზე მეტად მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც წლიური ნალექები საშუალო რაოდენობას 200-400მმ-ით აჭარბებს. ღვარცოფებიც ინტენსიური წვიმების პერიოდის ემთხვევა.

მაღალმთიან ადგილებში გახშირდა წყალმოვარდნა და ღვარცოფები, რაც კავკასიის მყინვარის დნობასთან არის დაკავშირებული. მყინვარების დნობის შედეგად იზრდება წყლის ხარჯი მდინარეებში და მაღალმთიან ადგილებში ღვარცოფები წარმოიქმნება (10).

1956-2007 წლებში შავი ზღვის სანაპირო ზონაში 50-60%-ით გაიზარდა შტორმების რაოდენობა და ზღვის დონემ 0.7მ-ით მოიმატა (რაც ძირითადად ევსტატიკურ ცვალებადობას უკავშირდება). შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა შტორმების და სანაპიროს დატბორვის რისკი (14). კლიმატის ცვლილების შედეგად გააქტიურდა ასევე შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეროზია.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი რუკების მიხედვით აჭარაში მიწისძვრების რისკი მცირე ან საშუალოა. ქვემოთ სურათზე ნაჩვენებია სეისმური ზონები. ეს პარამეტრი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალსიწინებული, განსაკუთრებით რეზერვუარების მშენებლობისას ან არასტაბილურ გრუნტზე ინფრასტრუქტურის მოწყობისას. საჭიროა სეისმომედეგობის შესახებ ადგილობრივი რეგულაციების გათვალისწინება. ჩვენ არ გვაქვს პროგრამის ფართობებზე სეისმური მიკროზონების შესახებ ინფორმაცია და ეს მონაცემები მოპოვებული იქნება შესაბამისი ადგილების გეოტექნიკური კვლევებისას.

ცხელი დღეების და ტროპიკული ღამეების რაოდენობის მატებასთან ერთად აჭარის ტყეებში მოსალოდნელია პარაზიტების და დაავადებების გააქტიურება. აჭარის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და ტყეების ნიადაგებზე ზემოქმედებას ახდენს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ინტენსიური ნალექები და ზღვის დონის მატება. რაც შეეხება ნალექებს, უმნიშვნელო 1%-იანი მატების შემდეგ მოსალოდნელია ნალექების 10%-იანი შემცირება საუკუნის ბოლოსთვის (8).

გამოსახულება 14 მაკროსეისმური ინტენსივობის რუკა , მოცემული დონის 5%-ით (a), 2%-ით (b) და 1%-ით (c) გადამეტების ალბათობით 50 წლიანი პერიოდისთვის



5.2 სოციალური მდგომარეობა

5.2.1 მოსახლეობა და დემოგრაფიული მდგომარეობა

აჭარა ექვს მუნიციპალიტეტად არის დაყოფილი, რომლებსაც მათი ადმინისტრაციული ცენტრების მიხედვით აქვთ სახელი მინიჭებული. მუნიციპალიტეტებს შორის უმსხვილესია ბათუმი, რომელიც მოსახლეობის 40%-ს მოიცავს. მოსახლოების დანარჩენი 40% ზღვისპირა მუნიციპალიტეტებში (ქობულეთი და ხელვაჩაური) ცხოვრობს და დანარჩენი 20% - ქედის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში. ამ პროგრამის სამიზნე ჯგუფია ნახევრად ურბანული დასახლებების და სოფლების მაცხოვრებლები აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში, კერძოდ ხელვაჩაურის, ხულოს, ქედის, ქობულეთის და შუახევის მუნიციპალიტეტებში.

ცხრილი 25 2019 მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (19)

მუნიციპალიტეტი	**მოსახლეობა**		
	დაბა	**სოფლები**	**სულ**
ქედა	1.354	15.455	16.809
ქობულეთი	28.593	44.213	72.806
შუახევი	719	14.382	15.101
ხელვაჩაური	0	52.365	52.365
ხულო	956	24.946	25.902
სულ	31.622	151.361	182.983

მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება შეინიშნება 1994-2019 წლებში:30% საშუალოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი შემცრილებით ხელვაჩაურში (43%)

ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ყველაზე მაღალია სოფლად მოსახლეობის სიმჭიდროვე, რომელიც 1 კვადრატულ კილომეტრზე 156-104 მოსახლეს შეადგენს. სხვა მუნიციპალიტეტებში კი 1კმ2-ზე საშუალოდ 50 მოსახლეზე ნაკლები მოდის.

ცხრილი 26 2001 – 2014 მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება თითოეულ მუნიციპალიტეტში (19)

მუნიციპალიტეტი	**საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი [%]**
ქედა	0,01
ხელვაჩაური	-1,8
ხულო	0,6
ქობულეთი	0,6

შუახევი	0,4

ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ყველაზე მაღალია სოფლად მოსახლეობის სიმჭიდროვე, რომელიც 1 კვადრატულ კილომეტრზე 156-104 მოსახლეს შეადგენს. სხვა მუნიციპალიტეტებში კი 1კმ2-ზე საშუალოდ 50 მოსახლეზე ნაკლები მოდის..

გამოსახულება 15 ოჯახების სიმჭიდროვის რუკა აჭარაში (20)



ქვემოთ სურათზე ნაჩვენებია აჭარის მოსახლეობის გენდერული და ასაკობრივი შემადგენლობა, მათ შორის ქალების და მამაკაცების პროპორციული ოდენობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში როგორც დაბებში, ასევე სოფლებში.

გამოსახულება 16 აჭარის მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (19)



ოფიციალური მონაცემებით დაბებში ერთი ოჯახის წევრების საშუალო რადენობაა 4.4 (19), რაც ოდნავ მეტია, ვიდრე სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიშშია მითითებული 4.8 წევრი. სოფლებში ერთი ოჯახის წევრების საშუალო რადენობაა 5.8. აჭარის რეგიონების მიხედვით დეტალური ინფორმაცია არარეზიდენტი მოსახლეობის შესახებ, რომლიც ძირითადად შედგება ტურისტებისგან, ემიგრანტი მუშახელისგან და სეზონური მაცხოვრებლებისგან, არ არის ხელმისაწვდომი. .

5.2.2 სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია

საქართველოს მთავრობის აქტიური დახმარების მიუხედავად, სოფლის მაცხოვრებლებს კვლავ აწუხებს მრავალი სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემა. მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიკური დივერსიფიკაციის დაბალი დონე, მიგრაცია, უკიდურესი სიღარიბე, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და ჯანდაცვის სერვისებისადმი წვდომის ნაკლებობა. მრავალი მოქალაქისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის ძირითადი წყაროა და სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 47%-ია დასაქმებული. მიუხედავად ამისა, დაბალი პროდუქტიულობის და მიწის ფრაგმენტაციის გამო, სოფლად ოჯახები ძირითადად მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ პროდუქტს..

2015 წელს მთიანეთის განვითარების მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. ეს კანონი აჭარის მთიანეთსაც ეხება. მაღალმთიან დასახლებაში მოღვაწე მეწარმეებს სპეციალური სტატუსი მიენიჭათ. კანონში გათვალისწინებულია პრივილეგიები მაღალმთიანი რეგიონების მაცხოვრებლებისთვის, კერძოდ სოციალური და და საგადასახადო შეღავათები, (21)კომუნალური მომსახურების (ამჟამად ეს ელექტროენერგით და ბუნებრივი აირით მომარაგებას მოიცავს) გადასახადების 50%-ის სუბისიდირება. ამჟამად წყლალმომარაგების/წყალარინების ტარიფები არ მოქმედებს და უცნობია მომავალში მთავრობა მათ სუბსიდირებასაც მოახდენს, თუ არა.

როგორც ქვემოთ სურათზეა ნაჩვენები, 15 წელზე უფროსი ასაკის ქალაქის მაცხოვრებლების 32% დაქირავებული მუშაკია, ხოლო სოფლის მოსახლეობის 40% თვითდასაქმებულია საკუთარ მეურნეობაში . თუმცა სოფლის მეურნეობაში ჩართული ოჯახების შემოსავალი

მცირეა, ეს შემოსავალი ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებაში. უმუშევრობის დონე ქალაქში 14%-ია და სოფლად 5%.

ზემოაღნიშნული სტატისტიკა შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს და კრიტიკულ შეფასებას საჭიროებს. ტურიზმი და მშენებლობა წამყვან როლს თამაშობს აჭარის ეკონომიკაში. ორივე ეს დარგი მოკლევადიან, სეზონურ დასაქმებას ითვალისწინებს და დაქირავებული, ძირითადად არაკვალიფიცირებული მუშახელი, ვერ იღებს შემოსავალს ამ საქმიანობიდან მთელი წლის განმავლობაში.

გამოსახულება 17 15 წელზე უფროსი ასაკის მაცხოვრებელთა დასაქმების მიმოხილვა (19)



ბოლო წლებში გაიზარდა აჭარის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) და მოსახლეობის დასაქმებაში. 2006-2014 წლებში აჭარის წილი დასაქმებაში 33.5%-ით გაიზარდა. მეორე მხრივ, ამავე პერიოდში დამატებითი ღირებულების თვალსაზრისით შემცირდა სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და მეთევზეობის წილი. დასაქმების ყველაზე დიდი შემცირება აღინიშნა სოფლის მეურნეობაში, ნადირობისა და მეტყევეობის დარგში. აღნიშნული დარგების წილი დასაქმებაში 4%-დან 0.3%-მდე შემცირდა. ზემოთ მითითებულ პერიოდში განათლების და მასპინძლობის დარგის მუშაკები ყველაზე დაბალანაზრაურებადი იყვნენ აჭარაში.

აჭარაში (ბათუმის ჩათვლით) დასაქმებულთა ანაზღაურება 480 ლარიდან (2011 წელს) 1,135 ლარამდე (2018 წელი). ეს ეროვნულ დონეზე 14%-ით დაბალია (დაახლოებით 1320 ლარი 2018 წელს. შემოსავლის მთავარ წყაროდ დასახელდა ხელფასები (40%), შემდეგ პენსიები, სტიპენდიები და დახმარება (19%) (19).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლები, როგორც ქალაქში, ასევე სოფლეში(2015 წლის მონაცემებით), მაგრამ საშუალო ყოველთვიური შემოსავალი სოფლად 21%-ით ნაკლებია, ვიდრე ქალაქში. (21). ოფიციალური მონაცემების და სოციალურ-ეკონომიკური კვლევის მიხედვით სოფლად ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალია 1500-1800 ლარი. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია შემოსავლების წყაროები მუნიციპალიტეტების მიხედვით.:

ცხრილი 27 შემოსავლების წყაროები მუნიციპალიტეტების მიხედვით (20)

მუნიციპალიტეტი	**შემოსავლის ძირითადი წყაროები სოფლად**
ქედა	ხილ-ბოსტნეულის, ყურძნის, მარწყვის გაყიდვა ბათუმის ბაზარზე. ძირითადი საკვები პროდუქტების (დაახლოებით 30% ბაზრისთვის), მათ შორის სიმინდის და რძის პროდუქტების გაყიდვა. ეს პროდუქტები მანქანებით მიაქვთ ბათუმში. სეზონური სამუშაო მეზობელ თურქეთში.
ხელვაჩაური	სასაქონლო კულტურები, ციტრუსები და სხვა ხილი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების და საკვების პროდუქტები: რძის პროდუტქები, ბოსტნეული, საქონელი, სიმინდი, რომლებიც ყოველკვირეულ ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. დროებითი სამუშაო ქალაქებში. სეზონური სამუშაო მეზობელ თურქეთში.
ხულო	სოფლის მოსახლეობა ძირითადად ნატურალური მეურნეობას აწარმოებს. შინ დამზადებული რძის პროდუქტების, კარტოფილი და კომბოსტოს გაყიდვა. სეზონური სამუშაო (ივნისი-აგვისტო) ბეშუმის კურორტზე. (გოდერძის ზამთრის კურორტი შემოსავლის კიდევ ერთი წყარო გახდება). სეზონური სამუშაო მეზობელ თურქეთში.
ქობულეთი	ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. ძირითადად ციტრუსები, ასევე თხილი, როგორც სასაქონლო კულტურა. ქობულეთში მუშაობა. სეზონური სამუშაო მეზობელ თურქეთში.
შუახევი	ხილი, ცხოველები, თხილი (პროექტის დახმარებით), ბულგარული წიწაკა, კარტოფილი, ლობიო, სიმინდი. ქვედა ნაწილში მეტია სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ზედა ნაწილში - საქონელი (ძროხები). სამუშაო დაბებსა და ბათუმში. (ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დასაქმება არ იყო აღნიშნული). სეზონური სამუშაო მეზობელ თურქეთში.

სოციალურ-ეკონომიკური კვლევა გვიჩვენებს, რომ დაბებში თანაბარი რაოდენობითაა საკუთარი სახლები და მრავალბინიანი კორპუსები. დაბების მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი (96%) თავისი სახლის/ბინის მესაკუთრეა. სოფლად საკუთარი სახლებია გავრცელებული და თითქმის ყველა მაცხოვრებელი თავისი სახლის მესაკუთრეა. ეს 2014 წლის აღწერის მონაცემებს შეესაბამება. სახლის/ბინის საკუთრება არ ნიშნავს, რომ მაცხოვრებლებს აქვთ (რეგისტრირებული) მიწის საკუთრების უფლება. გამოკვლეულ სოფლებში ოჯახების 96%-ს აქვს სარეცხი მანქანა და 36%-ს - წყლის გათბობის სისტემა.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შესაბამისად აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა (>99%) წერა-კითხვის მცოდნეა, და 95%-ს მინიმუმ დაწყებითი განათლება აქვს. სოფლად განათლების ხელმისაწვდომობა პრობლემას წარმოადგენს. ყველა სოფელს აქვს დაწყებითი სკოლა, მაგრამ ზოგიერთ სოფელში არ არის საშუალო სკოლა.

5.2.3 სიღარიბე და სოციალურად დაუცველი მოსახლეობა

საქართველოს სოცუზრუნველყოფის სისტემის ორი ძირითადი ელემენტია მიზნობრივი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოქალაქეებისთვის და პენსია/სოციალური პაკეტი. საარსებო შემწეობა განკუთვნილია ყველაზე მოწყვლადი ოჯახებისთვის. ამ შემწეობის დასანიშნად ქულების სისტემის საშუალებით განისაზღვრება, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული ოჯახი შესაბამის კრიტერიუმებს (21). სოფლის დონის მონაცემების ნახვა შესაძლებელია დანართში.

პენსიონერი და სოციალური დახმარების ბენეფიციარი ქალების რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცების. ამის ერთ-ერთი მიზეზია ქალების სიცოცხლის უფრო დიდი ხანგრძლივობა და საოჯახო საქმეების გამო მათი ნაკლები ჩართულობა შემოსავლის მომტან საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებებს მიაჩნიათ, რომ ქალები უფრო მოწყვლადი არიან და უფრო სჭირდებათ სოციალური დახმარების პაკეტი.

გამოსახულება 18 სხვადასხვა სოციალური დახმარების ბენეფიციარი მოსახლეობის პროცენტული ოდენობა
(შენიშვნა: ერთ პირს რამდენიმე სხვადასხვა დახმარების მიღების უფლება აქვს)



სახელმწიფო განსახლების პროგრამის ფარგლებში, ეკომიგრანტები აჭარის და სვანეთის მაღალმთიანი სოფლებიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩაასახლეს.

ეკომიგრანტების დიდი ნაწილი აჭარიდან არის და აჭარის მთავრობა მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სპეციალურ პროგრამას ახორციელებს, მათ შორის ბათუმში/ბათუმის ირგვლივ. 2019 წლის მარტის მდგომარეობით აჭარაში რეგისტრირებულია 2078 ეკომიგრანტი ოჯახი (22): შედარებისთვის, საქართველოში ჯამში 5285 ეკომიგრანტი ოჯახია რეგისტრირებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სოფლების მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის გადამოწმება ადგილზე ვიზიტების დროს. არ არის მიზანშეწონილი მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობა..

5.2.4 გენდერული ასპექტები

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გენდერული უთანასწორობის ინდექსის (GII) (GII) (23), მიხედვით ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებების და ეკონომიკური სტატუსის თვალსაზრისით 2018 წელს საქართველომ 162 შესწავლილ ქვეყანას შორის 75-ე ადგილი დაიკავა. რუსეთის ფედერაციამ 54-ე ადგილი დაიკავა, ხოლო თურქეთმა 66-ე ადგილი. ამასტან სომხეთმა და აზერბაიჯანმა, რომლებსაც საქართველოზე დაბალი რეიტინგი აქვთ გაეროს განვითარების პროგრამა-ის ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით შესაბამისად 57-ე და 70-ე ადგილები დაიკავეს.

საქართველოს კანონმდებლობაში ასახულია გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპები, რაც შესაბამისობაშია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან. 2004 წელს ჩამოყალიბებული გენდერული თანასწორობის საბჭოს გარდა, 2017 წელს საქართველოს მთავრობამ შექმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი კომისია. 2010 წელს მიღებული იქნა კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, 2014 წელს - კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და 2006 წელს - კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. 2018 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კონსტიტუციის მნიშვნელოვანი დამატება, რომელიც ხაზს უსვამს ქალების და მამაკაცების თანასწორობას. კონსტიტუციის მე-11 მუხლში აღნიშნული ა(24):

“*სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.*”

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად ქალები საქართველოში რთული რეალობის წინაშე დგანან.2018 წლის გაეროს განვითარების პროგრამა-ის ანგარიშის თანახმად (24), კანონები ძირითადადდეკლარაციული ხასიათისაა მათი შინაარსი და მოქმედების სფერო შეზღუდულია. ჩამოუყალიბებელია საზოგადოების შეხედულებები გენდერულ იერარქიაზე და გენდერულ საკითხებზე. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ანალიზის თანახმად(25) :

"*[ქალებს] ერთი მხრივ, აქვთ განათლებაზე წვდომა, აქტიურად არიან ჩართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, აქვთ მცირე ბიზნესი, მაგრამ საზოგადოებას მაინც მიაჩნია, რომ ქალის მთავარი მოვალეობა შვილების და ოჯახის მოვლაა. ამ ბოლო დროს გენდერული როლები იცვლება და ქალები ხშირად ოჯახის მთავარი მარჩენალი არიან, მაგრამ ამაკაცის როლი და ოჯახში შრომის განაწილება არ შეცვლილა.“*

სექსუალური შევიწროება და გენდერული ნიშნით ძალადობა საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ ხშირად დაფარული. გენდერული ნიშნით ძალადობა ძირითადად ოჯახში ხდება. ბოლო ათწლეულში საქართველოში აქტიურად განიხილება ოჯახური ძალადობის თემა და მოიმატა ამ ფაქტებზე აღძრული საქმეების რაოდენობამ 285-დან 2011 წელს 6893-მდე 2018-

ში, ხოლო აჭარაში 6-დან 2011 წელს 839-მდე 2018-ში. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების პროცენტული ოდენობა ძირითადად უცვლელია და მთლიანად საქართველოშიც და აჭარაშიც 85%-ს შეადგენს. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც რთულია სამსახურში უფროსის მიერ თანამშრომლების სექსუალური შევიწროების დადგენა, რადგან კომპლიმენტების და მუქარის ერთმანეთისგან გარჩევა საკმაოდ ძნელია. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული სექსუალური შევიწროება და დებულებები, რომელიც კრძალავს ამგვარ შევიწროებას საზოგადოებრივ ადგილებში და სამსახურებში. შესაბამისად, სექსუალური შევიწროების მსხვერპლისთვის ძნელია სასამართლოში საქმის აღძვრა (თუ მსხვერპლს ეყო გამბედაობა ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად). ხშირად სირცხვილის ან პოლიციის და საზოგადოების მხრიდან განკითხვის შიშის გამო მსხვერპლი ვერ დგამს ამ ნაბიჯს.

აუცილებელია ქალთა უკეთესი დაცვა სექსუალური შევიწროებისგან და ამგვარი ფაქტების სისხლის სამართლებრივი დევნის გაძლიერება. უნდა შეიქმნას სპეციალური ინსტიტუტები, რომელიც დაიცავს სექსუალური შევიწროების ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს დამცინავი პოლიციის ოფიცრების ან მოსამართლეებისწინაშე წარდგომისგან. შემუშავებული უნდა იქნეს შიდა ინსტიტუციური მექანიზმები (ადმინისტრაციაში და სახელმმწიფო კომპანიებში) და ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია მამაკაცებისთვის, რომ მათ აუხსნან რა ზომების მიღება შეიძლება ქალი კოლეგების დასაცავად.

როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, პენსიონერი და სოციალური დახმარების ბენეფიციარი ქალების რაოდენობა კაცებზე დაახლოებით ორჯერ მეტია. ამის ერთ-ერთი მიზეზია ქალების სიცოცხლის უფრო დიდი ხანგრძლივობა და საოჯახო საქმეების გამო მათი ნაკლები ჩართულობა შემოსავლის მომტან საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებებს მიაჩნიათ, რომ ქალები უფრო მოწყვლადი არიან და უფრო სჭირდებათ სოციალური დახმარების პაკეტი.

საქართველოს პატარა ქალაქებში, სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში საზოგადოება კვლავ გენდერული ურთიერთობების ტრადიციული მოდელის ერთგულია. ეს განსაკუთრებით მთიან აჭარას ეხება, სადაც გენდერული როლების, ოჯახური ურთიერთობების, ქორწინების, უფროსების პატივისცემის, ბავშვების განათლების, საოჯახო საქმის განაწილების ტრადიციული სისტემის გამო ქალებს ორმაგი-სამმაგი დატვირთვა აქვთ მამაკაცებთან შედარებით. ქალაქებში, ბარში, ზღვისპირა კურორტებზე ქალებს მეტი ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობები აქვთ. თუმცა, ხშირად ქალებს უწევთ ოჯახის მოვლასთან ერთად დამატებითი ფინანსური შემოსავლისთვის შრომა. ამავე დროს ქალების და მამაკაცების ანაზღაურება არათანაბარია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალი უფრო კვალიფიციურია/განათლებულია. საქართველოში ქალების და მამაკაცების ანაზღაურებას შორის განსხვავება დაახლოებით 35%-ია (26).

2015/2016 წლებში მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნა პროექტის ყველა მუნიციპალიტეტში მუნიციპალურ დონეზე გენდერული საკითხებისადმი დიდი ყურადღების მაჩვენებელია. აღსანიშნავია ასევე, რომ ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს ქალთა ოთახი, სადაც კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაა შესაძლებელი. ქალთა ოთახები მოქმედებს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში (ქობულეთის გარდა) და ამ წინ გადადგმულ ნაბიჯს უნდა ახლდეს სათანადო დაფინანსება და თანამშრომლები. ამ თვალსაზრისით ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სხვებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

რაც შეეხება წყალმომარაგებას, ოჯახების უმეტესობაში სასმელ წყალზე ქალები ზრუნავენ, რადგან ისინი რეცხავენ, აბანავებენ ბავშვებს, ამზადებენ საჭმელს, უვლიან ოჯახის ავადმყოფ

წევრებს და სხვა. სოციალურ-ეკონომიკური კვლევის თანახმად წყლის მოტანის ვალდებულება თანაბრად არის განაწილებული მამაკაცებსა და ქალებს შორის.

პროექტმა გენდერული თანასწორობის საბჭოს უნდა აცნობოს მუნიციპალიტეტებში ჩასატარებელი შეხვედრების შესახებ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალები ჩართოს. როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე სოფლის დონეზე უაღრესად სასურველია ქალების მონაწილეობა წყალმომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

5.2.5 ჯანდაცვა და შრომისუუნარობა

2013 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და უზრუნველყო საქართველოს ყველა მოქალაქის სამედიცნო მომსახურების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ, გაუმჯობესა ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის და ჩამოაყალიბა მექანიზმი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მაღალი ხარჯებისგან მოსახლეობის დასაცავად (21).

მთიანი რეგიონების მოსახლეობას ჯანდაცვის სერვისებისადმი შეზღუდული წვდომა აქვს. ყველა სოფელში არის ექიმი, მაგრამ აფთიაქების მცირე რაოდენობის გამო მოსახლეობას უჭირს წამლების შეძენა. სოფლის მაცხოვრებლებს ქალაქში უწევთ გამგზავრება წამლების შესაძენად (21).

ქვემოთ სურათზე წარმოდგენილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯგუფები მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემების საფუძველზე (ორგანიზმის ფუნქციათა დარღვევის ხარისხი არ არის გათვალისწინებული).

გამოსახულება 19 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსახლეობა (19)



2012 წლის შემდეგ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში და მუნიციპალიტეტში გაიზარდა სპეციალიზირებული (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობვების პირებისთვის და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი) დაწესებულებების რაოდენობა. სოფლად კი ეს მომსახურება კვლავ ძნელად მისაწვდომია (21).

5.2.6 ეთნიკური ჯგუფები, რელიგია და ენა

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად აჭარაში ძირითადად ქართველები (96%) ცხოვრობენ. ეროვნული უმცირესობებიდან აღსანიშნავია ქალაქებში მცხოვრები

სომხები (3%) და რუსები (2%). აჭარაში სოფლად მაცხოვრებელთა უდიდესი უმრავლესობა (99%) ქართველია. (99%).

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტიურად დაიწყო აჭარის მოსახლეობის გაქრისტიანება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერია ახალგაზრდებში. მართლმადიდებელი ქრისტიანები აჭარის მოსახლეობის 54.5%-ს შეადგენენ, ხოლო სუნიტი მუსლიმები - 40%-ს. დიდი განსხვავებაა ქალაქის და სოფლის მოსახლეობას შორის. ქალაქის მაცხოვრებელთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია (68%) და მხოლოდ 26%-ის - მუსლიმი. სოფლად მუსლიმები 56%-ს შეადგენე, ხოლო ქრისტიანები - 38%-ს. მუსლიმი მოსახლეობა ძირითადად ხულოს მუნიციპალიტეტში ცხოვრობს.

აჭარის ოფიციალური ენა ქართულია და აჭარის მოსახლეობის დიდ უმრავლესობა (96%) თავისუფლად ლაპარაკობს ქართულად. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად არაქართულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი საუბრობს რუსულად (40%) და აზერბაიჯანულად (25%).

5.2.7 მიწის საკუთრება და მიწათსარგებლობა

მიწის საკუთრების თვალსაზრისით პროექტის ფართობებზე განსხვავებული სიტუაციაა. მაღალმთიან რაიონებში მიწის საკუთრება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ხელმისაწვდომია საარქივო ჩანაწერები (ე.წ. „სოფლის წიგნები“), რომელთა საშუალებით ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია მიწის საკუთრების დადასტურება.

2016 წელს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამა. მისი მიზანია მოქალაქეებისთვის მიწის საკუთრების რეგისტრაციის გაადვილებ და რეგისტრაციის ხელშეწყობა. რეგისტრაციის და საკადასტრო მონაცემების ბაზების შექმნა მიწის ბაზრის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს (21).

ამ დროისთვის მიწის რეგისტრაცია უფასოა და პროგრამა ხელს უწყობს ამ პროცესს. მიწის რეგისტრაციის შემდეგ მუნიციპალიტეტებს ექნებათ საშუალება შეისყიდონ მიწა სამუშაოების დაწყებამდე და სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩაიბარონ აშენებული ინფრასტრუქტურა. მიწის რეგისტრაციის გარეშე შეუძლებელია ამის კანონიერად განხორციელება.

აჭარაში მცირეა მიწის ფართობი და რთული რელიეფია. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის დონე მაღალია. საშუალოდ, ერთი ოჯახი 1.22 ჰა მიწას ფლობს, რომელიც რამდენიმე ნაკვეთად არის დაყოფილი. აჭარის ტყეების ფართობი 153.4 ათას ჰა-ს შეადგენს, რაც აჭარის მთელი ტერიტორიის 53%-ია.

5.2.8 ტურიზმი

ბოლო რამდენიმე წელიწადია აჭარი ტურიზმის დეპარტამენტია აქტიურად მუშაობს აჭარაში ტურიზმის ხელშესაწყობად (27). აჭარა წარმოადგენს ფრინველებზე დაკვირვების მსოფლიოში აღიარებულ ადგილს და აქვს ასევე კულინარიული და აგრო-ტურიზმის, სეხონური ნადირობის (ტახი, კურდღელი, მაჩვი), კალმახზე თევზაობის, კენკრის კრეფის განვითარების პოტენციალი. პერსპექტიულია ასევე ზამთრის ტურიზმის და სათხილამურო კურორტების განვითარება აჭარაში. მიმდინრეობს ქედის მუნიციპალიტეტში სამკურნალო

მინერალური და თერმული წყლების პოპულარიზაცია. აჭარაში ტურისტული სეზონის პიკია ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდი. .

2018 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტს ტურისტების ყველაზე დიდი რაოდენობა (104,702) ეწვია. ეს 38%-ით მეტია, ვიდრე 2017 წელს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტშიც გაიზარდა სტუმრების რაოდენობა (112%-ით 2017 წელთან შედარებით). იმავე პერიოდში გაიზარდა სტუმრების რაოდენობა ქედის, ხულოს და შუახევის მუნიცპალიტეტებში (შესაბამისად 12%, 31% და 26%) (28). 2018 წელს 139%-ით მეტმა სტუმარმა ისარგებლა საოჯახო სასტუმროების მომსახურებით, ვიდრე წინა წელს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა მოამზადა იმ სოფლების ჩამონათვალი, სადაც არსებობს ტურიზმის და სასტუმროების განვითარების კარგი პოტენციალი:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტი: ჩაქვისთავი მტირალას ეროვნულ პარკში ერთ-ერთი პრიორიტეტული სოფელია პროგრამაში;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი: ცხემლარას და ქვედა ჩხუტუნეთის მეზობელი სოფლები მაჭახელას ხეობაში;
- ქედის მუნიციპალიტეტი:გობრონეთი, პირველი მაისი, მერისი, გუნდაური და გოგიაშვილები;
- შუახევის მუნიციპალიტეტი: ნიგაზეული, ტომაშეთი.

5.2.9 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

აჭარის სანაპირო ზოლში და მთებში ნეოლითური ხანის ბევრი არქეოლოგიური ძეგლია. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებს შორის აჭარაში მდებარეობს:

- გონიოს (აფსაროსის) არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი - გონიოს არქეოლოგიური კომპლექსი აფსაროსის ციხის ჩათვლით (დაახლოებით ძვ. წ. მე-2 საუკუნე);
- პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი - რომაული ქალაქი პეტრას ნანგრევები ციხისძირში (ახ. წ. მე-6 საუკუნე);

6. გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების ფარგლების დადგენა (სკოუპინგი)

6.1 მიზნები და მიდგომები

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი (ESMF) პროგრამის და მისი ქვეპროექტების რისკების და ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ

რისკების და ზემოქმედების განსაზღვრა კი შეუძლებელია მანამდე, სანამ გაირკვევა პროგრამის და/ან ქვეპროექტების დეტალები (მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები(ESS 1).

ESMF-ის მიზანია სათანადო ჩარჩოს ჩამოყალიბება პროექტით გამოწვეული დადებითი სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების მაქსიმალურად გასაზრდელად და უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. მასში განსაზღვრულია პოტენციური ზემოქმედება და პროექტის პერიოდში განსახორციელებელი უსაფრთხოების ზომები. კერძოდ, ESMF-ში:

- აღწერილია ამ დოკუმენტის მიმართება საქართველოს კანონებთან და სტრატეგიასთან და ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრის გზები. (იხ. თავი 3.4 შეუსაბამობის ანალიზი)
- განსაზღვრულია პროექტის საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის პროცედურები და მეთოდები;
- იდენტიფიცირებულია და შეფასებულია პროექტის პოზიტიური და ნეგატიური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წყლის არაოფიციალურ/სეზონურ მოხმარებას, მოწყვლადი მოსახლეობის ჩართვას და გენდერულ ასპექტებს.
- აღწერილია ზემოქმედების შემცირების ზომები და პროექტის დოკუმენტებში და კონტრაქტებში მათი გათვალისწინების შესაძლებლობა;
- განსაზღვრულია სამუშაო სტანდარტების (ILO) და ჯანდაცვის და უსაფრთხოების (EHS) (საზოგადოებრივი უსაფრთხოება/შრომის უსაფრთხოება მოთხოვნების გათვალისწინება. იხ. თავი 9.
- დაგეგმილია მონაწილე მხარეებთან კონსულტაციები და ზემოქმედების და მისი შემცირების შესახებ დოკუმენტების გასაჯაროება (მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP). იხ. თავი 8.
- შემუშავებულია საჩივრების და პრეტენზიების განხილვის პრაქტიკული მექანიზმი. იხ. **Error! Reference source not found.**-ე. თავი
- ჩამოყალიბებულია სათანადო მონიტორინგის სისტემების და ანგარიშგების პროცედურები ზემოქმედების ეფექტური მართვის მიზნით და ზემოქმედების შემცირების მეთოდები. იხ. თავი 6.4.
- განსაზღვრულია სხვადასხვა უწყებების როლი და პასუხისმგებლობა ზემოქმედების მართვის პროცესში
- მითითებულია პოტენციალის განვითარების რა ზომები და რა ტრენინგები დასჭირდება ESMF-ის განმახორციელებელ ინსტიტუტებს. იხ. თავი **Error! Reference source not found.**

ESMF-თვის შემთხვევაში პოტენციური ზემოქმედება/რისკები შეფასებულია მათი მნიშვნელობის მიხედვით. ზემოქმედების მნიშვნელობა შემდეგი პარამეტრების მიხედვით განისაზღვრება:

- ზემოქმედების/რისკის ინტენსიურობა, ანუ გარემოს და სოციალური მდგომარეობის ცვლილების სიძლიერე (დიდი, საშუალო ან მცირე ცვლილება);
- ზემოქმედების/რისკის სივრცითი მასშტაბი, ანუ (ადგილობრივი - პროექტის ადგილას, ლოკალური - მუნიციპალიტეტის დონეზე, რეგიონული - აჭარის მასშტაბით, ეროვნული - საქართველოს მასშტაბით);

- ზემოქმედების/რისკის მნიშვნელობა, ანუ კონკრეტული საკითხი გლობალური, ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური მნიშვნელობისაა თუ მხოლოდ ადამიანთა შეზღუდული ჯგუფისთვისაა მნიშვნელოვანი;
- ზემოქმედების/რისკის ალბათობა, ანუ რა ალბათობა არსებობს, რომ ზემოქმედება/რისკი გავლენას იმოქმედებს სენსიტიურ (პოტენციურად მოწყვლად) რეცეპტორებზე.
- ცხრილი 28 ზემოქმედების მნიშვნელობის კრიტერიუმები

ზემოქმედების მნიშვნელობა	განსაზღვრება
დიდი	• გარემოსდაცვითი და სოციალური-ეკონომიკური სიტუაციის ძალიან დიდი ან დიდი ცვლილება • ზემოქმედება (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური) სავარაუდოდ რეგიონულ დონეზე იქნება შესამჩნევი და მნიშვნელოვანი ან გარემოს დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და/ან არღვევს ადამიანთა უფლებების დაცვის სამართლებრივი სანქციებით უზრუნველყოფილ მექანიზმს. • ზემოქმედებს სენსიტიურ რეცეპტორებზე
საშუალო	• გარემოსდაცვითი და სოციალური-ეკონომიკური სიტუაციის საშუალო ცვლილება • ზემოქმედება სავარაუდოდ მუნიციპალიტეტის დონეზე იქნება შესამჩნევი და მნიშვნელოვანი • სენსიტიურ რეცეპტორებზე ზემოქმედება ნაკლებად მოსალოდნელია
მცირე	• გარემოსდაცვითი და სოციალური-ეკონომიკური სიტუაციის მცირე ცვლილება • ზემოქმედება გამოვლინდება პროექტის ფართობებზე და შეიძლება ლოკალური მნიშვნელობის საკითხად იქცეს. • სენსიტიურ რეცეპტორებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი
უმნიშვნელო	• არ მოხდება შესამჩნევი ცვლილება გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში. • ზემოქმედება გამოვლინდება პროექტის ფართობებზე და უმნიშვნელო ან ნეიტრალური იქნება • სენსიტიურ რეცეპტორებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი
პოზიტიური	• დადებითი ზემოქმედება (გარემოსდაცვითი და სოციალური) ლოკალურ და რეგიონულ დონეზე.

6.2 ზემოქმედების შეფასება და ზემოქმედების შეფასების ზომები (სკოუპინგი)

ზემოქმედება 6 კატეგორიად არის დაყოფილი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) სტრუქტურის შესაბამისად:

1. ფიზიკური ზემოქმედება (P)
2. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება (B)

3. სოციალური ზემოქმედება (S)
4. ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება(HS)
5. კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედება (CH)
6. კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედება (CC)

ქვემოთ წარმოდგენილია სავარაუდო ზემოქმედების დეტალური აღწერა და პოტენციური მნიშვნელობის შეფასება რეცეპტორების სენსიტიურობის და ზემოქმედების სიძლიერის შედარების საფუძველზე. წინასწარი შეფასება გვიჩვენებს, სად შეიძლება იჩინოს თავი გარემოსდაცვითმა და სოციალურმა რისკებმა და სად არის საჭირო განსაკუთრებული სიფრთხილე ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად. ზემოქმედების შემცირების შესაბამისი ზომები შეტანილია ESMP-ში.

6.2.1 პოტენციური ფიზიკური ზემოქმედება (P)

ფიზიკური ზემოქმედება ნიშნავს მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე პროექტის გავლენას. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ლანდშაფტის განადგურების, ბუნებრივი რესურსების განადგურების ან ამოლევის, ნიადაგის გამოფიტვის და ეროზიის, წყლის ნაკადების მიმართულების შეცვლის, წყლის ან სხვა რესურსების (მაგალითად, ჰაერის) დაბინძურების რისკები.

პროექტის ფარგლებში ფიზიკური ზემოქმედების მიზეზი შეიძლება იყოს მისასვლელი გზების, წყალამღებების, წყლსი რეზერვუარების, წყალგამწმენდი ნაგებობების მშენებლობა, სასმელი წყლის მილსადენების მოწყობა და გამოცვლა, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების/სეპტიკური ავზების და საკანალიზაციო მილების/ქსელების მოწყობა.

ცხრილი 29 პოტენციური ფიზიკური ზემოქმედება (P)

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/რისკის აღწერა
ნიადაგი	ზომიერი	• სამუშაოების შესასრულებლად გრუნტის ამოღება ეროზიის პოტენციურ რისკს ქმნის სამშენებლო მოედანზე (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, წყლის გამწმენდი ნაგებობები, რეზერვუარები, წყალამღები ნაგებობები და სხვა) და მათთან მისასვლელ გზებზე. უმეტესად გამოყენებული იქნება არსებული გზები ან ახალი მისასვლელი გზები 500მ-ზე მოკლე იქნება. • კერძო საკუთრების ან გარემოს (მაგ. ხეების და სხვა) დაზიანება გრუნტის ამოღების გამო წყალმომარაგების და წყალარინების მილსადენების მოწყობის ან წყალამღებების და სხვა ნაგებობების მშენებლობის მიზნით. • ზედაპირული წყლის წყალამღებების ნატანით ამოვსება • საკანალიზაციო შლამის მართვა: გაუწყლოებული შლამი გამოიყენება სოფლის მეურნეობაში/ნიადაგის გასაუმჯობესებლად (დიდი მოთხოვნით სარგებლობს აჭარაში/ბათუმის შემოგარენში)
წყალი (წყალმომარაგების სისტემები)	ზომიერი	• ზედაპირული წყლების დაბინძურება სამშენებელო სამუშაოების და ტექნიკის, ასევე ნარჩენების დაყრის (იხილეთ ქვემოთ) და ამოღებული გრუნტის გამო. (იხილეთ ზემოთ)

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/რისკის აღწერა
		• გრუნტის წყლების დაბინძურება ჭაბურღილებიდან • წყალმოხმარების ეფექტურობის ზრდა (წყლის მრიცხველების მონტაჟის და მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის შენარჩუნების საშუალებით). • პოზიტიური: სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება.
წყალი (წყალარინების სისტემების გამო)	ზომიერი	• ჩამდინარე წყლების გამწმენდი მცირე ნაგებობები (50-2000 მოსახლის ეკვივალენტი (მეკი)). გაწმენდილი ნამუშევარი წყლის ჩაშვების გამო წყლის ხარისხის გაუარესება მდინარეებ2ში (რეცეპტორ წყლის ობიექტებში). ეს განსაკუთრებით იმ მდინარეებს ეხება, სადაც მცირეა წყლის ნაკადი. • არ არის მოსალოდნელი შლამის დაბინძურება (დამრეწველო ნარჩენების არარსებობის გამო) • პოზიტიური:ამჟამინდელი მწყობრიდან გამოსული გამწმენდი ნაგებობების ნაცვლად ახალი ნაგებობების მოწყობის შედეგად გაუმჯობესდება წყლის წმენდის ხარისხი. ამჟამად კი სეპტიკური ავზებიდან და სოფლების ადგილობრივი სისტემებიდან საკანალიზაციო ნარჩენები პირდაპირ მდინარეებში/წყაროებში ჩაედინება..
ჰაერი	მცირე	• მტვრის და დაბინძურების მობილური წყაროდან გამონაბოლქვის გამო მისასვლელი გზების გასწვრივ დროებითი ზემოქმედება მოხდება ჰაერის ხარისხზე. ძირითადი დამაბინძურებლებია CO, NOx, SO2, ბენზო(a)პირენი და მტვრის მყარი ნაწილაკები. ტენიანი კლიმატის გამო არ არის მოსალოდნელი მტვრის დიდი რაოდენობით წარმოქმნა.
ხმაური	მცირე	• სამშენებლო ტექნიკის ხმაური მოკლე ხნით შეაწუხებს მოსახლეობას.

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/რისკის აღწერა
		• ექსპლუატაციის დროს არ არის მოსალოდნელი ხმაური.
ნარჩენები	ზომიერი	• წარმოიქმნებაა სამშენებლო ნარჩენები (მაგ. პლასტმასის შეფუთვა), ძველი გამოცვლილი მილები, მონგრეული ნაგებობები და ამოღებული გრუნტი.

ცხრილი 30 ზემოქმედების შემცირების რეკომენდებული ზომები: პოტენციური ფიზიკური ზემოქმედება (P)

მშენებლობის წინ
• შემლებისდაგვარად არსებული გზების გამოყენების საშუალებით ახალი მისასვლელი გზების მშენებლობის თავიდან აცილება. ახალი მისასვლელი გზების სათანადოდ დაგეგმვა გარემოს დაზიანების მინიმუმამდე შესამცირებლად. თუ ახალი გზების მშენებლობა გარდაუვალია ან არსებული გზები რეაბილიტაციას საჭიროებს, აუცილებელია გრუნტის სტაბილიზაციის ზომების განხორციელება. • მიუდგომელ ადგილებში და ციცაბო ფერდობებზე გზების მშენებლობის თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება მილსადენების გასაყვანად მაგისტრალების გასწვრივ. • ადგილობრივი კონტრაქტორებისთვის მისასვლელი გზების მშენებლობის დეტალური და გარემოსთვის უსაფრთხო პრინციპების შემუშავება (ეროზიის პრევენცია, ფერდობების სტაბილიზაცია, გზების ქანობი, ხეების მოჭრის თავიდან აცილება, ზედაპირის სტაბილიზაცია და ხრეშის საფარის მოწყობა და სხვა). მკაცრი სანქციების დაწესება ამ პრინციპების დარღვევისთვის. • კონტრაქტორების მიერ ახალი მისასვლელი გზების მოწყობისას ამოღებული გრუნტის საყრელების გეგმის მომზადება და წარდგენა დასამტკიცებლად. • შემლებისდაგვარად მილსადენების გზების გასწვრივ გაყვანა.
მშენებლობისას
• ტრენინგები კონტრაქტორებისთვის, ქვეკონტრაქტორებისთვის და მუშებისთვის მშენებლობის ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის თაობაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი მისასვლელი გზების, წყალამღებების მშენებლობისას და სამშენებლო მოდნების მოწყობისას დაბებსა და სოფლებში. • ამოღებული გრუნტი დროებით შეიძლება სამშენებლო მოედანზე განთავსდეს და გაიცხრილოს, რომ მაქსიმალურად მოხდეს მისი ხელახლა გამოყენება. გამოუსადეგარი გრუნტი დამკვეთთან და ადგილობრივ ხელისფლებასთან შეთანხმებულ ადგილას უნდა იქნეს გატანილი. დაუშებელია მისი მდინარეში ან მდინარის ფერდობებზე დაყრა. მიწის სამუშაოების წარმოების ადგილას მიღებული უნდა იქნეს ეროზიის პრევენციის ზომები.

- სამშენებლო სამუშაოების დროს თავიდან უნდა იქნეს აცილებული კერძო საკუთრების დაზიანება და მინიმუმამდე იქნეს შემცირებული გარემოს დაზიანება (მაგ. ხეების მოჭრა);
- გასწორებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზიანი.
- მიწისზედა წყლების წყალამღები ნაგებობების პროექტებში მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული ნატანის დაგროვების რისკი და სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს წყალამღების ზემოთ ეროზიის შესამცირებლად.
- სამშენებლო ტექნიკის და ავტომობილების სათანადო ტექმომსახურება შეამცირებს ჰაერის დაბინძურებას. აუცილებელია ზეთის და ბენზინის დაღვრის პრევენცია. ზეთი და ბენზინი სათანადოდ უნდა იქნეს შენახული.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუშახელის ჯანდაცვა და შრომის უსაფრთხოება (ხმაურისგან დამცავი აღჭურვილობა). დასახლებულ ადგილებში შეზღუდული უნდა იყოს სამუშაო საათები. არ არის აუცილებელი გარემოს ხმაურის მონიტორინგი.
- კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს ნარჩენების მართვის დეტალური გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება გრუნტის და სამშენებლო ნარჩენების საყრელების სპეციფიკაციები.
- მიწისზედა წყლების წყალამღები ნაგებობების პროექტებში მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული ნატანის დაგროვების რისკი და სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს წყალამღების ზემოთ ეროზიის შესამცირებლად.
- ტრენინგების მუშებისთვის ნარჩენების მართვის საკითხებში.
- სათანადო პრაქტიკის მონიტორინგი და განხორციელება => სანქციები.
- მსგავსი პროექტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასალების/აღჭურვილობის ტრანსპორტორებით გამოწვეული გამონაბოლქვი მცირეა და არ არის საჭირო დისპერსიის მოდელირება. ჰაერის ხარისხის მონიტორინგი აუცილებელი არ არის.

ექსპლუატაციისას

- მისასვლელი გზების მოვლა-შენახვა (მეწყრების/ეროზიის თავიდან ასაცილებლად).
- ზედაპირული და გრუნტის წყლების შემკრები ფართობების დაცვა => წყაროების და ჭაბურღილების შემოღობვა. მიწათსარგებლობის რეგულირება დაცულ ფართობებზე.
- აღებული გაუწმენდავი წყლის ხარისხის მონიტორინგის წყლის გამწმენდ ნაგებობაში.
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწმენდილი ნამუშევარი წყლისთვის დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობა (წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) საფუძველზე) ნიშნავს, რომ არ გაუარესდება წყლის იმ ობიექტების მდგომარეობა, სადაც ნამუშევარი წყლის ჩაშვება ხდება.
- ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში ნამუშევარი წყლის მონიტორინგი (დაკმაყოფილებული უნდა იყოს საკანალიზაციო წყლების წმენდის სამიზნე მაჩვენებლები). 50-2000მეკი სიმძლავრის გამწმენდი ნაგებობის შემთხვევაში ნამუშავერი წყლის მიმართ მოთხოვნები შემდეგია: ჟანგბადის ბიოქიმიური მოხმარება (BOD5) < 35 მილიგრამი/ლიტრზე ან 60% მოცილების ხარისხი.(გამონაკლისის მოთხოვნა საქართველოს არსებულის რეგულაციებიდან მიმდინარეობს.

- 50მეკზე ნაკლები სიმძლავრის გამწმენდი ნაგებობისთვის არ არსებობს წყლის წმენდის რიცხობრივი სტანდარტი. ამგვარი ნაგებობის პროექტი უნდა უზრუნველყოფდეს ნაგებობის ტიპის და ზომების შესაბამისობას მინიმალურ ტექნიკურ სპეციფიკაციებთან. ეს ნაგებობა მოიცავს 2-3 განყოფილებიან სეპტიკურ ავზს (ან რაიმე მსგავს მოწყობილობას) და საფილტრაციო თხრილს. საწყის ეტაპზე შეიძლება რამდენიმე ამგვარი ნაგებობის მონიტორინგი განხორციელდეს გარემოსთვის მათი მცირე რისკის და ზემოქმედების დასადასტურებლად. შემდგომ ეტაპზე მონიტორინგი საჭირო არ იქნება.
- საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების წმენდა და შლამის გამოყენება სოფლის მეურნეობაში => ნიადაგის გაუმჯობესება / ძვირფასი მასალა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის. (გათვლილია მოკლე/საშუალოვადიანი მონიტორინგო, რადგან ევროკავშირის მოთხოვნის შესრულება ლამის სოფლიოს მეურნეობაში გამოყემების შესახებ შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიანი დაკვირვების შედეგად).
- ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება-განხორციელება, სამშენებლო მოედანზე შენახული ნარჩენების რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს. მუშებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები ნარჩენების მართვის საკითხებში.

6.2.2 პოტენციური ზემოქმედება მრავალფეროვნებაზე (B)

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება პროექტის საქმიანობით გამოწვეულ ეკოსისტემის ცვლილებას უკავშირდება. წყალმომარაგების და წყალარინების შემთხვევაში ეს არის ზედაპირული წყლის ობიექტებში წყლის ხარჯის ცვლილება წყალაღების და გაწმენდილი ნამუშევარი წყლის ჩაშვების გამო. ეს გავლენას ახდენს წყლის და მის ირგვლივ ხმელეთის ჰაბიტატზე.

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ასევე ტყის ჰაბიტატის შეცვლამ, მაგალითად თუ მიუწვდომელ ადგილებში მისასვლელი გზები აშენდება, ეს იმოქმედებს მანამდე ხელუხლებელი ადგილების ფლორასა და ფაუნაზე.

პროექტის ფართობის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება მოიცავს ფლორის და ფაუნის ჰაბიტატებს (როგორც წყლის, ასევე ხმელეთის), დაცულ ტერიტორიებს, ეკოსისტემის სერვისებს და სხვა.

ცხრილი 31 ბიომრავალფეროვნებაზე პოტენციური ზემოქმედება (B)

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/რისკის აღწერა
ლანდშაფტი	ზომიერი	• ლანდშაფტზე სერიოზული ზემოქმედების მიზეზი შეიძლება იყოს მისასვლელი გზების მშენებლობა და მაგისტრალების მოწყობა ტყიან და მიუწვდომელ ადგილებში (თუ მსხვილი სამშენებლო ტექნიკა იქნა გამოყენებუილი მილების ჩასაწყობად). აუცილებელია ამ ტიპის ზემოქმედების თავიდან აცილება მთის ხეობებში, მაგრამ მუნიციპალიტეტები უპირატესობას ანიჭებენს მისასვლელი გზების მშენებლობას, რადგან ეს აადვილებს ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას. ყველა ქვეპროექტის ფარგლებში ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს ზემოქმედება და მისი შემცირების ზომები, რომ ადგილობრივმა კონტრაქტორებმა არ ააშენონ გზები სათანადო დაგეგმარების გარეშე. .
ფლორა და ფაუნა / ჰაბიტატები და ეკოსისტემები/ ტყე	ზომიერი	• ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელია ახალი მისასვლელი გზების მშენებლობის ან არსებული გზების დიდი გაფართოების შემთხვევაში. ახალი მისასვლელი გზების სიგრძე შეზღუდული იქნება და ძირითადად არსებული გზები იქნება გამოყენებული.

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/რისკის აღწერა
		• პროექტის სხვა საქმიანობა, მაგალითად გამწმენდი ნაგებობების/სეპტიკური ავსების მოწყოპბა სავარაუდოდ არ მოახდენს უარყოფით გავლენას ხმელეთის ფლორასა და ფაუნაზე. • სამშენებლო მოედნის ხმაურმა და განათებამ, განსაკუთრებით წყალამღებების შემთხვევაში, შეიძლება ზიანი მიაყენოს ცოცხალ ბუნებას. • პოზიტიური: შლამის საშრობი მოედნები და ხელოვნური ჭაობები ფრინველების ჰაბიტატს წარმოადგენს
ფლორა და ფაუნა / ჰაბიტატები და ეკოსისტემები/ ზედაპირული წყლები	ზომიერი	• წყლის რესურსების ჭარბი მოხმარება და მდინარეში წყლის ხარჯის შემცირება.
დაცული ტერიტორიები	მცირე	• ამჟამინდელი გეგმის მიხედვით პროექტის საქმიანობა ზემოქმედებას არ მოახდენს მაჭახელს და ქობულეთის ეროვნულ პარკებზე (ისპანის ჭაობებზე). • 1-ელი ლოტის პროექტის ფარგლებში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ერთი ნაგებობა ქობულეთის ეროვნულ პარკთან მდებარეობს (ისპანი), მე-2 ლოტის ერთ-ერთი სოფელი მტირალას ეროვნულ პარკში მდებარეობს,. მშენებლობის დროს მოსალოდნელია დროებითი მცირე შეწუხება, მაგრამ მთლიანობაში ზემოქმედება პოზიტიური იქნება, რადგან გაუმჯობესდება სანიტარული სიტუაცია.
ეკოსისტემის სერვისები	პოზიტიური	• სასმელი წყლის მოხმარების ეფექტურობის გაუმჯობესება • პროექტის ფარგლებში შეჩერდება გაწმენდილი ნამუშევარი წყლის მიმღები წყლის ობიექტების მდგომარეობის გაუარესება ან მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/რისკის აღწერა
		• ხელოვნური ჭაობების (1-ელი ლოტი) და სეპტიკური ავზების საფილტრაციო თხრილების (მე-2 ლოტი) მოწყობა ნიშნავს ჰაბიტატის შექმნას და ბუნებრივი გადაწყვეტილებების პოვნას. • ექსპლუატაციის ეტაპზე არ არის მოსალოდნელი ეკოსისტემის სერვისებზე უარყოფითი ზემოქმედება.

ცხრილი 32 ზემოქმედების შემცირების რეკომენდებული ზომები: პოტენციური ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე (B)

მშენებლობის დაწყებამდე
• ლანდშაფტზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება მისასვლელი გზების სათანადო დაგეგმვის საშუალებით და ახალი მისასვლელი გზების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მშენებლობა. • ზედაპირული წყლების ობიექტებში ეკოლოგიური ხარჯის შენარჩუნება. წყალამღების სათანადო პროექტის საშუალებით მდინარეში წყალმარჩხობის პერიოდშიც კი უნდა მოედინებოდეს წყლის გარკვეული ხარჯი. • დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით ინფრასტრქუტურის სათანადოდ ადგილებში მოწყობა. პოტენციური ზემოქმედება/საზღვრების გადაფარვა თავიდან უნდა იქნეს აცილებული და უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე თითოეული პროექტისთვის. • თუ შენდება ახალი მისასვლელი გზები, თუ ისინი მიუდგომელ ტყიან ადგილებშია განლაგებული ან მათი სიგრძე 300მ-ს აღემატება, ასევე, თუ არსებული გზა მნიშვნელოვნად ფართოვდება, რეკომენდებულია ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩატარება. საჭიროა მისასვლელი გზების ალტერნატიული ვარიანტების შედარება გარემოზე, ჯანმრთელობაზე და სოციალურ მდგომარეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. • მილსადენის ტრასის ოპტიმიზაცია ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად, განსაკუთრებით ტყიან ადგილებში. • ახალი წყალმაღების მშენებლობისას რეკომენდებულია ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩატარება (იქთიოფაუნის ჰაბიტატის და ფლორა/ფაუნის ანალიზი. არსებული წყალამღების გამოცვლისას ბიომრავალფეროვნების კვლევა არ არის აუცილებელი. საკმარისია მშენებლობის სათანადო პრაქტიკა. • ქვეკონტრაქტებში გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოს დაცვის შესახებ დებულებები და სანქციები გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების და ეკოლოგიურად უსაფრთხო მშენებლობის პრაქტიკის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
მშენებლობისას

- ტრენინგები მუშებისთვის და სათანადო პრაქტიკის განხორციელება და მონიტორინგი წყალამღებების, მისასვლელი გზების, თხრილების, მილსადენების მშენებლობა-მოწყობის და სხვა ლითონის და ბეტონის სამუშაოების დროს.
- სენსიტიურ ადგილებში, მაგალითად ტყეებში, მშენებლობის სათანადო მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესამცირებლად.
- ქვეპროექტის ფარგლებში ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგების საფუძველზე მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ზემოქმედება წყალამღებებთან ახალი მისასვლელი გზების და 300მ-ზე გრძელი გზების მოწყობისას მილსადენების გასწვრივ. ამ კვლევების ჩატარება გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეპროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებში. გასხვისების ზოლი მინიმუმამდე უნდა იყოს შემცირებული.
- არსებული მისასვლელი გზების რეაბილიტაციისას (თუ არ ხდება გზის გაფართოება) აუცილებელია მშენებლობის სათანადო პრაქტიკა, კერძოდ გრუნტის სტაბილიზაცია, ეროზიის პრევენცია, ხეების ჭრის მინიმუმამდე შემცირება და სხვა.
- კონტრაქტორს არა აქვს ტყეში ხეების ჭრის უფლება სატყეო სააგენტოს წერილობითი ნებართვის გარეშე. მოჭრილი ხეების განკარგვა მოხდება სატყეო სააგენტოს ნებართვაში მითითებული პირობების შესაბამისად.
- მილების გაყვანის სათანადო მეთოდების გამოყენება (მინიექსკავატორების გამოყენება, სათანადო მასალისგან დამზადებული მილები, ამოღებული გრუნტის ხელახლა გამოყენება და სხვა).
- წყალამღების ნაგებობების პროექტებში ყოველთვის უნდა იყოს გათვალსიწინებული მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი მდინარეებში.
- ხმაურიანი საქმიანობის და სამშენებლო მოედნის ღამის განათების მინიმუმამდე შემცირება ფაუნაზე ზემოქმედების შესამცირებლად.
- მოჭრილი ნიადაგის ზედა ფენის შენახვა ფლორის აღსადგენად.

ექსპლუატაციისას

- მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველყოფა ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალამღებებში.
- ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალამღებებში მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის პერიოდული მონიტორინგი. წყალგამშვების მუშაობის შემაფერხებელი ნატანის/საგნების მოცილება.
- ქიმიური ნივთიერებებით წყლის დაბინძურების თავიდან აცილება.
- ინფრასტრუქტურის სათანადო მოვლა-შენახვა მისასვლელი გზების ჩათვლით.

6.2.3 პოტენციური სოციალური ზემოქმედება (S)

პოტენციური სოციალური ზემოქმედება არის პროექტის პოზიტიური ან ნეგატიური ზემოქმედება მაცხოვრებლების შემოსავლებზე, მიწათსარგებლობაზე, რესურსების ხელმისაწვდომობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე და სხვა.

გასათვალსიწინებელი რისკებია მიწის შესყიდვა/განსახლება, მიწაზე ან რესურსებზე წვდომის დაკარგვა, მიწათსარგებლობის მოდელის ცვლილება, სოციალური ჯგუფებიდან გამორიცხვა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების დაუცველობის გაძლიერება, ეს შეიძლება იყოს უმიწო, ასაკოვანი სუსტი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა (პროექტის ფართობებზე არ ცხოვრობს აბორიგენი მოსახლეობა).

პოტენციური პოზიტიური ზემოქმედებაა სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები, მშენებლობაზე დასაქმების შესაძლებლობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება უსაფრთხო სასმელი წყლის და სანიტარული სიტუაციის გაუმჯობესების გამო, გენდერული უთანასწორობის შემცირება და სხვა

ცხრილი 33 პოტენციური სოციალური ზემოქმედება (S)

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/ რისკის აღწერა
მიწის შესყიდვა და განსახლება (S1)	მცირე	• ფიზიკური განსახლების/ადგილმონაცვლეობის რისკი არ არსებობს • მიწის შესყიდვის მასშტაბები მცირე იქნება, რეადგან პროექტის ფართობებზე ბევრია სახელმწიფო მიწა. ტექნიკური მიზეზების გამო მიწის შესყიდვა შეიძლება გარდაუვალი იყოს წყლის რეზერვუარების, წყალგამწმენდი ნაგებობების და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისთვის..
რესურსებზე წვდომის/წყლის განაწილებიდან გამორიცხვის/დაუცველი პირების გამორიცხვის რისკები/კონფლიქტების გადაწყვეტის მექანიზმი (S2)	ზომიერი	• პროექტის მიზანი წყალი უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გახადოს ყველა წყალმომხმარებლისთვის. • არსებობს რისკი, რომ საზოგადოების ნაწილი უკმაყოფილო იქნება ახალი სისტემით, თუ წყალმომარაგება, რომელიც ამჟამად უფასოა, ფასიანი გახდება. მათ, ვისაც ახლა აქვთ წყალი და მათ, ვისაც წყალი არ მიეწოდება, დაუცველი (მოწყვლადი)/უკიდურესად ღარიბი ოჯახების გამორიცხვის რისკი. • ტარიფის ხელმისაწვდომობის რისკი და გადახდის სურვილის პოტენციური არქონა. • დაუცველი (მოწყვლადი)/უკიდურესად ღარიბი ოჯახების გამორიცხვის რისკი.

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/ რისკის აღწერა
		• სეპტიკური ავზების ვინმეს მიწაზე განთავსებასთან დაკავშირებული კონფლიქტი (თუ სეპტიკური ავზი რამდენიმე ოჯახის/მიწათმფლობელის საზიარო საკუთრებაშია). • ინსტიტუციური კონცეფციის ფარგლებში მომხმარებლების მხრიდან თავიანთი მოვალეობების არდაცვა: გადასახადის არ გადახდა, არალეგალური დაკავშირებები და ა.შ. პოტენციური კონფლიქტის მიზეზი და რისკი პროგრამის მდგრადობისთვის.
გარეშე პირების შემოდინება (მუშები მშენებლობაზე (S3)	მცირე	• ინფრასტრუქტურის (წყალამღებები, მილები, სეპტიკური ავზები, სალექარების) მცირე ზომის გამო არ არის მოსალოდნელი მუშების დიდი რაოდენობის შემოსვლა.
უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისავდომობა (S4)	პოზიტიური	• პოზიტიური ზემოქმედება: პროგრამის მიზნაია უსაფრთხო სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება და 24 საათიანი წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა.
სანიტარული სიტუაციის გაუმჯობესება (S5)	პოზიტიური	• პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სანიტარული და ჰიგიენური სიტუაციის გაუმჯობესება. • სეპტიკური ავზის დაცლის ხელმისაწვდომი მომსახურების არსებობის ნაკლებობა ინდივიდუალური და კომუნლაურ სეპტიკური ავზებისთვის. • გზების მდგომარეობის გამო ავზებთან მისვლის სირთულე დამცლელი მანქანებისთვის
შემოსავლების შექმნა და დასაქმება (S6)	პოზიტიური	• მშენებლობის პერიოდში პროექტს დროებითი დადებითი ზემოქმედება ექნება დასაქმებაზე. • პროექტის და გრძელვადიან პერსპექტივაში წყლის საფასურის დაწესების გამო გაიზრდება კომუნალურ სამსახურებში დასაქმების

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/ რისკის აღწერა
		შესაძლებლობა (ხელიმისაწვდომი იქნება აღჭურვილობადა ფინანსები ხელფასებისთვის) • ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის საშუალებით პროექტი არაპირდაპირ შეუწყობს ხელს შემოსავლების შექმნას და დასაქმებას (გაუმჯობესდება სახლების კომფორტულობა => საოჯახო სასტუმროები). • გაუწყლოებული შლამის გამოყენება სოფლის მეურნეობაში ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად.
გენდერული საკითხები (S7)	პოზიტიური	• წყალმომარაგების გაუმჯობესება შეამცირებს საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის საჭირო წყლის მოპოვებაზე დახარჯულ დროს და შრომას (ამ საქმიანობას ძირითადად ქალები ასრულებენ)

ცხრილი 34 ზემოქმედების შემცირების რეკომენდებული ზომები: პოტენციური სოციალური ზემოქმედება (S)

მშენებლობის დაწყებისას
• შეძლებისდაგვარად, ინფრასტრუქტურის ასაშენებლად სახელმწიფო, და არა კერძო, მიწები უნდა იქნეს შერჩეული. • თუ აუცილებელია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის შესყიდვა, უნდა მომზადდეს და განხორციელდეს მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმა (LARP) ქვეპროექტისთვის (იხ.მიწის შესყიდვის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი (LARF) მე-9 თავში). • კერძო მიწის ნაკვეთებზე წყლის ან საკანალიზაციო მილების მიწისქვეშ მოწყობის შესახებ შეთანხმება (აღნაგობის შესახებ შეთანხმება) ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან, მაგალითად შეიძლება გაფორმდეს შეთანხმება, რომ მესაკუთრე არაფერს ააშენებს მილსადენის ზემოთ და არ დააზიანებს მას. ამავე შეტანხმებით კომუნალურ სამსახურს შეიძლება დაეკისროს მილების მოვლა-შენახვის ვალდებულება; იხ.მიწის შესყიდვის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი (თავი **Error! Reference source not found.**). • კომპენსაცია მიწის შესყიდვისას მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის (LARP) მიხედვით. • უნდა განისაზღვროს წყალმომარაგების და წყალარინების ხელმისაწვდომი ტარიფები მომხმარებელთა ყველა ჯგუფისთვის (მაგ. სოციალური ტარიფები) და ყველა ტიპის მომსახურებისთვის (მხოლოდ წყალმომარაგება, წყალმომარაგება და წყალარინება, სეპტიკური ავზების დაცლა და სხვა).

- სოფლის დონეზე შეიძლება წარმოიშვას საფასურის გადახდის პრობლემა (აუცილებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა, რადგან პროექტის შესახებ გადაწყვეტილება კოლექტიურად უნდა იქნეს მიღებული და შესაძლოა ამჟამად წყლის გარეშე დარჩენილ მაცხოვრებლებს სურდეთ გადახდა, ხოლო წყლით უზურნველყოფილ მაცხოვრებლებს - არა). აუცილებელია თემს შიგნით დავების გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება.
- ინდივიდუალური და საზიარო სეპტიკური ავზების დაცლის მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის. დამცლელ ავტომობილებს უნდა ჰქონდეთ ავზებამდე მისვლის შესაძლებლობა (სოფლების გზები ხშირად ცუდ მდგომარეობაშია).
- უნდა განისაზღვროს სანიტარული ინფრასტრუქტურის საკუთრების საკითხი. უნდა მომზადდეს და განხორციელდეს ამ ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის კონცეფცია.
- უნდა შემუშავდეს დაუცველი (მოწყვლადი) პირების ჩართვის კონცეფიცია (მაგ. სოციალური ტარიფი), შეღავათები ქსელთან მიერთებაზე, მაგალითად იმ ოჯახებისთვის, სადაც მარჩენალი ქალია.
- რეკომენდებულია ქალების, მათ შორის ბენეფიციარი ქალების, რეგულარულად ჩართვა მონაწილე მხარეებთან ყველა კონსულტაციაში.
- მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების რეგულარული ინფორმირება და მოწვევა მუნიციპალიტეტის დონეზე ჩატარებულ პროექტის ყველა შეხვედრაზე.
- საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება სს „აჭარის წყლის ალიანსში“ დოკუმენტაციის წარმოება.
- ეკოსისტემის სერვისების/რესურსების ეფექტურობის შესახებ ინფორმირება.

მშენებლობისას

- კონტრაქტორებმა უნდა შეასრულონ შესყიდვის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის (LARF) (იხ. მე-7 თავი) და ქვეპროექტების მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმების (LARP) დებულებები.
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს უნდა გაუსწორონ მიყენებული ზარალი და/ან გადაუხადონ კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.
- არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავებისას უპირატესობა უნდა მიანიჭონ ადგილობრივ მაცხოვრებლებს.
- სამშენებლო მოედანზე სიგნალიზაციის სათანადოდ მოწყობა და სამუშაო საათების დაცვა.
- საზოგადოების ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების სათანადო ღონისძიებების განხორციელება (იხ. შემდეგი საკითხი).

ექსპლუატაციისას

- თუ მილები კერძო მიწაზე გადის, მოვლა-შენახვის შესახებ შეთანხმების პირობების დაცვა.
- პერიოდულად კომუნალურ სამსახურებთან და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან კონსულტაციების გამართვა.

- გენდერული თანასწორობის შესახებ დებულებების გათვალისწინება, ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი ხელფასების უზრუნველყოფა, თანაბარი კვალიფიკაციის შემთხვევაში ქალებისთვის უპირატესობის მინიჭება, ქალების ცართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სხვა).
- რეგულარული მონიტორინგი და მოვლა-შენახვა.

6.2.4 საზოგადოების და მუშახელის ჯანდაცვაზე და შრომის უსაფრთხოებაზე პოტენციური ზემოქმედება HS)

პროექტმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოების და/ან მუშახელის ჯანდაცვასა და შრომის უსაფრთხოებაზე. ESS4-ში განხილულია ჯანდაცვა და უსაფრთხოება, პროექტის ზემოქმედება საზოგადოებაზე (თემზე) და დამფინანსებელი უწყებების მოვალეობა, რომ თავიდან აიცილონ ან მინიმუმამდე შეამცირონ ამგვარი რისკი და ზემოქმედება. განსაკუთრებული ყურდაღება უნდა მიექცეს დაუცველ (მოწყვლად) პირებს. ESS 2-ში განხილულია პროექტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს მუშახელის უსაფრთხოების საკითხები.

ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის/თემებისთვის პროექტთან დაკავშირებული ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკები ძირითადად განპირობებულია სამშენბელო ტექნიკის მოძრაობასთან და სამშენებლო მოედანთან (მაგ. თხრილები და სხვა), თუ იქ არ არის განთავსებული ღობეები, ნიშნები და უსაფრთხოების სხვა საშუალებები. ექსპლუატაციის ეტაპზე რისკები ძირითადად სასმელი წყლის ხარისხის უკავშირდება (გაუსნებოვნება, სიმღვრივე და სხვა).

მუშახელისთვის პროექტთან დაკავშირებული ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკები ძირითადად გამოწვეულია ტექნიკის მართვით, დამცავი აღჭურვილობის ნაკლებობით, ტექნიკის არასათანადო მოვლა-შენახვით, ჰიგიენის წესების დარღვევით სამშენებლო მოედანზე.

ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების გეგმა და ვიზუალური მასალა წარმოდგენილია 9-ე თავში.

ცხრილი 35 საზოგადოების და მუშახელის ჯანდაცვაზე და უსაფრთხოებაზე (HS) პოტენციური ზემოქმედება

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/რისკის აღწერა
საზოგადოების ჯანდაცვა და უსაფრთხოება (HS1)	მცირე	• მტვრის და დაბინძურების მობილური წყაროდან გამონაბოლქვის გამო მისასვლელი გზების გასწვრივ დროებითი ზემოქმედება მოხდება ჰაერის ხარისხზე, რამა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მაცხოვრებლების ჯანმრთელობას. მშენებლობის მცირე მასშტაბების გამო არ არის მოსალოდნელი მტვრის დიდი რაოდენობის წარმოქმნა გზაზე. მსგავსი პროექტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აღჭურვილობის ტრანსპორტირებისას წარმოქმნილი ემისიები მცირე მოცულობისაა. • ინფრასტრუქტურასთან მისასვლელი გზების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობას საფრთხეს უქმნის ამ გზებზე ტრანსპორტის მოძრაობის დროებითი გააქტიურება. პროექტის დასახლებებში ტრანსპორტი ჩვეულებრივ მცირე სიჩქარით მოძრაობს.

		• კლიმატის თავისებურებებიდან გამომდინარე, წყალმბადი დაავადებების გაზრდის რისკი აშენებულ ხელოვნური ჭაობების გაჩერებულ წყალში არის დაბალი, პროექტის არეალის კლიმატის თავისებურებებიდან გამომდინარე. • მიწოდებული წყლის ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის წყლის გაუსნებოვნება, შეამცირებს წყლით გადამდები დაავადებების გავრცელებას. • არსებობს წყლის დაბინძურების რისკი მილების მასალით (მაგ. დაუშვებელია მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის (HDPE) ან მილსადენის არასათანდო წმენდის გამო მისი მოწყობის შემდეგ. • არსებობს წყლის არასაკმარისი წმენდის რისკი, განსაკუთრებით წვიმიან პერიოდში, როდესაც მაღალია წყლის სიმღვრივე. • წყლის დაბინძურების და ქლორის ჭარბად გამოყენების რისკი.
მუშახელის ჯანდაცვა და უსაფრთხოება (HS2)	საშუალო	• არაჰიგიენური პირობების/მუშახელის სანიტარული ინფრასტრუქტურის (ონკანები, საპონი, ტუალეტები და სხვა) ნაკლებობის გამო უარყოფითი ზემოქმედება მუშახელის ჯანმრთელობაზე. • ხის წაქცევის გამო უბედური შემთხვევების რისკი მისასვლელი გზების მშენებლობისას/მილსადენის თხრილების მოწყობისას ტყეში. • არასათანადოდ გამაგრებულ ღრმა თხრილებში გრუნტის ჩამოშლით გამოწვეული უბედური შემთხვევები. • მუშახელის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკი მტვრის, მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის, მექანიკურ და ქიმიური ზემოქმედების გამო. • უბედური შემთხვევების რისკი ტექნიკასთან, მძიმე აღჭურვილობასთან, სახიფათო მასალებთან მუშაობის გამო, მათ შორის შედუღებისას. • ტყის ხანძრების გაჩენის რისკი. • ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი.

ცხრილი 36 ზემოქმედების შემცირების რეკომენდებული ზომები: პოტენციური ზემოქმედება საზოგადოების და მუშახელის ჯანდაცვაზე და შრომის უსფრთხოებაზე (HS) (HS)

მშენებლობის დაწყებამდე
• კონტრაქტორის მიერ ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების ზომების დაგეგმვა და მათი განხორციელება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამისთვის ქვეკონტრაქტორის დაქირავება დასჭირდება. • კონტრაქტებში სპეციალური დებულებების შეტანა სანქციების და მშენებლობის შეჩერების შესახებ, თუ არ იქნა დაცული ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები.
მშენებლობისას
კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი ზომები საზოგადოების ჯანდაცვის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად: • ტრანსპორტის მოძრაობის გეგმის შემუშავება, პროექტის ფართობებზე მისასვლელ გზებზე პიკის საათების გათვალისწინებით (საჭიროებისამებრ). • მძღოლების ინსტრუქტირება ავტომობილების ფრთხილად მართვის და მოძრაობის წესების დაცვის შესახებ. • საგზაო ნიშნების, სამშენებლო მოედნის აღნიშვნების მოწყობა და სამშენებლო მოედნის შემოღობვა. • თხრილებზე უსაფრთხო გადასასვლელი საფეხმავლო ხიდების მოწყობა, განსაკუთრებით სახლების შესასვლელებში. • ღამის სათებში ყველა ბარიერს და ნიშანს უნდა ჰქონდეს განათება ან უნდა იყოს ფლოუროსცენტული, რომ მათ ავტომობილებიც და ფეხით მოსიარულეებიც ხედავდნენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღია თხრილების შემთხვევაში. • პროექტის სამუშაოებისთვის თანამედროვე (და არა მოძველებული) ტექნიკა და ავტომობილები უნდა იქნეს გამოყენებული. აუცილებელია მათი რეგულარული ტექმომსახურება და რემონტი. • უნალექო დღებში აუცილებელია მტვრის შემცირების ღონისძიებების განხორციელება. • პროექტის ტექნიკისა და ავტომობილებისთვის უმაღლესი ხარისხის დიზელის საწვავი უნდა იქნეს გამოყენებული. • დიზელ-გენერატორები და სხვა აღჭურვილობა სენსიტიური ადგილებისგან (სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა) მოშორებით უნდა იყოს განლაგებული ქარის მიმართულების გათვალისწინებით. • მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვებამდე აუცილებელია მილების გამორეცხვა, დეზინფექცია და წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზის ჩატარება. **კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი ზომები მუშახელის ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად:** • მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მუშახელის ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმების შემუშავება ყველა ქვეპროექტისთვის.

- მუშათა ბანაკებში და სამშენებლო მოედანზე სათანადო ჰიგიენური და სანიტარული პირობებს უზრუნველყოფა და მონიტორინგი.
- ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, მუშების და ქვეკონტრაქტორების ინფორმირება, სათანადო ზომების განხორციელება ინერტული მასალების , გადამუშავებადი მასალების (მათ შორის შეფუთვის) და სახიფათო მასალებისთვის (თუ გამოიყენება) და სხვა სამშენებლო ნარჩნებისთვის . ნარჩენების დაწვის აკრძალვა.
- სათანადო საგზაო ნიშნების, სამშენებლო მოედნის აღნიშვნების და ბარიერების უზრუნველყოფა.
- თხრილების სტაბილიზაცია, სათანადო ნიშნების და ბარიერების მოწყობა თხრილებში ჩავარდნის ან თხრილების ჩამოქცევის თავიდან ასაცილებლად, EN1610 სტანდარტის მოთხოვნების დაცვა.
- მუშახელის მიერ დამცავი აღჭურვილობის და ფორმის ტარების, ასევე ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა.
- ხეების მოსაჭრელად კვალიფიცირებული და გამოცდილი მუშახელის დაქირავება და სათანადო დამცავი აღჭურვილობის (მუზარადები, ფეხსაცმელები, შარვლები) უზრუნველყოფა. ხერხები გამართულ მდგომარეობაში უნდა იყოს.
- მექანიზმებთან და სახიფათო ნივთიერებებთან მუშაობის სათანადო პრაქტიკის უზრუნველყოფა.
- სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციების დაცვა ტყიან ადგილებში.
- სამშენებლო მოედანზე ცეცხლსაქრობი აღჭურვილობის/მექანიზმების უზრუნველყოფა და მათი მოვლა-შენახვა.
- საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმის მომზადება პროექტის კომპონენტებისთვის.
- ტრენინგები ყველა თანამშრომლისა და კონტრაქტორის მუშებისთვის საგანგებო სიტუაციებისთვის მათ მოსამზადებლად.
- მძღოლებისთვის უსაფრთხოების ინსტრუქციების მომზადება, რომელშიც მითითებული იქნება მძღოლების და მანქანების ტექნიკური მდგომარეობისადმი მოთხოვნები. ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილების ტარების და საჭესთან ტელეფონზე საუბრის აკრძალვა, უსაფრთხოების ღვედების სავალდებულო გამოყენება და სხვა შესაბამისი დებულებები.

ექსპლუატაციისას

- წყლის დაბინძურების (სასმელი წყლის დაბინძურება ან ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მიერ ზედაპირული წყლების შემთხვევითი დაბინძურება) შესახებ ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.
- კონცენტრირებული ნატრიუმის ჰიპოქლორიტის შემცველი კონტეინერები კოროზიისადმი მდგრადი უნდა იყოს და აღჭურვილი უნდა იყოს მეორე დამცავი გარსით შემთხვევითი დაღვრის ან გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. ამგვარი კონტეინერების შენახვის ადგილი სათანადოდ უნდა ნიავდებოდეს.
- შეძლებისდაგვარად, გამოყენებული უნდა იქნეს ქლორის ტაბლეტები, რაც ოპერატორებს დოზირებას გაუადვილებს.
- უნდა მომზადდეს და განხორციელდეს სახიფათო მასალების მართვის გეგმა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნატრიუმის ჰიპოქლორიტს.

- რეგულარული ტრენინგების ჩატარება ოპერატორებისთვის მასალების დაღვრის თავიდან აცილების მიზნით..

6.2.5 პოტენციური ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ისტორიული ძეგლების, ეკლესიების, მეჩეთების და ხიდების სიახლოვეს სამუშაოების განხორციელებამ, ასევე სასაფლაოების გავლით წყალმომარაგების ან წყალარინების მილსადენების მოწყობამ შეიძლება გამოიწვიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება. ეს პოტენციური ზემოქმედება შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული. მილსადენების თხრილების მოწყობისას დაუშვებელია ისტორიული შენობების ფუნდამენტის დაზიანება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ირგვლივ გარკვეულ რადიუსში სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელია ბათუმში მდებარე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ნებართვა. თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ეროვნული მნიშვნელობისაა საკითხი თბილისში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გადაეცემა.

სამშენებლო მოედანზე მისასვლელი გზები ისტორიული ძეგლების გვერდის ავლით უნდა მოეწყოს და მიწისქვეშა კომუნიკაციები არ უნდა კვეთდეს სასაფლაოების ტერიტორიას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლიდან 300/500მ რადიუსში წარმოებული სამუშაოებისთვის აუცილებელია ნებართვის მიღება.

ცხრილი 37 პოტენციური ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (CH)

პროექტის ზემოქმედება	**მნიშვნელობა**	**ზემოქმედების / რისკის აღწერა**
ფიზიკური ზიანი / კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნგრევა (CH1)	მცირე	• საკანალიზაციო და წყალმომარაგების მილსადენებმა შეიძლება იმოქმედოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე, განსაკუთრებით დაბების ცენტრში (სასაფლაოები, მეჩეთები, ეკლესიები)
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მონაწილე მხარეების წვდომის შეზღუდვა(CH3)	უმნიშვნელო	• წყალმომარაგების და საკანალიზაციო ქსელები და სეპტიკური ავზები ხელს არ უნდა უშლიდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მისვლას. • არ არის იდენტიფიცირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომელთანაც მისასვლელ გზები სამშენებლო სამუშაოების დროს შეიძლება ჩაიკეტოს..

ცხრილი 38 ზემოქმედების შემცირების რეკომენდებული ზომები: პოტენციური ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (CH)

მშენებლობის დაწყებამდე
• კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დადგენა ფართობების შერჩევისას, საჯარო კონსულტაციებისდროს და შედეგების დოკუმენტურად აღნუსხვა.

- აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ნებართვა ყველა იმ სამუშაოსთვის, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან 300-500მ-ის რადიუსში ხორციელდება.

მშენებლობისას

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გარანტირებული უნდა იყოს ეკლესიებთან, მეჩეთებთან და სასაფლაოებთან მისვლის შესაძლებლობა.
- შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურები => კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია მონაწილე მხარეებთან ამ საკითხის გარკვევა და ამ ძეგლის სიახლოვეს სამუშაოების შეწყვეტა..

ექსპლუატაციისას

- არ არის საჭირო ზემოქმედების შემცირების ზომების განხორციელება

6.2.6 პოტენციური ზემოქმედება კლიმატის ცვლილებაზე (CC)

კლიმატის ცვლილებაზე პროექტის ზემოქმედება შემდეგ კატეგორიებად უნდა დაიყოს ა) პროექტის ზემოქმედება კლიმატის ცვლილებაზე სათბურის აირების ემისიის გამო (CC1); ბ) კლიმატის ცვლილების ზემოქმედება პროექტზე, კერძოდ ტემპერატურის მატება, ექსტრემალური ამინდი (გვალვები, ღვარცოფები, მეწყრები, ზვავები და სხვა) და მდინარეების რეჟიმის პოტენციური ცვლილება მყინვარული და თოვლის ნადნობი წყლის წარმოქმნის ცვლილების გამო (CC2) და გ) პროექტის პოტენციალი რომ შეამციროს კლიმატის ცვლილების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობა (CC3).

ამ კვლევის მიზანს არ წარმოადგენს კლიმატის ცვლილების პროგნოზირება. ის პოტენციური ზემოქმედების და მისი შემცირების ზომების აღწერით შემოიფარგლება..

ცხრილი 39 კლიმატის ცვლილებაზე პოტენციური ზემოქმედება (CC)

პროექტის ზემოქმედება	**მნიშვნელობა**	**ზემოქმედების/ რისკის აღწერა**
პროექტის ზემოქმედება სათბურის აირების ემისიაზე (CC1)	მცირე	• მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვი *(იხ. ჰაერის დაბინძურება) • დამატებითი ენერგიის/ელექტროობის მოხმარებით, მაგალითად ტუმბვით, გამოწვეული ემისიები • მეთანის (CH4) ემისია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან: დაგეგმილი სეპტიკური ავზების და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მცირე ზომის გათვალისწინებით, ეს ემისია მცირე იქნება და ზემოქმედება უმნიშვნელო. • სოფლის მეურნეობაში შლამის გამოყენების გამო შემცირდება ქიმიური სასუქების გამოყენება,

პროექტის ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების/ რისკის აღწერა
		რომლებსაც ნახშიროჟანგის დიდი ნაკვალევი აქვთ (განსაკუთრებით აზოტის წარმოქმნა. ვინაიდან შლამი მუნიციპალიტეტებშივე იქნება გამოყენებული, აღარ იქნება საჭირო მისი გადაზიდვა საყრელებზე ან გადამუშავების ცენტრებში (მაგ. ბათუმში). ეს შეამცირებს სათბურის აირების ემისიას. • განახლებადი ენერგიის გამომუშავება ზოგიერთ ობიექტზე საწვავის ტურბინებისა და მზის პანელის მოწყობის შემთხვევაში.
კლიმატის ცვლილების რისკების ზემოქმედება პროექტზე (CC2)	საშუალო	• კლიმატის ცვლილების გამო ერთი მხრივ, გაიზრდება ინტენსიური ნალექების სიხშირე და მეორე მხრივ, უნალექო, გვალვიანი პერიოდები. • პროექტის ფართობებზე ხშირია ინტენსიური ნალექებით გამოწვეული ღვარცოფები, რამაც შეიძლება დააზიანოს წყალამღებები. • პროექტის ზოგეირთ ფართობზე ხშირია მეწყრები და ზამთარში კი ზვავები (განსაკუთრებით მდინარეების ციცაბო ხეობებში), რამაც შეიძლება დააზიანოს ინფრასტრუქტურა, ჩაკეტოს მისასვლელი გზები და სხვა..
პროექტის ზემოქმედება მოსახლეობის მოწყვლადობა ზე კლიმატის ცვლილების მიმართ (CC3)	პოზიტიური	• ზემოქმედება დადებითი იქნება, რადგან წყალმომარაგების გაუმჯობესება და წყლის გარანტირებული 24 საათიანი მიწოდება შეამცირებს მოსახლეობის მოწყვლადობას. • წყლამომარაგების ეფექტურობის ზრდა, რადგან წყლის დანაკარგების შემცირება და წყლის დამუშავების გაუმჯობესება აამაღლებს მოსახლეობის მდგრადობას გვალვიანი პერიოდების და ინტენსიური ნალექების მიმართ.

ცხრილი 40 ზემოქმედების შემცირების რეკომენდებული ზომები: კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენები (CC)

მშენებლობის დაწყებამდე

- წყალმიმღებები და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები ისე უნდა დაპროექტდეს, რომ გაუძლოს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ღვარცოფებს.
- შერჩეული უნდა იქნეს საკმარისი წყლის ხარჯის მქონე ობიექტები, ვინაიდან კლიმატის ცვლილების გამო წყლის ხარჯის დიდი ცვალებადობაა მოსალოდნელი.
- თვითდინებითი სისტემების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებით წყლის გადატუმვის და დამატებითი ენერგომოხმარების თავიდან აცილება.
- შეძლებისდაგვარად მისასვლელი გზების და გადამცემი მაგისტრალების მეწყრებისა და ზვავების წარმოქმნის ადგილებიდან მოშორებით მოწყობა. თუ ეს შეუძლებელია, პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს დაცვის შესაბამისი ზომები.
- იმ ზედაპირული წყლების ობიექტების შერჩევა, რომელთა წყლის ხარჯი მუდმივია (და წყალმოთხოვნილებაზე დიდია) და რომლებიც ნაკლებად განიცდის კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას.
- მძღოლების ინსტრუქტირება მანქანის ტარების იმ პრაქტიკის შესახებ, რომელიც ნაკლები საწვავის ხარჯს მოითხოვს.

მშენებლობისას

- ფერდობების სტაბილიაციის ზომების განხორციელება მიწის სამუშაოების წარმოების და სხვა სარისკო ადგილებში (მაგ. ციცაბო ფერდობები წყალამღებების ზემოთ, მისასვლელ გზებზე და გადამცემი მაგისტრალების გასწვრივ ხეების, ბუჩქების ხელახლა დარგვის საშუალებით, ხოლო საგანგებო შემთხვევებში ლითონის ბადეების ან ბარიერების მოწყობის საშუალებით ქვების ცვენის ან ზვავების წარმოქმნის ადგილებში).
- მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვის მინიმუმამდე შემცირება (იხ. ჰაერის დაბინძურება). ეს მოიცავს ტრანსპორტის ზედმეტი მოძრაობის შეზღუდვას, გაჩერებული მანქანების ძრავების გამორთვას, გამართული ტექნიკის გამოყენებას (ძველი საბჭოთა ტექნიკის და ავტომობილების ნაცვლად).
- მუშების გარემოსთვის უსაფრთხო ქმედებების და ქცევის წახალისება.

ექსპლუატაციისას

- მისასვლელი გზების და წყალამღებების მოვლა-შენახვა, მათ შორის რეგულარული წმენდა, ფერდობების სტაბილიზაცია, სეზონური სარემონტო სამშაოების ოპერატიულად განხორციელება და სხვა.
- წყალმომხამრებლების მიერ წყლის ეკონომიური ხარჯვის და წყლის რესურსების დაზოგვის წახალისება.
- წვიმის წყლის და ე.წ. ნაცრისფერი წყლის (საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები საკანალიზაციო წყლების გარდა) ხელახლა გამოყენების წახალისება.

6.2.7 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედება ნიშნავს პროექტის ზემოქმედებას, რომელიც ემატება მრეწველობის ან სხვა პროექტების არსებულ ან მოსალოდნელ ზემოქმედებას და პროექტის შედარებით მცირე საქმიანობამ შეიძლება გადააჭარბოს დასაშვებ მაქსიმალურ მოცულობას. ეს ეხება წყლის დაბინძურებას წყალამღების ზემოთ წიაღისეულის მოპოვების ან დაგეგმილი ტურისტული კურორტების გამო.

მდინარე აჭარისწყლის ხარჯის ნაწილი შაუხევის ჰიდროელექტროსადგურისკენ არის მიმართული, რაც ამცირებს წყლის ხარჯს ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში. აუცილებელია შეფასდეს გამწმენდი ნაგებობიდან მდინარეში ჩაშვებული გაწმენდილი ნამუშევარის წყლის ზემოქმედება წყლის ხარისხზე, როდესაც 2020 წელს შუახევის ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში იქნება გაშვებული და წყლის ხარჯი შემცირდება. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ზემოქმედება ძირითადად დადებითი იქნება, რადგან საკანალიზაციო წყლები გაიწმინდება და არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაგრამ აუცილებელია ზღვრული მოცულობების დაცვა (ლოტ 1-ის)

ქობულეთის მუნიციპალიტეტი ლოტ 1-ის ფართობთან ახლოს (ოჩხამური) ნაგავსაყრელის მოწყობამ ასევე შეიძლება იმოქმედოს გრუნტის წყლების ხარისხზე ოჩხამურის დაგეგმილ ჭაქბურღილებში, თუ ისინი იმავე წყალშემცველ ფენას იყენებენ. ნაგავსაყრელისთვის შერჩეულია ადგილი სოფელ ცეცხლაურთან (736556.00 მ E / 4639387.00 მ N) დაგეგმილი ჭაბურღილებიდან 2კმ-ის მოშორებით, მდინარე ოჩხამურის უკიდურეს მარჯვენა ქვედა ნაპირზე, ხოლო პროექტის ფართობი მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ეს საყრელი სავარაუდოდ არ გააუარესებს გრუნტის წყლების ხარისხს, რადგან პროექტის საქმიანობა ევროკავშირის და საქართველოს სტანდარტების დაცვის განხორციელდება. ამ ნაგავსაყრელიდან შემთხვევითი დაბინძურება ვერ მოახდენს ზემოქმედებას პროექტის ფართობზე, რადგან მათ მდინარე ჰყოფს. გრუნტის წყლები მოქცეულია დაბალი გამტარობის მქონე ნატანის ფენებით. ეს მონაცემები შემოწმდება საცდელი ბურღვისას.

ლოტ 1-ის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე წყლის დაბინძურება გამწმენდი ნაგებობის წყალშემკრებ ფართობზე განლაგებული სამრეწველ ობიექტებიდან. ეს მხოლოდ ქედის მუნიციპალიტეტს ეხება, სადაც მუშაობს ღვინის ქარხანა და ხილის გადამამუშავებელი საწარმო. ამ საწარმოების მიერ წარმოქმნილ დამაბინძურებელი დატვირთვა სეზონური ხასიათისაა და პიკური პერიოდები ახასიათებს მუნიციპალური საკანალიზაციო წყლების დატვირთვისგან განსხვავებით. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ამ საწარმოების ჩამდინარე წყლების ადგილზე წმენდა, რაც უზრუნველყოფს გამწმენდი ნაგებობების სათანადო ფუნქციონირებას (აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონების მიხედვი ეს ორი საწარმო ვალდებულია თავისი ჩამდინარე წყლები წინასწარი წმენდა ჩაატაროს დამაბინძურებლების მაქსიმალურ დასაშვებ დონემდე შემცირების მიზნით). შესაძლებელია ENPARD პროგრამის ფარგლებში იქნეს წარდგენილი განაცხადი (გაეროს განვითარების პროგრამის/ სს „აჭარის წყლის ალიანსის“ 2020 წლის თებერვლის კონსულტაციების შესაბამისად).

წყალშემკრებ ფართობზე სასტუმროს ან სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა მნიშვნელოვნად გაზრდის წყალმოთხოვნილებას და წყლის დაბინძურების რისკს რაც უნდა აისახოს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის შესაბამის გეგმებში). ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს მე-2 ლოტის ფართობების შერჩევისას (ამ დროის მონაცემებით შერჩეულ სოფლებში არ იგეგმება ამგვარი ინფრასტრუქტურის მშენებლობა).

1-ელი ლოტის საჯარო კონსულტაციების დროსაც განხილული იქნა ეს საკითხი საკითხი და პროექტის ფართობებზე ამგვარი მშენებლობა არ იგეგმება (მხოლოდ რამდენიმე მცირე სასტუმრო ხულოში).

ერთი პოტენციური კუმულაციური გავლენა დაკავშირებული ლოტ2- ინვესტიციებთან არის რისკის არასაკმარისი წყლის რაოდენობის ქვედა დინების მომხმარებლებისთვის, რაც შეიძლება გადაიჭრას შესაბამისი დაგეგმვით და არსებული სიტუაციის შეასებით. ლოტ 2 სანიტარიული გადაწყვეტილების კუმულაციური გავლენები (კომუნალური და ინდივიდუალური სეპტიკური ავზები)არ არის მოსალოდნელი.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული სხვა კუმულაციური ზემოქმედება, უფრო დეტალური ანალიზი ქვეპროექტების შეფასებისას განხორციელდება.

6.2.1 გარემოსდაცვითი კატეგორიები

KfW-ის მდგრადობის სახელმძღვანელო პრინციპების (2019) შესაბამისად პროექტებისთვის A, B+, B და C კატეგორიების მინიჭება ხდება მსოფლიო ბანკის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და დადასტურებული უნდა იქნეს შიდა კოტროლის საშუალებით. პროექტის კატეგორიის მიხედვით განისაზღვრება შეფასების ტიპი და დეტალურობა.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის მონაცემების მიხედვით პროექტის ინვესტიციების დიდი ნაწილი B კატეგორიას მიეკუთვნება (A კატეგორიის ქვეპროექტები აქ არ არის და რამდენიმე ქვეპროექტს C კატეგორია აქვს მინიჭებული).

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის და გარემოსდაცვითი მართვის და მონიტორინგის გეგმის მოთხოვნები შეტანილი უნდა იყოს საპროექტო ანგარიშში და ისინი სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილს წარმოადგენს. მშენებლობის ზედამხედველობის დროს კონსულტანტი მონიტორინგს გაუწევს ამ დებულებების და მოთხოვნების შესრულებას კონტრაქტორის მიერ.

6.3 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

ქვემოთ ცხრილში შეჯამებული სახით არის წარმოდგენილი სავარაუდო ზემოქმედება, რისკები, ზემოქმედების შემცირების საჭირო ზომები და მხარეთა მოვალეობები მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობისას და ექსპლუატაციის ეტაპებზე. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოების და სამუშაო პირობების მართვის გეგმას და მისი მიზანია პოტენციური ნეგატიური ზემოქმედების შემცირება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შემდეგ თავში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის საფუძველზე შემუშავებული გარემოსდაცვითი მართვის და მონიტორინგის გეგმა, რომელიც წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინდივიდუალური გეგმების მოსამზადებლად. ეს გეგმები ინდივიდუალურად მომზადდება თითოეული დაბისა და სოფლისთვის. მათში დეტალურად არის განსაზღვრული ვადები, ანგარიშგების მოთხოვნები და ფუნქციები, ზემოქმედების შემცირების ზომების განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსები, აღჭურვილობა, მასალები და ბიუჯეტი.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინდივიდუალური გეგმები სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილს შეადგენს. ყველა კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს მათში განსაზღვრული მოთხოვნები. მშენებლობის (მათ შორის მშენებლობისთვის მობილიზაციის) დაწყების წინ კონტრაქტორმა თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმის ჩათვლთ) განხორციელების კონსულტანტებს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად.

ცხრილი 41 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის ღონისძიებების ჩამონათვალი

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
			მშენებლობის წინ	
ფიზიკური	მდინარეებში წყლის ხარისხის გაუარესება	საშუალო	Dilution modelling for WWTP 50 to 2.000 PE	კონსულტანტი
	გრუნტის ამოღებით გამოწვეული ეროზია/მეწერი	საშუალო	ახალი მისასვლელი გზების მოწყობის მინიმუმამდე შემცირება; ადგილობრივი კონტრაქტორებისთვის მშენებლობის სათანადო პრაქტიკის და გრუნტის სტაბილიზაციის მოთხოვნების განსაზღვრა	კონსულტანტი
ბიომრავალფეროვნება	ლანდშაფტის მდგომარეობის გაუარესება	საშუალო	მისასვლელი გზების სათანადოდ დაგეგმვა მილების გაყვანის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება (მინი ექსკავატორების გამოყენება, იმ მასალის მილების გამოყენება, რომელტა ხელახლა გამოყენებაა შესაძლებელი)	კონსულტანტი
	ფლორის და ფაუნის/ჰაბიტატის და ეკოსისტემის/ტყეების მდგომარეობის გაუარესება ფლორის და	საშუალო	პროექტში მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის გათვალისწინება; მილების გაყვანის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება (მინი ექსკავატორების გამოყენება, იმ მასალის მილების გამოყენება, რომელთა ხელახლა გამოყენებაა შესაძლებელი). ბიომრავალფეროვნების სპეციალური კვლევა (იქთიოფაუნის ჰაბიტატის და ფლორა/ფაუნის ანალიზი) ახალი წყალამღების და ახალი მისასვლელი გზების მშენებლობისას.	კონსულტანტი

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
სოციალური	მიწის შესყიდვა და განსახლება მუნიციპალიტეტების მიერ KfW-ს სტანდარტებიდან შესაძლო გადახვევა	საშუალო	ფიზიკური ადგილმონაცვლეობის (განსახლების) თავიდან აცილება მიწის შესყიდვის და განსახლების სამოქმედო გეგმის (LARP) მომზადება და განხორციელება; კომპენსაციის გადახდა მიწის შესყიდვისას LARP-ს შესაბამისად. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირებთან შეთანხმების პროცედურების შემუშავება წყალმომარაგების და საკანალიზაციო მილსადენების კერძო მიწის ნაკვეთებზე (მიწისქვეშ) გაყვანის შესახებ	კონსულტანტი / სს „აჭარის წყლის ალიანსი“
	რესურსებზე წვდომის შეზღუდვა/გამორიცხვა წყლსი განაწილებისას/სეპტიკური ავზების განლაგების და მათი მოვლა-შენახვის გამო კონფლიქტების რისკი	საშუალო	ეკოსისტემის სერვისების/რესურსების ეფექტური მოხმარების შესახებ ინფორმირება; კონფლიქტების გადაწყვეტის მექანიზმის ჩამოყალიბება საფასურის გადახდის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის კონცეფციის შემუშავება	კონსულტანტი
		საშუალო	საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმის ამოქმედება	კონსულტანტი / სს „აჭარის წყლის ალიანსი“/მუნიციპალიტეტები

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
	დაუცველი (მოწყვლადი) მაცხოვრებლების გამორიცხვის რისკი	საშუალო	შესაბამისი კონცეფციის შემუშავება მოწყვლადი მაცხოვრებლების ჩართვის უზრუნველსაყოფად კონსულტაციებში ქალების სისტემატურად ჩართვა გენდერული თანასწორობის საბჭოს სისტემატიური ინფორმირება და მოწვევა ხელმისაწვდომი ტარიფების დადგენა მომხმარებელთა ყველა ჯგუფისთვის (მაგ. სოციალური ტარიფები)	კონსულტანტი / სს „აჭარის წყლის ალიანსი“/მუნიციპალიტეტები
ჯანდაცვა და უსაფრთხოება	საზოგადოების ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკი	მცირე	უზრუნველყოფს კონტრაქტორის მიერ ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების ზომების დაგეგმვა-განხორციელებას	კონსულტანტი
		მცირე	მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმების შემუშავება თითოეული ქვეპროექტისთვის	კონტრაქტორი
კულტურული მემკვიდრეობა	მილსადენების მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება/დაზიანება	საშუალო	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დადგენა ფართობების შერჩევისას, საჯარო კონსულტაციებისდროს და შედეგების დოკუმენტურად აღნუსხვა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის მოპოვება პროექტისთვის	კონსულტანტი
კლიმატის ცვლილება	კლიმატის ცვლილების შემცირება	მცირე	თვითდინებითი სისტემების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებით ენერგომოხმარების მინიმუმამდე შემცირება	კონსულტანტი
	კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია	საშუალო	წყალამღებების და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მდგრადობის უზრუნველყოფა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ღვარცოფების მიმართ	კონსულტანტი

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
			შეძლებისდაგვარად მისასვლელი გზების და გადამცემი მაგისტრალების მეწყრებისა და ზვავების წარმოქმნის ადგილებიდან მოშორებით მოწყობა ან დაცვის შესაბამისი ზომების დაპროექტება. იმ ზედაპირული წყლების ობიექტების შერჩევა, რომელთა წყლის ხარჯი მუდმივია (და წყალმოთხოვნილებაზე დიდია) და რომლებიც ნაკლებად განიცდის კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას.	
მშენებლობისას				
ფიზიკური	გრუნტის ამოღებით გამოწვე ეროზია/მეწყრები	საშუალო	ტრენინგები მუშებისთვის მშენებლობის ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის თაობაზე	კონტრაქტორი
	ჰაერის ხარისხის გაუარესება	მცირე	დაბინძურების მობილური წყაროებიდან ემისიის და მტვრის მინიმუმამდე შემცირება	კონტრაქტორი
	მშენებლობის ხმაური	მცირე	მუშებმა საჭიროებისამებრ უნდა ატარონ ხმაურისგან დამცავი აღჭურვილობა.	კონტრაქტორი
	სამშენებლო ნარჩენები	საშუალო	ნარჩენების განკარგვა უნდა მოხდეს შესაბამისი რეგულაციების მიხედვით.	კონტრაქტორი
ბიომრავალფეროვნება	ლანდშაფტის/ფლორის და ფაუნის/ჰაბიტატის და ეკოსისტემის/ტყეების მდგომარეობის გაუარესება	საშუალო	• ტრენინგები მუშებისთვის მშენებლობის ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის თაობაზე. • მშენებლობის შესაბამისი მეთოდების გამოყენება.	კონტრაქტორი

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
	მდგომარეობის გაუარესება			
სოციალური	მიწის შესყიდვა და განსახლება	საშუალო	კონტრაქტორმა უნდა გაასწოროს მის მიერ მიყენებული ზარალი და/ან გადაიხადოს სრული კომპენსაცია.	კონტრაქტორი
		საშუალო	მიწის შესყიდვის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის და გეგმის დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.	კონსულტანტი/ კონტრაქტორი
	უცხო პირების (მშენებლობის მუშების) შემოსვლა	მცირე	ადგილობრივი კომპანიების და მუშახელის ჩართვა (მათთვის პრიორიტეტის მინიჭება).	კონტრაქტორი
ჯანდაცვა და უსაფრთხოება	ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკები მუშებისთვის; უბედური შემთხვევების რისკი	საშუალო	მუშათა ბანაკებში და სამშენებლო მოედანზე სათანადო ჰიგიენური და სანიტარული პირობებს უზრუნველყოფა და მონიტორინგი. ხეების მოსაჭრელად კვალფიცირებული და გამოცდილი მუშახელის დაქირავება და სათანადო დამცავი აღჭურვილობის უზრუნველყოფა. თხრილების სათანადოდ გამაგრება. მტვრის, მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის, მექანიკურ და ქიმიური ზემოქმედების გამო მუშახელის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკის შემცირება. დამცავი აღჭურვილობის, საგზაო უსაფრთხოების წესების, სამშენებლო მოედანზე გამაფრთხილებელი ნიშნების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა	კონტრაქტორი

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
			იყოს მშენებლობის ჯანდაცვის და უსაფრთხოების გეგმაში. ტყის ხანძრების რისკების შემცირება სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციების საშუალებით.	
	მუშების ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკები	მცირე	სამშენებლო მოედანზე გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობის უზრუნველყოფა და სამუშაო საათების დაცვა. ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება, მუშების და ქვეკონტრაქტორების ინფორმირება. საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმის მომზადება პროექტის კომპონენტებისთვის. საგანგებო სიტუაციებში რეაგირების ტრენინგი	კონტრაქტორი
	საზოგადოების და მუშების ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკები	მცირე	კონტრაქტებში სპეციალური დებულებების შეტანა სანქციების და მშენებლობის შეჩერების შესახებ, თუ არ იქნა დაცული ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები. მუშების მიერ დამცავი აღჭურვილობის ტარების უზრუნველყოფა. სიგნალიზაცია და გამაფრთხილებელი ნიშნები.	კონსულტანტი/ კონტრაქტორი
კულტურული მემკვიდრეობა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიზიკური დაზიანება/განადგურება	მცირე	შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურები => კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია ამ ძეგლის სიახლოვეს სამუშაოების შეწყვეტა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმირება	კონტრაქტორი

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთა მისასვლელის შეზღუდვა	უმნიშვნელო	სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გარანტირებული უნდა იყოს ეკლესიებთან, მეჩეთებთან და სასაფლაოებთან მისვლის შესაძლებლობა	კონტრაქტორი
კლიმატის ცვლილება	კლიმატის ცვლილების შემცირება	მცირე	სამშენებლო ტექნიკის ემისიების მინიმუმამდე შემცირება	კონტრაქტორი
	კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია	საშუალო	ფერდობების სტაბილიაციის ზომების განხორციელება მიწის სამუშაოების წარმოების და სხვა სარისკო ადგილებში (მაგ. ციცაბო ფერდობები წყალამღებების ზემოთ, მისასვლელ გზებზე და გადამცემი მაგისტრალების გასწვრივ ხეების, ბუჩქების ხელახლა დარგვის საშუალებით, ხოლო საგანგებო შემთხვევებში ლითონის ბადეების ან ბარიერების მოწყობის საშუალებით ქვების ცვენის ან ზვავების წარმოქმის ადგილებში).	კონტრაქტორი
ექსპლუატაციისას				
ფიზიკური	მდინარეებში წყლი ხარისხის გაუარესება	საშუალო	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ნამუშევარი წყლის ნიმუშების აღება და ანალიზი	კონსულტანტი
	გრუნტის წყლების ხარისხის გაუარესება	საშუალო	სეპტიკური ავზების მოკლეხნიანი მონიტორინგი	კონსულტანტი
ბიომრავალფეროვნება	ფლორის და ფაუნის/ჰაბიტატის და ეკოსისტემის/ტყეების	საშუალო	• მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველყოფა. • ქიმიური ნივთიერებებით წყლის დაბინძურების პრევენცია.	კომუნალური სამსახური/ მომხმარებლები

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
	მდგომარეობის გაუარესება		• ინფრასტრუქტურის, მათ შორის მისასვლელი გზების, სათანადო მოვლა-შენახვა.	
სოციალური	მიწის შესყიდვა და განსახლება	მცირე	• თუ მილები კერძო მიწის ნაკვეთზე გადის, მოვლა-შენახვის შეთანხმების პირობების დაცვა. • კომუნალურ სამსახურებთან და მოსახლეობასთან პერიოდული კონსულტაციები	კომუნალური სამსახური/ მომხმარებლები, აჭარის წყლის ალიანსი(AWA)
	უთანასწორობის რისკი	მცირე	გენდერული თანასწორობის და ქალების და მამაკაცების თანაბარი ანაზღაურების შესახებ დებულებების გათვალისწინება.	კომუნალური სამსახური/ მომხმარებლები, აჭარის წყლის ალიანსი(
საზოგადოების ჯანდაცვა და უსაფრთხოება	მიწოდებული წყლის დაბალი ხარისხი	მცირე	• შესაბამისი მასალისგან დამზადებული მილების შერჩევა და მისლადენების სათანადოდ გამორეცხვა. წყლის სიმღვრივე უნდა შემცირდეს გაფილტვრის გაუმჯობესების საშუალებით. • ჭარბი დაქლორვის თავიდან აცილება (საჭიროებისამებრ ტრენინგების ჩატარება).	კომუნალური სამსახური/ მომხმარებლები
	კონცენტრირებული ნატრიუმის	საშუალო	კონცენტრირებული ნატრიუმის ჰიპოქლორიტის შემცველი კონტეინერები კოროზიისადმი მდგრადი უნდა	კომუნალური სამსახური/

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
	ჰიპოქლორიტის შემთხვევით დაღვრა ან გაჟონვა		იყოს და აღჭურვილი უნდა იყოს მეორე დამცავი გარსით შემთხვევითი დაღვრის ან გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. ამგვარი კონტეინერების შენახვის ადგილი სათანადოდ უნდა ნიავდებოდეს.	მომხმარებლები
	მიწოდებული წყლის დაბინძურების რისკი	საშუალო	წყლის დაბინძურების (სასმელი წყლის დაბინძურება ან ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მიერ ზედაპირული წყლების შემთხვევითი დაბინძურება) შესახებ ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.	კომერციული სამსახური/ მომხმარებლები
მუშების ჯანდაცვა და უსაფრთხოება	ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების რისკი მუშებისთვის უბედური შემთხვევების რისკი	საშუალო	• უნდა მომზადდეს და განხორციელდეს სახიფათო მასალების მართვის გეგმა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნატრიუმის ჰიპოქლორიტს. • რეგულარული ტრენინგების ჩატარება ოპერატორებისთვის • ინსპექტირების პროგრამის მომზადება და განხორციელება ინჟექციური მილების და ნატრიუმის ჰიპოქლორიტის შემცველი კონტეინერების სიმტკიცის და გამართული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. • სათანადო დამცავი აღჭურვილობის უზრუნველყოფა და ტრენინგების ჩატარება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით.	კონსულტანტი

სფერო	პოტენციური ზემოქმედება	მნიშვნელობა	ზემოქმედების შემცირების ზომები	პასუხისმგებელი მხარე
კლიმატის ცვლილება	კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია	საშუალო	• მისასვლელი გზების და წყალამღებების მოვლა-შენახვა რეგულარული წმენდის და და ფერდობების სტაბილიზაციის ჩათვლით.	კომუნალური სამსახური/ მომხმარებლები
	კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია	საშუალო	• წყალმომხმარებელთა მიერ წყლის ეკონომიური ხარჯვის წახალისება.	კონსულტანტი, კომუნალური სამსახური/ მომხმარებლები

6.4 გარემოსდაცვითი მართვის და მონიტორინგის გეგმა (EMMP)

ცხრილი 42 გარემოსდაცვითი მართვის და მონიტორინგის გეგმის მონიტორინგის ზომების ჩამონათვალი

სფერო	ზემოქმედების შემცირების ზომები	მონიტორინგის ზომები	მონიტორინგის პარამეტრები	მდებარეობა	სიხშირე	პასუხისმგებელი პირი/უწყება	ხარჯთაღრიცხვა
Pre-construction							
ფიზიკური	სათანადო ეკოლოგიურად უსაფრთხო პროექტირების პრაქტიკა ძლიერი დიზაინი, ველური ბუნების დაზიანების თავიდან ასაცილებლად	შემოწმება - თუ მომზადებულია შესაბამისი პროექტი	განზავების მოდელირება, ზედა ბიეფში მართვის ზომები, მისასვლელი გზების მინიმუმამდე შემცირება, გრუნტის სტაბილიზაცია	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი	ექსპერტების სამუშაო საათები
ბიომრავალფეროვნება	სათანადო ეკოლოგიურად უსაფრთხო პროექტირების პრაქტიკა	შემოწმება - თუ მომზადებულია შესაბამისი პროექტი	ამოღებული გრუნტის მაქსიმალურად ხელახლა გამოყენება ეკოლოგიურ ხარჯზე მეტი მინიმალური	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი	ექსპერტების სამუშაო საათები

			ხარჯის დაპროექტება (დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების თავიდან აცილება				
	ბიომრავალფერონ ების კვლევა ახალი წყალამღებების და მისასვლელი გზების მშენებლობისთვის	დადასტურება - განხორციელებული ა თუ არა შესაბამისი კვლევა	მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნე ბაზე	არ გამოიყენ ება	არ გამოიყენებ ა	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი	ექსპერტების სამუშაო საათები
	გარემოსდაცვითი დებულებების შეტანა სამშენებლო კონტრაქტებში და სანქციები გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმის მოთხოვნების შეუსრულებლობი სთვის	დადასტურება - შესაბვამისი დებულებები შეტანილია სატენდერო დოკუმენტაციაში და კონტრაქტებში	გარემოსდაცვითი დებულებები და სანქციები	არ გამოიყენ ება	არ გამოიყენებ ა	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი	ექსპერტების სამუშაო საათები

სოციალური	მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის მომზადებ KfW-ს და ეროვული სტანდარტების შესაბამისად	დადასტურება - კომპენსაციის შესაბამისი მექანიზმი, დადასტურება - ზემოქმედები ქვეშ მოხვედრილ პირებთან შეთანხმების პროცედურები კერძო მიწის ნაკვეთებზე მილსადენების გაყვანის შესახებ. დადასტურება - კონფლიქტების გადაწყვეტის მექანიზმი	კომპენსაციის სათანადო პაკეტი; ზემოქმედები ქვეშ მოხვედრილ პირებთან შეთანხმების სათანადო პროცედურები კონფლიქტების გადაწყვეტის სათანადო მექანიზმი	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი/ აჭარის წყლის ალიანსი(AWA)	ექსპერტების სამუშაო საათები
	შეძლებისდაგვარად ინფრასტრუქტურისთვის სახელმწიფო მიწის შერჩევა კერძო მიწის ნაცვლად	პროექტის განხილვა	კერძო მიწის ნაკვეთებზე კომუნალური ინფრასტრუქტურის რაოდენობა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი/სს „აჭარის წყლის ალიანსი“	ექსპერტების სამუშაო საათები

	ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის კონცეფციის შემუშავება	დადასტურება - ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის კონცეფცია	შემოთავაზებული ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის კონცეფცის შესაბამისობა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი/სს „აჭარის წყლის ალიანსი“	ექსპერტების სამუშაო საათები
	საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი	საჩივრების და მათი განხილვის მონიტორინგი	საჩივრების/სასამართლო საქმეების რაოდენობა	პროექტის ფართობი	მუდმივი	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი/სს „აჭარის წყლის ალიანსი“/მუნიციპალიტეტები	ექსპერტების სამუშაო საათები
	მონაწილეთა ჩართულობის გეგმის მომზადება KfW-ს და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად	გენდერული თანასწორობის და მონაწილეთა მხარეებთან კონსულტაციების მონიტორინგი	დაუცველი (მოწყვლადი) მაცხოვრებლების რაოდენობა, ქალების ჩათვლით . გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლები. სოციალური ტარიფები	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი/სს „აჭარის წყლის ალიანსი“	ექსპერტების სამუშაო საათები
ჯანდაცვა და უსაფრთხოება	მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მუშახელის ჯანდაცვის და	დამოწმება - კონტრაქტორის უნარი დაგეგმოს და განახორციელოს ჯანდაცვის და	კონტრაქტორის რეკომენდაციები	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი/სს „აჭარის წყლის ალიანსი“	ექსპერტების სამუშაო საათები

	შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმების შემუშავება ყველა ქვეპროექტისთვის.	უსაფრთხოების ზომები					
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსგან ნებართვის მიღება	ნებართვების რაოდენობის მონიტორინგი	ნებართვების რაოდენობა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი	ექსპერტების სამუშაო საათები
კლიმატის ცვლილება	კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტირებული პროექტი	პროექტის კლიმატისადმი ადაპტირების შემოწმება	ენერგომოხმარების მინიმუმამდე შემცირება კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტირებული ნაგებობების რაოდენობა მეწყრისგან დამცავი ზომების რაოდენობა	არ გამოიყენება	არ გამოიყენება	კონსულტანტი/ ექსპერტთა გუნდი	ექსპერტების სამუშაო საათები
მშენებლობისას							

ფიზიკური	ნარჩენების განკარგვა უნდა მოხდეს შესაბამისი რეგულაციების მიხედვით.	დაკვირვება	დარღვევების რაოდენობა	პროექტის ფართობები/სამშენებლო მოედნები	ყოველკვირეული	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები
ფიზიკური/ბიომრავალფეროვნება	ღამის საათებში ხმაურიანი საქმიანობისა და განათების	დაკვირვება, ინსპექტირება	დარღვევების რაოდენობა	წყალამღებების ადგილები	ყოველკვირეული	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები
	ტრენინგები მუშებისთვის მშენებლობის ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის თაობაზე.	მშენებლობის სათანადო პრაქტიკის და მეთოდების მონიტორინგი	დარღვევების რაოდენობა	პროექტის ფართობები/სამშენებლო მოედნები	ყოველკვირეული	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები
სოციალური	მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის და მონაწილეთა ჩართულობის გეგმის განხორციელება	დაკვირვება და მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის მონიტორინგის ანგარიში	მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის და მონაწილეთა ჩართულობის გეგმის მოთხოვნების შესრულება/შეუსრულებლობა	პროექტის ფართობები/სამშენებლო მოედნები	პერიოდული	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები

	საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი	საჩივრების და მათი განხილვის მონიტორინგი	საჩივრების/სასამართლო საქმეების რაოდენობა	პროექტის ფართობი	მუდმივი	კონსულტანტი/ კონტრაქტორი/ სს „აჭარის წყლის ალიანსი“/მუნიციპალიტეტები	ექსპერტების სამუშაო საათები
მუშების ჯანდაცვა და უსაფრთხოება	მშენებლობის ჯანდაცვის და უსაფრთხოების გეგმის, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმის ჩათვლით, განხორციელება KfW-ს მოთხოვნების შესაბამისად	დაკვირვება, დოკუმენტაციის მონტორინგი	მშენებლობის ჯანდაცვის და უსაფრთხოების გეგმის მოთხოვნების შესრულება/შეუსრულებლობა, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა	პროექტის ფართობები/სამშენებლო მოედნები	ყოველკვირეული	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები
საზოგადოების ჯანდაცვა და უსაფრთხოება	სიგნალიზაცია, სანქციები	დაკვირვება, დოკუმენტაციის მონიტორინგი	ჯანდაცვის და უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნების შესრულება/შეუსრულებლობა, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა	პროექტის ფართობები/სამშენებლო მოედნები	ყოველკვირეული	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურების დაცვა	დაკვირვება, დოკუმენტაციის მონტორინგი	შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურების მოთხოვნების შესრულება/შეუსრულებლობა	პროექტის ფართობები/სამშენებლო მოედნები	საჭიროების ამებრ	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები
კლიმატის ცვლილება	სამშენებლო ტექნიკის ემისიების მინიმუმამდე შემცირება	დაკვირვება, დოკუმენტაციის მონტორინგი	იმ ავტომობილების რაოდენობა, რომლებიც სტანდარტებს არ აკმაყოფილებს	პროექტის ფართობები/სამშენებლო მოედნები	ყოველკვირეული	კონსულტანტი/ კონტრაქტორი	ექსპერტების ინსპექტირების საათები
ექსპლუატაციისას							
ფიზიკური	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ნამუშევარი წყლის ნიმუშების აღება და ანალიზი	ნამუშევარი წყლის მონიტორინგი	ოპერირებისა და ტექნიკური მოვლა შენახვის კონცეფციის თანახმად	ნამუშევარი წყლის ნიმუშების აღების ადგილი	ოპერირებისა და ტექნიკური მოვლა შენახვის კონცეფციის თანახმად	კომუნალური სამსახური/გარემოს დაცვის სამინისტრო	ზედაპირული წყლების ნიმუშების აღების. ტრანსპორტირების და ლაბორატორიული ანალიზის ღირებულება 50-100 ევრო

	ნამუშევარი წყლის მონიტორინგი	სეპტიკური ავზების ნამუშევარი წყლის მონიტორინგი	ოპერირებისა და ტექნიკური მოვლა შენახვის კონცეფციის თანახმად	შერჩეული სეპტიკური ავზები	ოპერირებისა და ტექნიკური მოვლა შენახვის კონცეფციის თანახმად	კომუნალური სამსახური/გარემოს დაცვის სამინისტრო	გრუნტის წყლების ნიმუშების აღების. ტრანსპორტირების და ლაბორატორიული ანალიზის ღირებულება
	აღებული გაუწმენდავი და მიწოდებული გაწმენდილი წყლის ხარისხის მონიტორინგი	გაწმენდილი წყლის ხარისხის მონიტორინგი	ოპერირებისა და ტექნიკური მოვლა შენახვის კონცეფციის თანახმად	წყალარების და საბოლოო მომხმარებლების ადგილები	ოპერირებისა და ტექნიკური მოვლა შენახვის კონცეფციის თანახმად	კომუნალური სამსახური/გარემოს დაცვის სამინისტრო	ნიმუშების აღების. ტრანსპორტირების და ლაბორატორიული ანალიზის ღირებულება 50-100 ევროა
	საკანალიზიაციო შლამის სათანადო დამუშავება	საკანალიზიაციო შლამის დამუშავების და ამ რესურსის გამოყენების მონიტორინგი	მოცილებული შლამის რაოდენობა	შლამის დამუშავების ინფრასტრუქტურა	ოპერირებისა და ტექნიკური მოვლა შენახვის კონცეფციის თანახმად	კომუნალური სამსახური	ექსპერტების ინსპექტირების საათები
ბიომრავალფეროვნაბ	სათანადო მოვლა-შენახვის ზომები	დაკვირვება	კრიტიკული ხარჯის პერიოდების რაოდენობა და	წყალმომარაგების და წყალარი	ყოველთვიური	კონსულტანტი/ კომუნალური სამსახური	ექსპერტების ინსპექტირების საათები

			ხანგრძლივობა; მოვლა-შენახვის მონიტორინგის არარსებობა და მწყობრიდან გამოსული ინფრასტრუქტურის რაოდენობა	ნების სისტემე ბი			
	მოვლა-შენახვის შესახებ შეთანმებების დაცვა	პერიოდული კონსულტაციები კომუნალურ სამსახურებთან და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან	მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული საქმეების არარსებობა	წყალმომ არაგების და წყალარი ნების სისტემე ბი	ყოველთვი ური	კონსულტანტი/ კომუნალური სამსახური	ექსპერტების ინსპექტირების საათები
სოცია ლური	საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი	საჩივრების და მათი განხილვის მონიტორინგი	საჩივრების/სასამარ თლო საქმეების რაოდენობა	პროექტი ს ფართობ ი	მუდმივი	კონსულტანტი/ კონტრაქტორი/ სს „აჭარის წყლის ალიანსი“/მუნი ციპალიტეტები	ექსპერტების სამუშაო საათები
	გენდერული თანასწორობის შესახებ დებულებების განხორციელება	პერიოდული კონსულტაციები კომუნალურ სამსახურებთან და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან	ქალების და მამაკაცების ხელფასები	პროექტი ს სოფლებ ი	ყოველწლი ური	კონსულტანტი/ კომუნალური სამსახური	ექსპერტების ინსპექტირების საათები

საზოგადოების ჯანდაცვა და უსაფრთხოება	ადეკვატური ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა	პერიოდული კონსულტაციები კომუნალურ სამსახურებთან და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან	მილსადენების წმენდის რაოდენობა; მიწოდებული წყლის ხარისხი (სიმღვრივე, ქლორის შემცველობა)	პროექტის სოფლები	ყოველთვიური	კონსულტანტი/ კომუნალური სამსახური	ექსპერტების ინსპექტირების საათები, ლაბორატორიული ანალიზის ხარჯები
ჯანდაცვა და უსაფრთხოება	ადრეული გაფრთხილების პროცედურები წყლის დაბინძურების და მუშების ტრენინგი	პერიოდული კონსულტაციები კომუნალურ სამსახურებთან	მიწოდებული წყლის შემთხვევითი დაბინძურების ინციდენტების რაოდენობა, ტრენინგების რაოდენობა	პროექტის სოფლები	საჭიროების ამებრ	კონსულტანტი/ კომუნალური სამსახური	კონსულტაციები/ექსპერტების ტრენინგების საათები
მუშების ჯანდაცვა და უსაფრთხოება	სახიფათო მასალების მართვის გეგმის განხორციელება და მუშების ტრენინგი	პერიოდული კონსულტაციები კომუნალურ სამსახურებთან	ინსპექტირებები ინჟექციური მილების და ნატრიუმის ჰიპოქლორიტის შემცველი კონტეინერების სიმტკიცის და გამართული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.	წყალგამწმენდი ნაგებობები	საჭიროების ამებრ	კონსულტანტი/ კომუნალური სამსახური	ექსპერტების საკონსულტაციო/ტრენინგის საათები

			საგანგებო სიტუაციებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა				
კლიმატის ცვლილება	წყალმომხმარებელთა მიერ წყლის ეკონომიური ხარჯვის წახალისება.	პერიოდული კონსულტაციები კომუნალურ სამსახურებთან და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან	წყალმოხმარება	მომსახურების ტერიტორია	ყოველწლიური	კონსულტანტი/ კომუნალური სამსახური	ექსპერტების საკონსულტაციო საათები

6.5 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის რეზიუმე და დამატებით საჭირო გეგმები

ცხრილი 43 დამატებით საჭირო გეგმების რეზიუმე

გეგმა	საჭიროება(კი/არა)	კომენტარი
მონაწილეთა ჩართულობის გეგმა (SEP)	კი	თავი 8.
საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM)	კი	თავი **Error! Reference source not found.**.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის გეგმა (CHPP)	კი	მომზადდება მიწის შესყიდვის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის (LARF) დებულებების შესაბამისად, თავი **Error! Reference source not found.**.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის გეგმა (CHPP)	არა	არ არის მოსალოდნელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება, მაგრამ საჭირო იქნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ნებართვა. გათვალისწინებულია შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურები, თუმცა რისკი შეფასდა, როგორც მცირე.
ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (BAP)	არა	სენსიტიურ ჰაბიტატებზე პოტენციური ზემოქმედება დიდი არ იქნება და შესაძლებელია ამ ზემოქმედების შემცირება თითოეული ქვეპროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმის საშუალებით. იმ ქვეპროეტებისთვის, სადაც გათვალისიწნებული ახალი წყალამღებების და მისასვლელი გზბეის მშენებლობა, დაგეგმილია ბიომრავალფეროვნების/ჰაბიტატის კვლევების ჩატარება (20მ-იანი დერეფანი)
აბორიგენი მოსახლეობის გეგმა (IPP)	არა	არ გამოიყენება

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP)	კი	მომზადდება და განხორციელდება კონკრეტული ქვეპროექტებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF). მისი მიახლოებითი სტრუქტურა მოცემულია. დანართი 8: . შემოთავაზებული სტრუქტურა ლოტი 2-ის
სამშენებლო ნარჩენების მართვის გეგმა	კი	კონტრაქტორი მოამზადებს ამ გეგმებს კონკრეტული ქვეპროექტებისთვის და განახორციელებს მათ.
ტრანსპორტის მართვის გეგმა	კი	კონტრაქტორი მოამზადებს ამ გეგმებს კონკრეტული ქვეპროექტებისთვის და განახორციელებს მათ.
ჯანდაცვის და შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა	კი	კონტრაქტორი მოამზადებს ამ გეგმებს კონკრეტული ქვეპროექტებისთვის და განახორციელებს მათ ჯანდაცცვის და შრომის უსაფრთხოების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად (თავი 9).

7. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტი

7.1 მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტის მიზნები და პრინციპები

მიწის შეძენისა და განსახლებ/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტის (LARF) მიზანია უზრუნველყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე მიყენებული ყველა სახის უარყოფითი ზეგავლენის სათანადოდ ანაზღაურება საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და KfW ბანკის, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად (იხ. სამართლებრივი ჩარჩო-დოკუმენტი და ხარვეზების ანალიზი მე -3 თავში). მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტის (LARF) ფუნდამენტალური პრინციპის პრიორიტეტია პროგრამის განხორციელებისას განსახლება/გარიგების თავიდან არიდება. ფიზიკური გადაადგილება უნდა იყოს მთლიანად გამორიცხული. მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ არ არსებობს სხვა ალტერნატივა, მაგ. საპროექტო ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის ვერ მოხერხდა ვერანაირი სახელმწიფო / მუნიციპალური მიწის მოძიება. ყველა მუდმივი და დროებითი ზემოქმედება ანაზღაურებული იქნება ჩანაცვლების ღირებულებით. დეტალები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ უფლებათა ჩარჩო-დოკუმენტში. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტი (LARF) მომზადებულია მიწის შეძენის პოტენციური საჭიროებისათვის. ჯერჯერობით უცნობია არსებობს თუ არა ექსპროპრიაციის საჭიროება. თუ აღნიშნულის აუცილებლობა არ წარმოიქმნება, არ დადგება მიწის შესყიდვისა და განსახლება/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტის მომზადების აუცილებლობაც. აღნიშნული საკითხი გაირკვევა პროექტზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

7.2 განსახლება/გარიგების მასშტაბები

განსახლების მასშტაბისა და კომპენსაციის მოთხოვნების წარმოდგენის მიზნით, ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი პროექტის კომპონენტების განსახლების ზოგადი გავლენები.

წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საპროექტო სამუშაოები:

- წყალმიმღები ობიექტების და ჭაბურღილების რეაბილიტაცია და ახალი მშენებლობა
- წყლის გადამცემი მაგისტრალების შეცვლა და ახალი მშენებლობა ტრანშეების გათხრის ჩათვლით
- წყალმომარაგების ქსელების შეცვლა და ახლის მშენებლობა
- წყლის გამწმენდი ნაგებობისა და ახალი, მცირე ზომის წყლის ავზების/რეზერვუარების მშენებლობა/მოწყობა
- წყალმიმღებ ობიექტებამდე მისასვლელი გზების მშენებლობა

წყალარინებასა და ნარჩენი წყლების გაწმენდასთან დაკავშირებული საპროექტო სამუშაოები:

- ახალი, ინდივიდუალური და კომუნალური სეპტიკური ავზების მშენებლობა/მოწყობა
- წყალარინების გაყვანილობის შეცვლა და ახლის მშენებლობა ტრანშეების გაყვანის სამუშაოების ჩათვლით
- მცირე მასშტაბის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა (WWTPs),
- ფეკალური შლამის გამწმენდი ნაგებობის (FSTPs) მშენებლობა

პროექტის ფარგლებში განსახლება/გარიგების მასშტაბები სავარაუდოდ ძალიან შეზღუდული იქნება. პროექტი მთლიანად გამორიცხავს ადამიანების საცხოვრებელი ადგილიდან ფიზიკურ გადაადგილებას. დამატებითი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მაქსიმალურად დაგეგმილია მუნიციპალურ ტერიტორიებზე / სახელმწიფო მიწებზე (მიწის საკუთრების სტატუსი სარგებლობაში უნდა გადაეცეს მუნიციპალიტეტებს). წყალმიმღები ობიექტები, წყლის გამწმენდი ნაგებობები და ავზები / რეზერვუარები აშენდება უპირატესად სახელმწიფო ტერიტორიაზე.

წყალმიმღები ობიექტების მშენებლობისთვის მაქსიმალურად იქნება გამოყენებული უკვე არსებული მისასვლელი გზები. წყალმიმღებ ობიექტებთან წვდომისთვის ზოგიერთ შემთხვევაში ახალი მისასვლელი გზების აშენების ან არსებული გზების რამდენიმე ასეული მეტრით გაგრძელების აუცილებლობა დადგება. ლოტი 2-ის სამუშაოებისთვის მისასვლელი გზების მშენებლობა მთლიანად თავიდან იქნება აცილებული. სრულიად მიუწვდომელ ადგილებში გამოყენებული იქნება საფეხმავლო ბილიკები. ზოგიერთ შემთხვევაში, წყალმიმღები ობიეტების ტერიტორიები შეიძლება მდებარეობდეს კერძო მიწების მახლობლად და საჭირო გახდება მათი გადაკვეთა მისასვლელი გზებით. დაგეგმილი წყალმიმღები ობიექტების მიმდებარე ტერიტორიების უმეტესობა არ არის რეგისტრირებული, როგორც კერძო საკუთრება საქართველოს საჯარო რეესტრის მიხედვით (reestri.gov.ge).

წყლის ახალი გადამცემი მაგისტრალები განთავსდება მიწის ქვეშ, რითაც მიწაზე მუდმივი ზემოქმედება თავიდან იქნება აცილებული. დასახლებულ ადგილებში წყლისა და

წყალარინების მილები ძირითადად გზებისა და საზოგადოებრივი მიწის ქვეშ იქნება განთავსებული კერძო მიწებზე გავლენების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა, ზოგიერთ ადგილას საჭირო გახდება კერძო მიწის ნაკვეთების გადაკვეთა და შებამისად, უნდა მოხდეს დროებითი ზარალის ანაზღაურება. მიუწვდომელ ადგილებში მილსადენების განთავსება არ გულისხმობს აუცილებლად მილსადენის გასწვრივ მისასვლელი გზების მშენებლობას.

ნარჩენი წყლების გაწმენდის კონცეფციებში გათვალისწინებულია ინდივიდუალური(ადგილზე წყალარინების ობიექტი) ან ჯგუფური (კომუნალური) სეპტიკური ავზები (ლოტი 2 და ლოტი 1) ან მცირე ზომის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები და ფეკალური შლამის გამწმენდი ნაგებობები FSTPs (ლოტი 1). ამ ინფრასტრუქტურისთვის გამოყენებული იქნება მუნიციპალური მიწები და ამით თავიდან იქნება აცილებული მიწის შეძენის საკითხი. თუ გამონაკლის შემთხვევებში კერძო მიწების საჭიროება წარმოიქმნება, უნდა მოხდეს აღნიშნული მიწის შეძენა და მიწით სარგებლობის ყოველმხრივი ანაზღაურება (ჩანაცვლების ღირებულების პრინციპით). საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, ანაზღაურდება აგრეთვე საზოგადოებრივი მიწების (არაფორმალური / არარეგისტრირებული) გამოყენება. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებისთვის არ იქნება საჭირო ახალი მისასვლელი გზების მშენებლობა, გამოყენებული იქნება არსებული გზები.

მუნიციპალიტეტების უმეტესობაში საცხოვრებელიდან ფიზიკური გადაადგილება სავარაუდოდ არ მოხდება და მიწის შეძენის საჭიროებაც მინიმალური იქნება. ექსპროპრიაციის პროცედურა მაქსიმალურად იქნება თავიდან აცილებული. მიწის გამოყენებაზე დროებითი გავლენები გამოწვეული იქნება წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების შეცვლით (მიწის გადაკვეთა).

ცხრილი 44 მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გავლენების მასშტაბები

გავლენა	აღწერა	დაბები (ლოტი 1)	სოფლები (ლოტი 2)
ფიზიკური გადაადგილება	სახლების ფიზიკური გადატანა მთლიანად იქნება არიდებული	არ არის საჭიროება	არ არის საჭიროება
მიწის შეძენა	კერძო საკუთრებაში არსებული მიწების შეძენა წყლის გამწმენდი ნაგებობის, წყალარინების ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობის, რეზერვუარების ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის	პოტენციურად ნარჩენი წყლების ერთი გამწმენდი ნაგებობის ადგილი ოჩხამურში უნდა შეფასედეს ინდივიდუალური პროექტებისთვის	უნდა შეფასდეს ინდივიდუალური პროექტებისთვის
ზიანის მიყენება კერძო	ნაგებობების მაგ. ღობეების დაზიანება	შესაძლებელია მშენებლობის დროს, საჭიროა	შესაძლებელია სამშენებლო საქმიანობის დროს => საჭიროა

ინფრასტრუქტურა ზე		კომპენსაციის დაგეგმვა	კომპენსაციის დაგეგმვა
ეკონომიკური ზარალი / დროებითი გავლენა მიწის გამოყენებაზე	მოსავლის დაკარგვა და ა.შ., როდესაც გადამცემი/საკანალიზაციო გამანაწილებელი მილებით მოხდება კულტივირებული ტერიტორიების გადაკვეთა	ქსელის შეცვლის ფართობები ყველა მუნიციპალიტეტში	სავარაუდოდ არ იქნება მოსახლეობის წყალმომარაგების ადგილებში სავარაუდოდ არ იქნება კანალიზაციისთვის (ინდ/ჯგუფური სეპტიკური ავზები)

7.3 სამართლებრივი ჩარჩოს განხილვა

საქართველოს არსებული კანონმდებლობა და KfW-ს განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს, რომ დაკარგული აქტივების, მათ შორის მიწის, ნაგებობების, ხეების და მარცვლოვანი კულტურების ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ჩანაცვლების ღირებულების საბაზრო ფასით. კანონებში ასევე განსაზღვრულია იმ ზიანის ტიპები, რაც ექვემდებარება კომპენსირებას და მითითებულია, რომ ანაზღაურება უნდა მოხდეს როგორც ფიზიკური აქტივების, ისე შემოსავლის დაკარგვისთვის. და ბოლოს, ეს კანონები ძლიერ აქცენტს აკეთებს კონსულტაციებსა და შეტყობინებებზე, რათა მოხდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა. მოსავლის დაკარგვისა და ბიზნესის დახურვით გამოწვეული შემოსავლის დაკარგვა ანაზღაურდება წმინდა ზარალის შესაბამისად. უფრო დეტალური შეფასებისთვის იხილეთ მე -3 თავი იურიდიული ჩარჩო და ხარვეზების ანალიზი).

7.4 უფლებამოსილების ჩარჩო

ამ თავში დეტალურადა არის მოცემული კომპენსაციების ზოგადი ჩარჩო დებულებები. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც ექვემდებარებიან კომპენსაციას პროექტის ფარგლებში არიან:

a. ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, რომელიც კარგავს იურიდიულ საკუთრებაში არსებულ მიწას ან მიწას, რომელზედაც გააჩნია ტრადიციული უფლებები, სამომხმარებლო გამოყენების უფლებები, კანონიერად ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, თუ პირები სამართლებრივი სტატუსის გარეშე;

b. მიწაზე მიბმული შენობათა, ნათესების, მცენარეების ან სხვა ობიექტების / აქტივების მფლობელები, და

c. პირები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალს და ხელფასებს

d. მოწყვლადი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები და მძიმედ ზემოქმწდების ქვეშ მყოფი პირები მიიღებენ ერთჯერად კომპენსაციას

იმ კერძო საკუთრების შემთხვევაში, რომელზედაც პროექტი იქონიებს გავლენას, კომპენსირების უფლებამოსილება შეზღუდული იქნება მოლაპარაკებების შეწყვეტის ვადით, რომელიც დადგინდება პროექტისთვის გაზომვის დეტალური გამოკვლევის დღეს (პირთა აღწერა და ზარალის ინვენტარიზაცია). პირებს, რომლებიც მოლაპარაკებების შეწყვეტის თარიღის შემდეგ შეიძენენ მიწას ან დასახლდებიან საპროექტო გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, არ ექნებათ კომპენსაციის მიღების უფლება. ამასთან, ისინი წინასწარ მიიღებენ შეტყობინებას, რითაც მოთხოვნილი იქნება შენობების გათავისუფლებისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი სტრუქტურების დემონტაჟი პროექტის განხორციელების დაწყებამდე.

7.4.1 უფლებამოსილებების განსაზღვრა

უფლებამოსილებების დებულებები ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის, რომლებმაც დაკარგეს მიწა, სახლი, შემოსავალი და სარეაბილიტაციო სუბსიდიები, შეიცავს მუდმივი ან დროებითი მიწის დანაკარგების, შენობების დანაკარგების, კულტურებისა და ხეების ზარალის, გადაადგილების სუბსიდიისა და ბიზნესის ზარალის შემწეობის პირობებს, რომელიც დაფუძნებულია საგადასახადო დეკლარაციებზე ან / და არსებულ მინიმალურ საბაზრო განაკვეთებზე. ეს უფლებამოსილებები დეტალურად არის მოცემულია ქვემოთ:

- **არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:** იურიდიულად რეგისტრირებული ქონების მფლობელი ახალმოსახლის ანაზღაურება განხორციელდება ჩანაცვლების სრული ღირებულებით ცვეთის ღირებულების გამოკლებით. საკუთრების დაკანონების შესაძლებლობის შემთხვევაში მოხდება ახალმოსახლეთა სამართლებრივი გაფორმება, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირება და ისინი, როგორც ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, მიიღებენ კომპენსაციას. მიწის არაუფლებამოსილ და არა-ლეგალიზებულ მომხმარებლებს კომპანსაცია მიეცემათ უზუფრუქტისა და ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისად.
- კომპენსაცია **სახლების, შენობებისა და დამხმარე ნაგებობებისთვის** (ღობეები, ტულეტები და ა.შ.) გაიცემა ნაღდი ანგარიშსწორებით ჩანაცვლების სრული ღირებულებით, ცვეთის ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების გარეშე, მიწის სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად. ნაგებობების დანგრევის შემდეგ დარჩენილი სამშენებლო მასალები ჩაითვლება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახის საკუთრებად.
- **ხეები:** ნაღდით ანგარიშსწორება საბაზრო ფასით, ხეების სახეობის, ასაკისა და მხსმოიარობის მიხედვით.
- **ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა/ბიზნესის/ხელფასების//დასაქმების დანაკარგი:** თუკი დასაქმებულები პროექტის ზეგავლენით დაკარგავენ თავიანთ ხელფასებს, მათ გაეწევათ კომპენსაცია დახმარების ფორმით, რაც მინიმალური ხელფასის 3 თვის ექვივალენტური იქნება (განმარტება იხილეთ ქვემოთ).
- **მოწყვლადი ადამიანების საარსებო წყარო:** მოწყვლადი კატეგორიის ოჯახები (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ქალი მარჩენალით, შშმპ წევრებით ან პენსიონერებით) მიიღებენ მინიმალური ხელფასის სამი თვის ექვივალენტურ შემწეობას(იხილეთ ქვემოთ).

<u>არ გამოიყენება პროექტში (ფიზიკური გადაადგილება)</u>

- ***დახმარებაადგილის შეცვლის/გადაადგილებისთვის:*** *იძულებით გადასახლებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები მიიღებენ გადასახლების დახმარებას, რომელიც საკმარისი იქნება ტრანსპორტირებისა და 3 თვის განმავლობაში საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად.*

7.4.2 კომპენსაციაზე უფლების მიღების მატრიცა

საპროექტო ამოცანები განხორციელდება კომპენსაციის მიკუთვნებისა და უფლებების ჩარჩოს შმიხედვით როგორც საქართველოს, ასევე KFW განვითარების ბანკის კანონმდებლობითა და რეგულაციებით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოადგენილია უფლემამოსილებების მატრიცის შეჯამება.

ცხრილი 45 კომპენსაციის მიღების უფლების მატრიცა

ზარალის ტიპი	გამოყენება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლების მინიჭება
		მიწა	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სამუდამოდ დაკარგვა	მუდმივად დაკარგული მიწის ნაკვეთები, რომლებიც მოექცა კოშკის ადგილმდებარეობის ქვეშ ან ქვესადგურების და მუდმივად გამოსაყენებელი მისადგომი გზების ადგილებში.	მესაკუთრე სრული რეგისტრაციით	ფულადი ანაზღაურება ნაღდი ანგარიშსწორებით ჩანაცვლების სრული ღირებულებითა ან იმავე ღირებულების შემცვლელი მიწით. პროგრამისთვის შერჩეულია ფულადი ანაზღაურების ვარიანტი. თუ ნარჩენი მიწის ნაკვეთი მესაკუთრისათვის გამოუსადეგარი გახდება, პროექტი სრულად შეიძენს ნაკვეთს.
		მესაკუთრეები, რომელთა იურიდიულად გაფორმება არის შესაძლებელი (მუნიციპალიტ	მოხდება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სამართლებრივ მესაკუთრე გაფორმება, როგორც მესაკუთრეები და უზრუნველყოფილი იქნებიან კომპენსაციით ნაღდი ანგარიშსწორების სახით

ზარალის ტიპი	გამოყენება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლების მინიჭება
		ეტის აღიარებით)	ჩანაცვლების სრული ღირებულებით ან იმავე ღიებულების მიწით.
		გამქირავებელი/ მეიჯარე	3 თვის ქირის ანაზღაურება ნაღდით ანგარიშსწორებით.
		არაფორმალური ახალმოსახლეები/ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომელთაც არ გააჩნიათ მოქმედი დოკუმენტაცია/ საკუთრების აღიარება (მიწის მომხმარებლები საკუთრების უფლების გაფორმების ყოველგვარი საფუძვლის გარეშე)	მოხდება არა მიწის კომპანსაცია, არამედ მხოლოდ უზურფრუქტისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინფრასტრუქტურის საფასურის ანაზღაურება ნაღდი ანგარიშსწორებით
	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც კარგავენ კომერციულ/	მესაკუთრე სრულფასოვანი რეგისტრაციით	ფულადი ანაზღაურება ჩანაცვლების სრული ღირებულებით ან იმავე ღირებულების შემცვლელი მიწა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის მისაღებ ადგილას.

ზარალის ტიპი	გამოყენება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლების მინიჭება
	საცხოვრებელ მიწას	მესაკუთრეები, რომელთა იურიდიულად დარეგისტრირება არის შესაძლებელი	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები დარეგისტრირდებიან და უზრუნველყოფილნი იქნებიან კომპანსაციით ნაღდი ანგარიშსწორებით ჩანაცვლების სრული ღირებულებით ან იმავე ღირებულების მიწის ჩანაცვლებით.
		გამქირავებელი/ მეიჯარე	3 თვის ქირის საფასურის ანაზღაურება ნაღდი ანგარიშსწორებით
		არაოფიციალური ახალმოსახლე/ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები რეგისტრაციის/ მოქმედი დოკუმენტაციის გარეშე	ერთჯერადი თვითგადაადგილების შემწეობა ნაღდი ანგარიშსწორებით, მინიმალური საარსებო შემოსავლის 1 წლის ექვივალენტით
მიწაზე მიმაგრებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქონება/ობიექტები			
მუდმივი გავლენა ქონებაზე მიწის შეძენის დროს	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქონების ყველა მფლობელი	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც ფლობენ ქონებას შეძენილ მიწაზე	მშენებლობის დროს გადახდილი იქნება შესაბამისი ანაზღაურება ჩანაცვლების სრული ღირებულებით ყველა ქონებისთვის, რომელიც მიმაგრებულია შეძენილ მიწაზე (ნარგავები, ხეები, ნაგებობები), მიუხედავად

ზარალის ტიპი	გამოყენება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლების მინიჭება
			იმისა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი არის მიწის კანონიერი მესაკუთრე თუ უფლებამოსილი მოსარგებლე პროგრამისთვის შერჩეული ვარიანტია ფულადი ანაზღაურება.
მშენებლობის პერიოდში მუდმივი უარყოფითი გავლენა ქონებაზე	ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქონების მფლობელი	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომელთა მფლობელობაში არსებული ქონება სამუდამოდ დაზიანდა პროექტის სამშენებლო სამუშაოების დროს	მშენებლობის დროს შესაბამისი ანაზღაურება გაიცემა მშენებლობის პროცესში დაზიანებული ყველა ქონების ჩანაცვლების სრული ღირებულებით (თუ საწყის მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია => ამ შემთხვევაში: დროებითი ზემოქმედება). პროგრამისთვის შერჩეული ვარიანტია ფულადი ანაზღაურება.
დროებითი დანაკარგები			
დროებითი უარყოფითი გავლენა მშენებლობის ან ან სარემონტო სამუშაოების დროს	ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი	ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი	შესაბამისი ანაზღაურება გადაიხდება ყველა დროებითი გავლენისთვის მშენებლობის დროს. მოხდება პირველადი მდგომარეობის აღდგენა დაზიანების შემთხვევაში (მაგ. დაზიანებული ღობის, კედლის და ა.შ.) ან / და ფულადი კომპენსაცია, ბაღ-ბოსტნის, ხეების, ნარგავების მშენებლობის დროს მიყენებული ზიანის

ზარალის ტიპი	გამოყენება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლების მინიჭება
			ასანაზღაურებლად ჩანაცვლების სრული ღირებულებით. . ექსპლუატაციის დროს სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.
განსახლება/გარიგების გაუთვალისწინებელი გავლენები/ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი	ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი	მშენებელი კონტრაქტორი მოაგვარებს და შეამსუბუქებს / აანაზღაურებს პროექტის მშენებლობის დროს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის განსახლების შედეგად მიყენებული უარყოფითი გავლენის / ზიანის გაუთვალისწინებელ ხარჯს სრული ჩანაცვლების ღირებულებით.

7.4.3 მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის დახმარების გაწევა

მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებად ითვლებიან პირები, რომელთაც საპროექტო სამუშაოების შედეგად დაკარგეს თავიანთი ქონების (მიწა ან ბიზნესი) 10%-ზე მეტი მაგ. წყალარინების გამწმენდი ნაგებობისთვის წაღებული მიწის ან მისასვლელი გზების მოწყობის გამო, რის შედეგადაც მიწა გამოუსადეგარი გახდა. მნიშვნელოვანი საპროექტო ზარალისთვის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს 1 წლის პროდუქციის/წარმოების დანაკარგის ან 3 თვის მინიმალური ხელფასის ტოლფასის (რომელიც უფრო მეტი იქნება) ოდენობის კომპენსაციას. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს 3 თვის *თვიური* 500-800 ლარის ოდენობის შემწეობას ან 1500-2400 ლარის ოდენობის საარსებო წყაროს აღდგენის კომპანსაციას. ოფიციალური მინიმალური ხელფასის არ არსებობის შემთხვევაში, ეს ციფრები აღებულია როგორც მინიმალური ანაზღაურება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დასაქმებულთათვის.

7.4.4 დახმარების გაწევა ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოწყვლადი კატეგორიის ადამიანებისათვის

მოწყვლადი კატეგორიის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებზეც საპროექტო სამუშაოებმა სამუდამო გავლენა იქონია (მაგ. მიწის შეძენა), ექვემდებარებიან მინიმალური ხელფასის 3 თვის ოდენობის შემწეობას თითოეულ ოჯახზე. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ადგილობრივი სოციალური სამსახურის მიერ რეგისტრირებულნი არიან, როგორც სოციალურად დაუცველები ან ოჯახში ძირითადი შემომტანი არის ქალი, ასევე მოხუცებულები ან ოჯახები შშმ პირებით. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს 3 თვის *თვიური* 500-800 ლარის ოდენობის შემწეობას ან 1500-2400 ლარის ოდენობის საარსებო წყაროს აღდგენის კომპანსაციას. ოფიციალური მინიმალური ხელფასის არარსებობის შემთხვევაში, ეს ციფრები აღებულია როგორც მინიმალური ანაზღაურება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დასაქმებულთათვის.

7.5 დეტალური აზომვა, მოსახლეობის აღწერა და დანაკარგების ინვენტარიზაცია

კომპენსაციის ოდენობის დადგენის მიზნით, მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო გავლენის ქვეშ მოქცეული მიწების დეტალური აზომვა, ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების აღწერა და ზარალის ინვენტარიზაცია. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმაში განსაზღვრული იქნება აღნიშნული მიწების ზუსტი კოორდინატები, მესაკუთრეები / დარეგისტირების შესაძლებლობის მქონე მომხმარებლები და საპროექტო გავლენის ქვეშ მოქცეულ მიწაზე არსებული ყველა აქტივი და შეფასდება საჭირო კომპენსაციის ბიუჯეტი. ეს აქტივობა შესრულდება პროექტის აღმასრულებელ სააგენტოსთან დაზიანების შესახებ კონსულტაციებისა და შეთანხმების, მუნიციპალიტეტების გაფრთხილებისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

7.6 მოლაპარაკებების შეწყვეტის თარიღი და კომუნიკაცია მუნიციპალიტეტში

მოლაპარაკებების შეწყვეტის თარიღად დადგინდება დეტალური დიზაინის მიხედვით მოსახლეობის აღწერისა და ზარალის ინვენტარიზაციის თარიღი. ამ თარიღთან დაკავშირებით საჭიროა კომუნიკაცია მუნიფიპალიტეტებთან, რათა თავიდან იქნას აცილებული მიწის ნაკვეთების მისაკუთრებები და მშენებლობები კომპენსაციის მიღების მიზნით.

7.7 ქონების შეფასება

შეძენილი მიწისა და ქონების შეფასების პრინციპი შემუშავებული იქნება KfW-ს ბანკის მოთხოვნების მიხედვით. აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველა ტიპის ზარალის ანაზღაურება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტების მიზნებისათვის ქონების მფლობელობის შეცვლის დროისთვის არსებული ჩანაცვლების სრული ღირებულებით.

ჩანაცვლების ღირებულების გამოთვლა დაეფუძნება (i) მფლობელობის შეცვლის დროისათვის არსებულ სამართლიან საბაზრო ღირებულებას, (ii)

ტრანზაქციის/დარეგისტრირების ხარჯებს, (iii) შუალედური და აღდგენითი სამუშაოების (მიწის მომზადება და რეკონსტრუქცია) ხარჯებს და (v) სხვა მოქმედ გადახდებს.

ერთეულის ღირებულების გაანგარიშება განხორციელდება მიმდინარე საბაზრო კურსის გათვალისწინებით მიწის და დაკარგული ქონების ჩანაცვლებით ღირებულებასთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით.

მიწის და ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქონების ღირებულებას განსაზღვრავს სახელმწიფო სერტიფიცირებული შემფასებელი, რომელიც უნდა დაიქირავოს აჭარის წყლის ალიანსმა. საპროექტო გავლენებისთვის შემოთავაზებულია ფულადი ანაზღაურება. მიწის გადაცვლა / მიწით კომპენსირება არის შესაძლებელი ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში (იხ. უფლებების ჩარჩო-დოკუმენტი).). მიწის კომპენსირების მიზნით მიწის ნაკვეთის მიღება უფასო უნდა იყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის, მათ შორის ახალი მიწის რეგისტრაციის საფასურის ჩათვლით (რომელიც უნდა იყოს იმავე ზომის, ხარისხის და ღირებულების).

7.8 მიწის შეძენა და განსახლება/გარიგების გეგმა (LARP)

საპროექტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით კერძო მიწების შეძენის საჭიროების შემთხვევაში დაცული იქნება ექსპროპრიაციის დადგენილი ადგილობრივი პროცედურა, მათ შორის მოხდება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება კონკრეტული სტანდარტების არარსებობის შემთხვევაში (მაგ., არარეგისტრირებული მესაკუთრეები და ჩანაცვლების ღირებულების შეფასება). მიწის შეძენის პროცედურის საფუძვლის სახით მომზადდება მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმა. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადების წინაპირობა არის დიზაინის განხილული გადაწყვეტილება და ყველა ვარიანტის გამორიცხვა, რათა მოხდეს ექსპროპრიაციის მაქსიმალურად თავიდან არიდება მაგ. ალტერნატიული ადგილმდებარეობის არჩევა სახელმწიფო მიწაზე.

7.8.1 მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადება და განხორციელება

მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადება/განცორციელების პროცესი. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადება/განხორციელება მოხდება შემდეგი პროცესის შესაბამისად:

a. **მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადება.** აღნიშნული ფაზა განხორციელდება შესაბამისი ქვე-პროექტების დეტალური დიზაინის მომზადების პარალელურად. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმა მოამზადებს დიზაინის კონსულტანტი. დიზაინზე დაყრდნობით მომზადდება დეტალური აზომვითი კვლევა მიწის ნაკვეთის ზომის, მესაკუთრეების/მოსარგებლეების და ზემოქმედების ქვეშ მყოფი აქტივების იდენტიფიცირების მიზნით. სოციალური კვლევა არ იგეგმება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მცირე რაოდენობის გამო (შეძენილი მცირე ფართობის მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები/მოსარგებლეები), მაგრამ განხორციელდება ინდივიდუალური კონსულტაციები მესაკუთრეებთან. მიწების შეფასება მოხდება სახელმწიფო სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ, რომელსაც დაიქირავებს აჭარის წყლის ალიანსი, ხოლო საკომპენსაციო ბიუჯეტი უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მთავრობისა და მუნიციპალური სარეზერვო ფონდებიდან.

მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადების პროცესი მოიცავს შემდეგ ამოცანებსა და საკითხებს:

1. უახლესი საკადასტრო რუკების მიღებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (უფასო)
2. ინდივიდუალური პროექტის (მაგ. წყლის გამწმენდი ნაგებობები, რეზერვუარები, წყალარინების გამწმენდი ნაგებობები) გეგმის დალაგებას საკადასტრო რუკებზე და ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწის ნაკვეთების ანალიზს (რაოდენობა, ფართობი, ზემოქმედების ქვეშ მყოფი მონაკვეთების ფართობი და ა.შ.).
3. მიწის სარგებლობისა და საკუთრების მდგომარეობის ადგილზე გადამოწმებას და ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწის ნაკვეთის იდენტიფიცირებას (როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ასახული, ისე ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი).
4. ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების/ოჯახების სრული აღწერა (და სოციალურ-ეკონომიკური კვლევა)
5. მიწის ნაკვეთების დეტალური აზომვა და საზღვრების გავლება
6. დანაკარგების შეფასება: მიწა, ქონება, ხეები, ერთწლოვანი ნარგავები, ბიზნესი და ა.შ.
7. საჯარო კონსულტაციები მუნიციპალიტეტებსა და მესაკუთრეებთან
8. ზეგავლენის შესაბამისი განსახლება/გარიგების ანგარიში (შემოკლებული)

b. **მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის განხორციელება.** აღნიშნული ფაზა განხორციელდება მაშინ, როცა დამტკიცდება მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის საბოლოო ვარიანტი და შესაძლებელი იქნება პროექტის ფლობელის მიერ მიწის შეძენა. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმას განახორციელებს აჭარის წყლის ალიანსი, ხოლო შეძენილი მიწა დარეგისტრირდება მუნიციპალიტეტების წყლის კომუნალური საწარმოების სახელზე. მიწის შეძენისა და განსახლებ/გარიგების გეგმის განხორციელებას ზედამხედველობას გაუწევენ სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტები (ინჟინერი). ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კომპენსაციისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება მოხდება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.

მიწის შეძენა, აღნაგობისა და კომპანსაციის მექანიზმი და პასუხისმგებლობები

საქართველოში არსებული გამოცდილების საფუძველზე, მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის (LARP) მომზადებასა და განხორციელებას შესაძლოა დასჭირდეს რამდენიმე თვე. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადებისა და განხორციელების ძირითადი ეტაპები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 46 მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადების პროცესი

ეტაპი	ქმედება	პასუხისმგებლობა
	მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გემის მზადება	
1	პროექტისთვის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების ზემოქმედების შეფასება და მიწის შეძენისა და განსახლება/ გარიგების დებულებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, KfW-ს ბანკის მხრიდან თანხმობის მიღება	აჭარის წყლის ალიანსი, KfW, კონსულტანტები
2	დეტალური დიზაინის დასრულება	დიზაინის კონსულტანტები
3	საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო და მიწის ნაკვეთების რუკების შეგროვება	კონსულტანტები/აჭარის წყლის ალიანსი/ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
4	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიების მიწის ჩანაწერების გადამოწმება, საკადასტრო რუკების განახლება და ზემოქმედებისა და შეფასების კვლევების ჩატარება - დეტალური აზომვის კვლევა (DMS)	კონსულტანტები/აჭარის წყლის ალიანსი/ მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გუნდი საკრებულოს დონეზე
5	საჯარო კონსულტაციების განხორციელება	კონსულტანტები/აჭარის წყლის ალიანსი/ მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გუნდი საკრებულოს დონეზე(MLARO)
6	რეგისტრირებული და დარეგისტრირების შესაძლებლობის მქონე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების იდენტიფიცირება/აღწერა	კონსულტანტები/აჭარის წყლის ალიანსი/ მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გუნდი საკრებულოს დონეზე
7	მოლაპარაკებები ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებთან მიწის შეძენისს დროებითი უწესრიგობის გამოწვევის გამო,; მილსადენისთვის გზის უფლებისა და აღნაგობის კონტრაქტები	აჭარის წყლის ალიანსი/ მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გუნდი საკრებულოს დონეზე
8	მოსახლეობის აღწერის მონაცემების შეტანა მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმაში	კონსულტანტები

ეტაპი	ქმედება	პასუხისმგებლობა
9	მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის წარდგენა მუნიციპალიტეტებთან/ ადგილობრივ მთავრობებთან	კონსულტანტები/აჭარის წყლის ალიანსი
10	მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის გასაჯაროვება KfW-ს ბანკის დამოწმების შემდეგ	კონსულტანტები/ აჭარის წყლის ალიანსი/ KfW-ს ბანკი
	მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის განხორციელება	
1	მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის დამტკიცება	KfW-ს ბანკი / აჭარის წყლის ალიანსი
2	დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ (ექსპროპრიაციის ბრძანებულების საჭიროების შემთხვევაში)	ეკონომიკის სამინისტრო / გარემოსდაცვის სამინისტრო / საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
3	მიწის შეძენის / აღნაგობის ხელშეკრულების გეგმისა და კომპენსაციის სამოქმედო გეგმის დეტალური გრაფიკი	აჭარის წყლის ალიანსი
4	დარეგისტრირების შესაძლებლობის მქონე მესაკუთრეებისთვის მიწის რეგისტრაცია და ჩასანაცვლებელი მიწის რეგისტრაცია (მიწის გადაცვლის/ მიწის მიწით კომპენსაციის შემთხვევებში)	აჭარის წყლის ალიანსი/საკრებულო/საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
5	შეტყობინებების დაგზავნა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის ადგილმდებარეობის შეცვლის/მიწის დაცლის თაობაზე /მიწის შეძენის კონტრაქტების ხელმოწერა/ აღნაგობის კონტრაქტების ხელმოწერა	აჭარის წყლის ალიანსი/ საკრებულოს მიწის შეძენისა და განსახლება/ გარიგების გუნდი
6	მიწის შეძენის სანაცვლოდ საბანკო ქვითრების გადაცემა	აჭარის წყლის ალიანსი AWA
7	Award საბანკო ჩეკების გადაცემა კომპენსაციისა და დახმარების სახით/რეაბილიტაციისთვის	აჭარის წყლის ალიანსი/ საკრებულოს მიწის შეძენისა და განსახლება/ გარიგების გუნდი
8	მიწის შეძენისა და განსახლება/ გარიგების გეგმის განხორციელების გადასინჯვა შესაბამისობის ანგარიშის მეშვეობით	მშენებლობის ზედამხედველი (ინჟინერი); აჭარის წყლის ალიანსი

ეტაპი	ქმედება	პასუხისმგებლობა
9	თუ მიწის შეძენისა და განსახლება/ გარიგების გეგმის განხორციელება აღმოჩნდება დამაკმაყოფილებელი, გამოიცემა შეტყობინება სამშენებლო სამუშაოების გასაგრძელებლად	KfW -ს ბანკი/ აჭარის წყლის ალიანსი
	განხორციელების შემდგომი ამოცანები	
1	მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის დამოუკიდებელი შეფასება/მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის შესაბამისობის მიმოხილვა	KfW-ს ბანკი, მშენებლობის ზედამხედველი (ინჟინერი)
	უწყვეტი ამოცანები	
1	შიდა მონიტორინგი	აჭარის წყლის ალიანსი
2	გარე მონიტორინგი	მშენებლობის ზედამხედველი/ ინჟინერი
3	საჩივრების დაკმაყოფილება/ სამართალწარმოება	აჭარის წყლის ალიანსი/ საკრებულოს მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გუნდი / სასამართლო
4	უწყებათაშორისი კოორდინაცია და კომუნიკაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	აჭარის წყლის ალიანსი/ მუნიციპალური კომუნალური საწარმოები

7.8.2 ესქპროპრიაციის პროცედურა

ექსპროპრიაცია, როგორც სახელმწიფოს უფლება შეიძინოს ქონებაზე საკუთრების და სარგებლობის უფლება საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე შემდეგ შემთხვევებში:

- კომუნალური საწარმოების მშენებლობა (წყალმომარაგების, წყალარინების სისტემების), გარდაუვალობის შემთხვევაში.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ექსპროპრიაცია ნებადართულია მხოლოდ მფლობელის წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობის დროს, რომელიც დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით. "საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას ქონების ჩამორთმევის წესის შესახებ" ორგანული კანონი არეგულირებს ექსპროპრიაციის საკითხებს.

როგორც საჯარო და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს, ისე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შეუძლიათ განახორციელონ "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებების" პროექტი და, შესაბამისად, ექსპროპრიაცია.

კანონის მიხედვით, გადაწყვეტილება ექსპროპრიაციაზე მიიღება ორ ეტაპზე:

- პირველ ეტაპზე - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოსცემს ბრძანებას, რომელიც გასაზღვრავს ექსპროპრიაციის გარდაუვალობას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის და პირს, რომელსაც ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება.
- მეორე ეტაპზე - კანონის შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს საოლქო (საქალაქო) სასამართლო - სასამართლო განსაზღვრავს ექსპროპრიაციის უფლების მქონე პირს, დეტალურად აღწერს საექსპროპრიაციო საკუთრებას და იძლევა მფლობელისათვის შესაბამისი კომპენსაციის საჭიროების შესახებ მითითებებს.

ექსპროპრიაციის პროცედურები სრულად იქნება თავიდან აცილებული ლოტი 2-ის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციისთვის. ლოტი 1-ის სამუშაოების ფარგლებში ყველა ალტერნატივა შემოწმდება ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყებამდე, როგორც უკანასკნელი საშუალება.

7.8.3 სამართლებრივი ფორმების შეფასება და შერჩევა

თუ დაგეგმილი საპროექტო ინფრასტრუქტურა განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებულ ან კერძო სარგებლობის მიწაზე, შერჩეული უნდა იქნას მიწის შეძენის ან / და მიწათსარგებლობის ხელშეკრულების შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა. სამართლებრივი ფორმის შერჩევა უნდა მოხდეს კონკრეტული ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისად :

აჭარის წყლის ალიანსისა და KfW-ს ბანკის მიერ შეთანხმებული პროექტის კონცეფცია ითვალისწინებს, რომ პროექტის ყველა ინფრასტრუქტურა, მათ შორის ყველა ინდივიდუალური სეპტიკური ავზი, უნდა მოექცეს აჭარის წყლის ალიანსის / მუნიციპალიტეტების საკუთრებაში. აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს მიწაზე გავლენას, რომელიც მოითხოვს (სერვიტუტის ან აღნაგობის ხელშეკრულება) ქონების იურიდიული სტატუსის გასაზღვრისა და მიწის, სახლის მესაკუთრესთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო იურიდიულ პროცედურას. თუმცა, ინდივიდუალური სეპტიკური ავზებისთვის (აშენებული ეზოში / კერძო საკუთრებაში არსებული სახლების ბაღებში), რომელსაც აჭარის წყლის ალიანსის სახელით ააშენებს კონტრაქტორი, ჩვეულებრივი პროცედურა გულისხმობს ინდივიდუალური სეპტიკური ავზის საკუთრებაში გადაცემას მიწის / სახლის მფლობელისთვის მისი ექსპლუატაციის დროს ნაცვლად იმისა, რომ დარჩეს აჭარის წყლის ალიანსის / მუნიციპალიტეტისსაკუთრებაში. აღნიშნული წარმოადგენს უპირატესობას იმ მხრივ, რომ ამ ინფრასტრუქტურული ინვესტიციისთვის მიწის შეძენის / ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა არ არის საჭირო და ექსპლუატაციის მხრივ ინდივიდუალურ მესაკუთრეებს / მომხმარებლებს ექნებათ მეტი უფლება საკუთრებაზე.

კერძო მიწაზე გამავალი მილსადენების ან მისასვლელი გზებისთვის გავლის უფლება უნდა დაფიქსირდეს ხელშეკრულების გაფორმებით (აღნაგობა ან სერვიტუტის ხელშეკრულება).

უფრო დიდი ზომის მიწისზედა ინფრასტრუქტურებისთვის (როგორიცაა კომუნალური წყალარინების გამწმენდი ნაგებობები, რეზერვუარები და ა.შ.) რეკომენდებულია მიწის

შეძენა ან მიწის გადაცვლა მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის დებულებებთან შესაბამისობით.

მიწის მუდმივი და დროებითი სარგებლობის ხელშეკრულებების განსხვავებული იურიდიული ვარიანტების შედარების მიზნით გამოყენებული იქნა SWOT– ის ანალიზის ინსტრუმენტი. SWOT-ია ანალიზი წარმოდგენილია მომდევნო გვერდზე. შესაბამისად, ა) საკუთრება შეიქმნება მიწის ნაკვეთების შეძენის საშუალებით, განსაკუთრებით რეზერვუარებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების შემთხვევებში, ბ) ინდივიდუალური სეპტიკური ავზების, გადამცემი მილსადენისა და საკანალიზაციო მილების შემთხვევაში აღნაგობის სამართლებრივი ინსტრუმენტი საუკეთესოდ ერგება პროექტის მახასიათებლებს, გამომიდინარე იქიდან რომ, ის პირდაპირ უკავშირდება საპროექტო მიზნებს:

- კომუნალური მომსახურების მიმწოდებლისათვის უფრო მაღალი ხარისხის საკუთრების უფლების მიღება;
- ინვესტიციის კომუნალური მიმწოდებლის/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარჩენის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტისგან კომუნალური მომსახურების სხვა მიმწოდებელზე უფლების გადაცემის შესაძლებლობა ან პირიქით.
- აქტივების გამოყენება უზრუნველყოფის სახით შემდგომი დაფინანსების მოპოვების მიზნით

აღნაგობის ხელშეკრულების ნიმუში მზადების პროცესშია და მოიცავს შემდეგ პირობებს:.

- უფლების ვადა _ 99 წელი.
- გადახდა - მიწის მფლობელისთვის გადასახადის გარეშე (არც პერიოდული, არც ერთჯერადი აღნაგობის საფასური). თავის მხრივ, მეპატრონეს შეუძლია გამოიყენოს მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენებულია / დამონტაჟებულია (სეპტიკური ავზი).
- მიწის გამიზნული გამოყენება - სეპტიკური ავზის და საჭირო აღჭურვილობის დამონტაჟება
- ყველა დამონტაჟებული/აშენებული ქონება ფიქსირდება უფლებამოსილებად და ეკუთვნის მუნიციპალიტეტს
- მუნიციპალიტეტი ახორციელებს ქონების მოვლა-პატრონობას და შეკეთებას. მიწის მესაკუთრემ უნდა დართოს ამის ნება.
- ვადაზე ადრე შეწყვეტა - იმ შემთხვევაში თუ სეპტიკური ავზი დაზიანების გამო არ ფუნქციონირებს და მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს სარემონტო სამუშაოებს.
- მუნიციპალიტეტს ქონების მესაკუთრესთან ერთად შეუძლია გადასცეს სხვა პირს ან სხვაგვარად განკარგოს აქტივებზე საკუთრების უფლება
- აღნაგობის ხელშეკრულებას დაქვემდებარებული ქონება მუნიციპალიტეტს შეუძლია გასცეს იჯარით ან გადასცეს სამართავად
- ვადის გასვლის შემდეგ (99 წელი) მიწის მეპატრონეს არ მოეთხოვება ქონების სამართლიანი ფასის ანაზღაურება მუნიციპალიტეტს (მესაკუთრეზე არ იქნება დაკისრებული რაიმე სახის ანაზღაურება მუნიციპალიტეტისთვის).
- დაუშვებელია ვადაზე ადრე შეწყვეტა; იმ შემთხვევაში თუ, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას შეწყვეტის შესახებ, მიწის მეპატრონე მუნიციპალიტეტს უნდა გადაუხადოს აღნაგობის უფლების საფუძველზე დამონტაჟებული / აშენებული ქონების სამართლიანო ღირებულებასო.
- ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული კანონში გამოყენებული რაიმე სახის სატარიფო რეგულაცია კანალიზაციის წყლის სეპტიურ ავზში ჩაშვების შესახებ.

შესყიდვაც და აღნაგობაც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. მუდმივი ინფრასტრუქტურის შემთხვევაში, როგორიცაა რეზერვუარები და წყალარინების გამწმენდი ნაგებობები, რეკომენდებულ ალტერნატივას წარმოადგენს შესყიდვა. მიწის გაცვლა ასევე შეიძლება იყოს ვარიანტი იმ შემთხვევაში, თუ არ ზარალდება საცხოვრებელი მიწა. მილგაყვანილობისა და ინდივიდუალური სეპტიკური ავზების შემთხვევაში კონსულტანტის რეკომენდაციაა გამოყენებული იქნას აღნაგობის ხელშეკრულება, თუმცა აჭარის წყლის ალიანსს/ მუნიციპალიტეტს შეუძლია გამოიყენოს სხვა სამართლებრივი ფორმა საკუთარი გადწყვეტილებით (მაგ. უზურფრუქტი, სერვიტუტი) საერთაშორისო გარანტიებთან თანხვედრის შემთხვევაში (ზემოქმედების ქვეშ მყოფი აქტივების ჩანაცვლების სრული ღირებულების ტოლფასი კომპანსაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებთან მოლაპარაკებით). სერვიტუტი შეფასებულია, როგორც მეორე საუკეთესო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით ასევე შესაძლებელია გადამცემი ხაზების მშენებლობის რეგულირებაც და აკრძალვაც.

ცხრილი 47 იურიდიული ფორმების შეფასება და შერჩევა

ინფრასტრუქტურის კომპონენტები	სამართლებრივი ფორმა (რანჟირებული)	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ღირებულება/ დრო	პოლიტიკური მიმღებლობა
წყალმიმღები ობიექტები; ჭაბურღილები; წყლის შემაღლებული ავზი; წყალარინების გამწმენდი ნაგებობა; ფეკალური შლამის გამწმენდი ნაგებობა (FSTP); (კომუნალური სეპტიკური ავზი)	შესყიდვა	შესყიდვა არის უმარტივესი ფორმა. ის გამოყენებული იქნება კონკრეტულ სიტუაციაში. გვექნება საკუთრებაზე სრული უფლება.	მოსახლეობის მხრიდან: მაქსიმალური თანხების მოთხოვნის მცდელობა. ფასები მკაცრად უნდა დადგინდეს. შემარბილებელი ღონისძიება: სამართლიანი შეფასების მოპოვება და ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან წინასწარ დაკავშირება ერთეულის ფასის თაობაზე.	დაურეგისტრირებული მიწის შემთხვევაში კვლევის ხარჯი და რეგისტრაციის საფასური. რეგისტრაციის პროცესი შესაძლებელია იყოს ხანგრძლივი საზღვრებთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციის არარსებობის გამო.	შესყიდვების დროს არ უნდა იყოს რაიმე პილიტიკური წინააღმდეგობის მოლოდინი. უფრო სავარაუდოა გართულებები საზოგადოების მხრიდან, განსაკუთრებით,თუ მიწის ფასები კატეგორიულად არ იქნება განსაზღვრული, მოსახლეობამ შესაძლებელია დაიწყოს ვაჭრობა. შემარბილებელი ღონისძიება: ხაზგასმა იმაზე, რომ ეს სამთავრობო

ინფრასტრუქტურის კომპონენტები	სამართლებრივი ფორმა (რანჟირებული)	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ღირებულება/ დრო	პოლიტიკური მიმღებლობა
					პროექტია და არა კერძო. პოტენციური ექსპროპრიაციის პროცედურა.
	გაცვლა (მიწების გაცვლა)	სრული უფლება გაცვლის შედეგად მიღებულ მიწაზე.	გაცვლის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს უნდა გააჩნდეს თავისუფალი მიწა, რომელიც მისაღები იქნება მეორე მხარისათვის. ეს საკითხი დასაზუსტებელია მუნიციპალიტეტთან. მიწის მესაკუთრემ შესაძლებელია დაიწყოს თავისი პირობების შემოთავაზება ან მოითხოვოს კონკრეტული მიწა. შემარბილებელი ღონისძიება: მუნიციპალიტეტმა უნდა მოახდინოს 3-4 მიწის	დაურეგისტრირებული მიწის შემთხვევაში კვლევის ხარჯი და რეგისტრაციის საფასური. რეგისტრაციის პროცესი შესაძლებელია იყოს ხანგრძლივი საზღვრებთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციის არარსებობის გამო.	ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პოლიტიკური პოზიცია. გადაწყვეტილებას მიიღებს მუნიციპალიტეტი და ზოგადად ხელისუფლება. შემარბილებელი ღონისძიება: მუნიციპალიტეტის/ ხელისუფლების მხარდაჭერა განსაზღვრონ გასაცვლელი მიწის ნაკვეთები.

ინფრასტრუქტურის კომპონენტები	სამართლებრივი ფორმა (რანჟირებული)	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ღირებულება/ დრო	პოლიტიკური მიმღებლობა
			ნაკვეთის იდენტიფიცირება, შესაბამისად მესაკუთრეს ექნება საშუალება აირჩიოს მისთვის მისაღები ნაკვეთი.		
	ნებაყოფლობითი გადაცემა/ ჩუქება	მიწაზე საკუთრება დარეგისტრირდება ისევე, როგორც შესყიდვის დროს, მაგრამ გადასახადის გარეშე.	საჭირო იქნება დახმარება მუნიციპალიტეტის მხრიდან. შემარბილებელი ღონისძიება: თანამშრობლობა მუნიციპალიტეტთან. არსებობს რისკი, რომ მესაკუთრემ შეიცვალოს აზრი და მოითხოვოს გადაცემული მიწის დაბრუნება მოტყუების, ზეწოლის ან სხვა მიზეზის მოყვანით.	დაურეგისტრირებული მიწის შემთხვევაში კვლევის ხარჯი და რეგისტრაციის საფასური. რეგისტრაციის პროცესი შესაძლებელია იყოს ხანგრძლივი საზღვრებთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციის არარსებობის გამო.	საჭირო იქნება დახმარება მუნიციპალიტეტის მხრიდან. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე ზეწოლა მიწის შემოწირულობის სახით გადაცემის მიზნით (არა იძულების პრინციპი)
	უზურფრუქტი	უზურფრუქტის უფლება იჯარის	მხოლოდ ინდივიდუალური	რეგისტრაციის პროცესი	საჭირო იქნება დახმარება

ინფრასტრუქტურის კომპონენტები	სამართლებრივი ფორმა (რანჟირებული)	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ღირებულება/ დრო	პოლიტიკური მიმღებლობა
წყალმომარაგების მაგისტრალები; მთავარი საკანალიზაციო მილები; ინდივიდუალური სეპტიკური ავზი; ინფილტრაციის ზონები; (კომუნალური სეპტიკური ავზები)		უფლების ანალოგიურია. უზურფრუქტი შეიძლება იყოს სასყდლიანი ან უსასყიდლო. მესაკუთრე არ კარგავს უფლებას მიწაზე.	სეპტიკური ავზებისთვის. არა საერთო სეპტიკური ავზებისთვის (მაქს. 36 m^2) ბენეფიციარს(უზურფრუქტული0 არ აქვს უფლება მესაკუთრის თანხმობის გარეშე გასცეს, დააგირაოს ან იჯარი გასცეს საგანი.. უფლება ეძლევა განსაზღვრული ვადით ან ბენეფიციარის სიცოცხლის ვადით. სიცოცხლის ვადით დადებული უზურფრუქტის ხელშეკრულების შემთხვევაში შეიძლება რთული გახდეს უზურფრუქტის საფასურის დადგენა. ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც აღიმართება მიწაზე ან მის ქვეშ, რჩება მიწის მეპატრონის საკუთრებაში.	შესაძლებელია იყოს ხანგრძლივი საზღვრების შესახებ ზუსტი ინფორმაციის არარსებობის გამო.	მუნიციპალიტეტის მხრიდან. ხელშეკრულების ეს ფორმა არ არის გავრცელებული კერძო ურთიერთობებში. ყველა სოფლის მაცხოვრებელმა შეიძლება ვერ გაიგოს მისი შინაარსი და საჭირო გახდეს გარკვეული ძალისხმევების გატარება განმარტებების გაკეთების მიზნით.

ინფრასტრუქტურის კომპონენტები	სამართლებრივი ფორმა (რანჟირებული)	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ღირებულება/ დრო	პოლიტიკური მიმღებლობა
			არ არსებობს შერბილების ღონისძიება.		
	აღნაგობა	მესაკუთრე ინარჩუნებს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას. აჭარის წყლის ალიანსი / მუნიციპალური საწარმო იღებს მიწის ნაკვეთზე ან მის ქვეშ აღმართული ნებისმიერ ნაგებობაზე საკუთრების უფლებას. სხვა შეზღუდული გამოყენების უფლებებს შორის აღნიშნული უფლებას ყველაზე მაღალი კატეგორია აქვს მინიჭებული.	აღნაგობას აქვს შეზღუდული ვადა - 99 წელი. აღნაგობა შეიძლება იყოს უსასყიდლო ან საფასურზე დაფუძნებული. საფასურის განსაზღვრა შესაძლებელია 10 წლამდე ვადით. ვადის ამოწურვის შემდეგ მიწის მესაკუთრემ უნდა აანაზღაუროს აღებული უძრავი ნივთის სამართლიანი ფასის მინიმუმ 2/3.	რეგისტრაციის პროცესი შესაძლებელია იყოს ხანგრძლივი საზღვრების შესახებ ზუსტი ინფორმაციის არარსებობის გამო.	საჭირო იქნება დახმარება მუნიციპალიტეტის მხრიდან. საჭიროა სახელშეკრულებო პუნქტი, რომელიც მესაკუთრეს თავიდან აარიდებს ხელშეკრულების დასრულების შემდეგ ნაგებობის საფასურის გადახდის ვალდებულებას. ხელშეკრულება ასევე დააკონკრეტებს, რომ მიწის მესაკუთრეს არ აქვს გადახდის ვალდებულება (არ მოხდება საფასურის გადახდა).

ინფრასტრუქტურის კომპონენტები	სამართლებრივი ფორმა (რანჟირებული)	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ღირებულება/ დრო	პოლიტიკური მიმღებლობა
		აღნაგობის უფლება და საკუთრების უფლება შეიძლება გასხვისდეს ან გაიცეს იჯარით. კონქტრაქტში შეიძლება დაკონკრეტებული იყოს, რომ მიწის მესაკუთრე არ გადაიხდის საფასურს (არა გადასახადი, არანარი გადასახადი ვადის გასვლის შემდეგ).			
	სერვიტუტი	მესაკუთრე ინარჩუნებს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც გამოიყენება სხვა მიწის ნაკვეთის ან	საფასური შეიძლება იყოს წინასწარი ან პერიოდული. სერვიტუტის უფლება არ შეიძლება გადაცემულ იქნეს მესამე მხარისთვის.	რეგისტრაციის პროცესი შესაძლებელია იყოს ხანგრძლივი საზღვრების შესახებ ზუსტი ინფორმაციის არარსებობის გამო.	საჭირო იქნება დახმარება მუნიციპალიტეტის მხრიდან.

ინფრასტრუქტურის კომპონენტები	სამართლებრივი ფორმა (რანჟირებული)	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ღირებულება/ დრო	პოლიტიკური მიმღებლობა
		უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ, რათა მესაკუთრემ შეძლოს მიწის ნაკვეთის გამოყენება კონკრეტულ შემთხვევებში. სერვიტუტი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მესაკუთრესმიიღოს საკუთრებაში არსებული მიწისგან სარგებლის მირების საშუალებას აძლევს.	მესაკუთრემ შეიძლემა მოითხოვოს არამიზანშეწონილად მაღალი საფასური.		შეიძლება არ იყოს მხარდაჭერილი მუნიციპალიტეტის მიერ. შეიძლება არ იყოს სამართლებრივად შესაძლებელი.

7.9 მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის გრაფიკი

მიწის შეძენის და განსახლება/გარიგების გეგმის განხორციელებისთვის საჭირო დრო სავარაუდოდ 2-3 თვეა. მუნიციპალიტეტების ეკონომიკის დეპარტამენტებს (ქონების მართვის სამსახურს) აქვთ გამოცდილება მიწის პროცედურებთან დაკავშირებით, თუმცა საერთაშორისო სტანდატრების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით პროცესი აშკარად უფრო გახანგრძლივდება პირველი შემთხვევებისთვის. ვადები ასევე დამოკიდებულია არაოფიციალური მომხმარებლების რაოდენობასა და მათ ხელმისაწვდომობაზე.

7.10 მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის (LARP) განხორციელების ღონისძიებები

მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების განხორციელების გეგმა, რომელიც აღწერილია მიწის შეძენის და განსახლება/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტში მოიცავს სხვადასხვა მონაწილე მხარეს. აღნიშნული მონაწილეებია: აჭარის წყლის ალიანსი, როგორც პროექტის აღმასრულებელი სააგენტო (პასი) და მუნიციპალური მმართველობები; ასევე საქართველოს მთავრობა (GoG), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR), KfW ბანკი და კონსულტანტები.

მუნიციპალური მიწის სამსახური, როგორც პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეული და მუნიციპალური მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახურის გუნდის ფორმირება გაფართოებას და გაძლიერებას საჭიროებს მუნიციპალიტეტების დონეზე იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტებმა შეძლონ პროექტის საჭირობებების დაკმაყოფილება.

ავა- აჭარის წყლის ალიანსი (AWA)

მთლიანად პროექტის განხორციელება აჭარის წყლის ალიანსის (AWA) პასუხისმგებლობაა. ავას პასუხიმგებლობაში შედის შესაძლებლობების ზრდა მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის (LARP) მონაწილე მხარეებისთვის, მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმისთვის და უწყებათაშორისი კოორდინაციის მიზნით ამოცანების მომზადება, დაფინანსება და ზედამხედველობა. ავა განახორციელებს თავის ფუნქციებს და პასუხისმგებელი იქნება დაგეგმვისა და ზედამხედველობის საერთო მართვაზე ყველა გარანტიის უზრუნველყოფისთვის.

აჭარის წყლის ალიანსი პასუხისმგებელი იქნება მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის ყველა ამოცანაზე, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე. სხვა ამოცანებთან ერთად ალიანსი პასუხისმგებელი იქნება (i) ოფიციალური შემფასებლის დაქირავებაზე აქტივების შეფფასებისთვის; (ii) მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის (LARP) საჭირო შესაძლებლობების დადგენაზე შესაბამის მუნიციპალიტეტში და მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების (LARP) განმახორციელებელი პერსონალის ზედამხედველობაზე (iii) სათანადო შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფაზე, მათ შორის მიწების რეგისტრაციის მონიტორინგი (ლეგალიზებადი პირებისთვის) მიწების შეძენის მომზადებისა და ახალი მესაკუთრეებისთვის მიწების შეცვლის შემთხვევაში; და (iv) მშენებლობის ზედამხედველი კონტრაქტორის (ინჟინერი) ჩართვაზე მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების (LARP) ამოცანების შესრულებაზე გარე ზედამხედველობის მიზნით. აჭარის წყლის ალიანსი (AWA) ასევე უზრუნველყოფს ყველა

საჭირო დოკუმენტაციის მოწოდებას, საქართველოს მთავრობის მიერ მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის ბიუჯეტების დროული გამოყოფისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის შემდგომი გადახდების უზრუნველსაყოფად, შეინარჩუნებს აქტივობების კოორდინირებულად განხორციელებას მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმასთან დაკავშირებულ ყველა აქტივობის ფარგლებში, მათ შორის მიწის შეძენასა და განსახლება/ გარიგებასთან დაკავშირებული საჩივრების მექანიზმის ამოქმედებასა და მოგვარებაში.

ადგილობრივი ხელისუფლებები

მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების განხორცილებისა და ზოგადად მუნიციპალიტეტის დონეზე პროექტის ყოველდღიური აქტოვებების საქმეში აჭარის წყლის ალიანსი დაეყრდნობა მუნიციპალიტეტების მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახურს. ეს იქნება სამსახური, რომელიც იფუნქციონირებს პროექტის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების აქტივობების განხორციელების მთელი დროის განმავლობაში. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახური დაკომპლექტდება ერთი ან მეტი მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების მიმართულებით გამოცდილების მქონე ოფიცრით/ოფიცრებით. ყველა ჩართულ მუნიციპალურ სამსახურს შორის სათანადო კოორდინაციის უზრუნველყოფის გარდა, მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახური ინტენსიურად დაეხმარება აჭარის წყლის ალიანსს აღნიშნული პროცესის ზემოქმედებისკვლევების განხორციელებაში, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აღწერის, საზოგადოებრივი კონსულტაციებისა და შეთანხმებისთვის მოლაპარაკებების წარმოებაში. მუნიციპალიტეტის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახური (MLARO) არის სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების განხორცილებასა და მასთან დაკავშირებულ ყველა რუტინულ აქტოვობაზე. აჭარის წყლის ალიანსი უზრუნველყოფს, რომ მუნიციპალიტეტის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახურისთვის უზრუნველყოფილი იყოს ყველა სახის საჭირო გადამზადება იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თავისი ფუნქციების სათანადოდ შესრულება.

სხვა სააგენტოები და დაწესებულებები

რიგი სხვა დაწესებულებები შეასრულებენ ასევე თავიან როლს მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმების (LARP) მომზადებასა ან / და განხორციელებაში. ამათგან გამოვყოფთ:

1. **საქართველოს მთავრობა _ ფინანსთა სამინისტრო.** მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგები გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსებს ფინანსთა სამინისტრო გამოყოფს ენერგეტიკის სამინისტროსათვის ან პირდაპირ აჭარის წყლის ალიანსისათვის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმებისა და შესაბამისი ბიუჯეტების წარმოდგენისთანავე.
2. **სასამართლოები.** ექსპროპრიაციის საკითხებში ავა დაეყრდნობა კომპეტენტურ სასამართლოს, რომელიც შესაბამის სასამართლო პროცესზე დაყრდნობით განიხილავს ექსპროპრიაციის საქმეებს, განახორციელებს მოსმენას და გადაწყვეტს მოხდეს თუ არა მიწის ექსპროპრიაცია და რა ფასად. ექსპროპრიაციის პროცესის დაჩქარების მიზნით, ავას შეუძლია სასამართლოსთან მოლაპარაკება დაჩაქარებული პროცესის თაობაზე.
3. **KfW ბანკი.** გარდა, პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა KFW ბანკი განიხილავს მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგები გეგმებს და უზრუნველყოფს

კონტრაქტის მინიჭების მკაფიოობას და მიწის შეძენასა და განსახლებას დაქვემდებარებული ყველა პროექტისთვის სამოქალაქო სამუშაოების დაწყებას.

7.11 მუნიციპალიტეტის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახურის (MLARO) სწავლება

მუნიციპალიტეტის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების სამსახური (MLARO), როგორც ასეთი, ჯერ არ არსებობს. „განმახორციელებელი ჯგუფის“ ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობების ჩამოყალიბება სწავლების საჭიროების განსაზღვრისა და უშუალოდ სწავლების შესახებ დაიწყო 2020 წლის მაისში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კერძო მიწის შეძენის გზამკვლევი, რომელიც მომზადებულია სასწავლო სესიებისთვის.

ცხრილი 48 კერძო მიწის პროცედურებისა და შესაბამისი აქტივობების შინაარსი, საფუძველი და აღწერა

საკითხი	აღწერა
ფონური ინფორმაცია	საჭიროა წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მიწის ნაკვეთების შეძენა/ხელშეკრულებით მიღება აჭარის წყლის ალიანსის/მუნიციპალიტეტის მიერ ეს მოიცავს შემდეგ ობიექტებს: • წყალმიმღები ობიექტები, წყლის ავზები, წყლის გადამცემი მაგისტრალები, კომუნალური სეპტიკური ავზები/ინფილტრაციის ზონები და მათთან დაკავშირებული კომუნალური საკანალიზაციო მილები, • ინდივიდუალური სეპტიკური ავზები / ინფილტრაციის ზონა ჩამონათვალში არ შედის: • სახლის დაერთების წყლის მილები, სახლის წყალარინების მილები, სათვალთვალო ჭები
პრინციპები (KfW ბანკის მოთხოვნები)	აქტივების დანაკარგის დროული კომპენსაციის უზრუნველყოფა ჩანაცვლების ღირებულებით. მოხდეს არარეგისტრირებული მომხმარებლების (ისზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომელთაც არ აქვთ თავიანთი მიწის საკუთრების ოფიციალური აღიარება) სათანადოდ გათვალისწინება მოლაპარაკებების წარმოება უნდა მოხდეს სამართლიანი, გამჭვირვალე და კანონიერი გზით.
პროექტის მახასიათებლები:	ნებისმიერი მიწის შესყიდვა ან მიწის გაცვლა უნდა განხორციელდეს საბაზრო ღირებულების ჩანაცვლებითი ფასის დამოუკიდებელი შეფასებით. პროექტის ფარგლებში ეკონომიკური ზარალი არ არის მოსალოდნელი. საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკური

საკითხი	აღწერა
KfW ბანკის პრინციპების	ზარალის ანაზღაურება დაეფუძნება ჩანაცვლების სრულ ღირებულებას: • ერთწლოვანი ნარგავები (მიუხედავად იმისა რეგისტრირებულ მიწაზეა თუ არა), რომელთა მოსავლის აღებაც ვერ მოხერხდება, შეფასდება სრული საბაზრო ღირებულებით. • არამოსავლიანი ხეები (ახალგაზრდა ხეები) ანაზღაურდება ნერგებისა და დარგვის ღირებულების ხარჯების შესაბამისად. • მოსავლიანი ხეების კომპენსაცია გამოითვლება ხის ასაკისა და ხის მოსავლიანობის პერიოდის ბოლომდე მისაღები დაკარგული შემოსავლის მიხედვით. პროექტის ფარგლებში რაიმე სახის შენობის შეძენის საჭიროება არ არის მოსალოდნელი. • შენობების შეძენის საჭიროების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა შენობა- რეგისტრირებულია თუ არა - შეფასება რეალური ჩანაცვლების ღირებულების საფუძველზე მოხდება. თავიდან იქნება არიდებული ექსპროპრიაციის პროცედურები. სრულიად იქნება თავიდან არიდებული ფიზიკური გადაადგილება. მშენებლობის დროს კონტრაქტორის მიერ მიყენებული ზიანის სრული აღდგენის პოლიტიკა
მიზანი	საერთო სამართლიანი შეთანხმების მიღწევა მიწის მფლობელებსა და მიწათმოსარგებლეებთან მიწის კონტრაქტების გაფორმება გონივრულ ვადაში
ვადები	მიწის პროცედურების დასრულებისთვის საწყისი ვადა: 2-3 თვე
საწყისი ბიუჯეტის დათვლა და დაფინანსების წყაროების გასაზღვრა	საწყისი ბიუჯეტი შეფასდება მუნიციპალიტეტების მიერ. მოხდება დაფინასების წყაროების დადგენა (აჭარის მთავრობის ბიუჯეტი, მუნიციპალური სარეზერვო ფონდები და ა.შ.).
ხელშეკულების სასურველი ტიპის შერჩევა	კონსულტანტის მიერ შემოთავაზებულია აჭარის წყლის ალიანსის/ მუნიციპალიტეტის მიერ გამოსაყენებელი ხელშეკრულების შემდეგი სახეები: შეძენა და მიწის გაცვლა (ყოველთვის მოიცავს შეფასებას): • წყალმიმღები ობიექტები და ჭაბურღილები • წყლის ავზები

საკითხი	აღწერა
	• წყალარინების გამწმენდი ნაგებობები და ფეკალური შლამის გამწმენდი ობიექტები აღნაგობის კონტრაქტი: • წყლის გადამცემი მაგისტრალები • კომუნალური წყალარინება • ინდივიდუალური და კომუნალური სეპტიკური ავზები და ინფილტრაციის ზონები(ვინაიდან, KFW ბანკის / ავას ხელშეკრულებიდან გამომდინარე ისინი უნდა იყვნენ ავას / მუნიციპალიტეტების საკუთრებაში). „აღნაგობის საფასური“ არ არის გათვალისწინებული. არ აშენდება მისასვლელი გზები (ლოტი 2). მიწის გაცვლა: მიწა, იგივე ზომის, ხარისხისა და ფასის, რომელსაც ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მიიღებს თავისი მიწის სანაცვლოდ, უნდა მოხდეს სრულიად უსასყიდლოდ ახალი მიწის რეგისტრაციის საფასურის ჩათვლით. აჭარის წყლის ალიანსს/ მუნიციპალიტეტს შეუძლიათ ასევე გამოიყენონ ხელშეკრულების სხვა ტიპები, როგორიცაა უზურფრუქტი და სერვიტუტი.
მიწის შეძენის პროცესის განმახორციელებელი გუნდი (MLARO)	განმახორციელებელი გუნდები უნდა შედგებოდეს აჭარის წყლის ალიანსის, მუნიციპალიტეტებისა და სოფლების წარმომადგენლებისგან. გუნდის შესაძლო შემადგენლობაში შედის: • მერის მოადგილე • სოფლის რწმუნებული (მერის წარმომადგენელი სოფელში) • ეკონომიკის დეპარტამენტის სპეციალისტი (აქტივების მართვის სამსახური) • საკრებულოს წევრი • აჭარის წყლის ალიანსის წარმომადგენელი
მიწის საკუთრების მდგომარეობის, აღწერის და დანაკარგების ინვენტარიზაციის ადგილზე გადამოწმება	მიწის საკუთრების ანგარიში უნდა გადამოწმდეს, დაზუსტდეს და სისრულეში იქნეს მოყვანილი საველე ვიზიტების საშუალებით: • საკუთრების დადასტურება • მიწის ნაკვეთების ფართობის დადასტურება (დეტალური აზომვა) → აღწერა • იმ ნარგავების, ხეების, არსებული ნაგებობების აღწერა, რომელთა მოშორებაც გახდება საჭირო → დანაკარგების ინვენტარიზაცია

საკითხი	აღწერა
მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უფლების ბოლო თარიღის განსაზღვრა	მიწის საკუთრების სრულად დამოწმების შემდეგ (აღწერისა და ზარალის ინვენტარიზაციის დასრულება) უნდა დადგინდეს მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უფლების შეწყვეტის თარიღი: • აღნიშნული თარიღის შემდეგ არ უნდა მოხდეს ახალი შენობების აღმართვა მიწის ნაკვეთზე • არ უნდა მოხდეს მიწის ტრანზაქციები ნებისმიერი ახალი ცვლილება/ნაგებობა, რომელიც შეიქმნება განსაზღვრული თარიღის შემდეგ, არ დაექვემდებარება კომპენსაციას. აღნიშნული თარიღის გასაჯაროვება მოხდება მუნიციპალიტეტების მიერ.
შეფასება	დამოუკიდებელი შეფასება ქვემოთ ჩამოთვლილისთვის: • მიწაზე (საბაზრო ფასი) • ეკონომიკური დანაკარგები (ჩანაცვლების ღირებულება) შეფასების შედეგებზე დაყრდნობით → ბიუჯეტის გამოანგარიშება.

მოლაპარაკება /შეთანხმება მიწის მფლობელებთან და მომხმარებლებთან	თითოეული სოფელში 1-2 ადამიანი უნდა დაინიშნოს მიწის საკითხზე მოლაპარაკებების უშუალოდ წარმოებისა და შეტანხმების მისაღწევად (მაგ. სოფლის რწმუნებული)
	• ვიზიტი ოჯახებში
	• მიწის საკუთრების ანგარიშსა და დანაკარგების ინვენტარიზაციაზე დაყრდნობით კომპენსაციის შეთავაზება
	  o კომპანსაცია მიწის ნაკვეთისათვის: ჩანათვლების ღირებულებით (საბაზრო ფასი)
	  o დანაკარგების კომპანსაცია: ჩანაცვლების ღირებულებით
	• ხელშეკრულების გაფორმება ერთობლივი ხელმოწერით
	• შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში პრეტენზიების დაფიქსირება.
	ოჯახების სოციალური-ეკონომიკური სტატუსის გათვალისწინება:
	• მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის ოჯახებისთვის: სადაც ქალია ოჯახში თანხის შემომტანი, ღარიბი ოჯახებისთვის, ან ოჯახებისთვის რამდენიმე ხანდაზმული ან შეზღუდულუნდარიანი ოჯახის წევრით, უზრუნველყოფილი უნდა იყოსდამატებითი დახმარება და კომპენსაცია, რათა არ მოხდეს მათზე განსაკუთრებულად ზემოქმედება.

საკითხი	აღწერა
ხელახალი პროექტირება, ახალი მდებარეობა	შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, კონსულტანტი იპოვის ახალ ტექნიკური გადაწყვეტას, ისე რომ თავიდან იქნეს აცილებული პრობლემური მიწის ნაკვეთი
ადმინისტირება	ხელშეკრულების გაფორმება და ანგარიშსწორება ნაღდით საკადასტრო რეგისტრაცია
ინფორმაცია, ინფორმირებულობა და კომუნიკაცია	კონსულტანტის სოციალური გუნდი უზრუნველყოფს მხარდაჭერას შემდეგში: • განმახორციელებელი გუნდის სწავლება • განმახორციელებელი გუნდის აქტივობების მონიტორინგი და მხარდაჭერა • სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მიწის პროცედურებთან დაკავშირებით (საინფორმაციო კამპანია) • დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, გასახაროვების პროცედურები • საჩივრების მოგვარება /სასამართლო სარჩელები

გამოსახულება 20 მიწის შესყიდვის საფეხურეობრივი კონცეფცია



7.12 საჯარო კონსულტაციები, გასაჯაროვება, საჩივრები და საჩივრების მართვის მექანიზმი

შესაბამისი ცენტრის, რაიონის/საკრებულოს, მუნიციპალიტეტების და სოფლების / საკრებულოს დაინტერესებული ოფიციალური პირები ინფორმირებული იქნებიან

პროექტის მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გავლენის შესახებ. შესაბამისად მათი მხარდაჭერა აუცილებელია დეტალური კვლევის ჩატარების, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აღწერის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი აქტივების ინვენტარიზაციისა და შეფასებს საკითხებში. ასევე, მიწის შესყიდვისა და განსახლება/გარიგების გეგმის (LARP) დასრულებამდე და შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის წარდგენამდე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია აღწერის, დეტალური კვლევის შედეგების და კომპენსაციებზე არსებული მათთვის სასურველი არჩევანის შესახებ (ნაღდი ფული ან მიწა-მიწის სანაცვლოდ). პროცესები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას პროცესში, დეტალურად იქნება აღწერილი მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმებში (LARP), სადაც შევა ისეთი პუნქტები, როგორიცაა დანართი საკონსულტაციო შეხვედრების თარიღებითა და ოქმებით.

მოცემული მიწისშეძენისა და განსახლება/გარიგების ჩარჩო-დოკუმენტი (LARF) (ნათარგმნი ქართულ ენაზე) გამოქვეყნდება ავას ვებგვერდზე და განთავსდება მუნიციპალურ ოფისებში მშენებლობის ხელშეკრულებების გაფორმებამდე. აჭარის წყლის ალიანსის მიერ ქვეპროექტისთვის განსახლება/გარიგების სამოქმედო გეგმის მომზადდებისა და KfW ბანკის მიერ მისი აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, ის განცხადების სახით გამოქვეყნდება შესაბამის მუნიციპალურ ოფისში.

კომპენსაციის / რეაბილიტაციის პროცესის დაწყებამდე და ხელშეკრულების დადებამდე ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს გადაეცემა პამფლეტი ქართულ ენაზე, რომელიც შეაჯამებს კომპენსაციის მიღების პირობებსა და უფლებამოსილების დებულებებს. საკონსულტაციო პროცესი გაგრძელდება პროექტის ციკლის განმავლობაში. (იხ. მე-8 თავში, დაინტერესებულ მხარეთა გეგმა (SEP)).

მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის (LARP) განხორციელების პროცესში შესაძლო დავებისა და კონფლიქტების შემცირების მიზნით მუნიციპალიტეტის დონეზე იმოქმედებენ არსებული საჩივრების მართვის მექანიზმით; აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას გაუწევს, შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც საბოლოოდ უნდა დასრულდეს საჩივრების მოგვარებით კმაყოფილების დოკუმენტის (GRM) მომზადებით, მოამზადებს აჭარის წყლის ალიანსი (იხ. საჩივრების მართვის მექანიზმი (GRM) **Error! Reference source not found.**-ე თავში).

7.13 მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის LARP განხორციელების მონიტორინგი

7.13.1 შიდა მონიტორინგი

მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების პროცესის შიდა მონიტორინგს უზრუნველყოფს აჭარის წყლის ალიანსი.

7.13.2 გარე მონიტორინგი

გარე (დამოუკიდებელი) მონიტორინგის შესრულება დაეკისრება სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის კონსულტანტის (ინჟინერი) სოციალურ ექსპერტს/განსახლება/გარიგების სპეციალისტს. კონსულტანტი შეამოწმებს, შეესაბამება თუ არა მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის განხორციელება KfW ბანკის მოთხოვნებს და შიდა მონიტორინგის დოკუმენტებს და გაესაუბრება ყველა ზემოქმედების

ქვეშ მყოფ ოჯახს. აღნიშნული ზომების სისრულეში მოყვანის შემდგომ, კონსულტანტი მოამზადებს მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის განხორციელების შესაბამისობის ანგარიშს, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. საკომპენსაციო თანხების მიმოხილვასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით მათთვის ზარალის ანაზღაურების, მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფის შეფასება
2. ყველა, მიწის შეძენასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვა და ანალიზი და მათი გადაჭრა;
3. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კმაყოფილების შეფასება.

7.14 განსახლება/გარიგების ბიჯეტი და დაფინანსების საკითხი

მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმის მომზადებისა და განხორციელების ყველა ხარჯი, მათ შორის კომპენსაციისა და მიწის შეძენისა და განსახლების პროცესის წარმოების ხარჯი, განიხილება, როგორც პროექტის ღირებულების განუყოფელი ნაწილი და ის თანადაფინანსების სახით მიიღება აჭარის ფინანსთა სამინისტროსგან აჭარის წყლის ალიანსის (AWA) მეშვეობით. მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების თითოეული გეგმა მოიცავს საბიუჯეტო ნაწილს, რომელშიც მითითებული იქნება (i) ერთეულის კომპენსაციის განაკვეთები ყველა დაზიანებული ნივთისთვის და ანაზღაურებები, (ii) მეთოდოლოგია, რომელითაც განისაზღვრება ერთეულის კომპენსაციის განაკვეთები და (iii) დანახარჯების ცხრილი ყველა კომპენსაციის ხარჯის, ადმინისტრაციული ხარჯების და საგანგებო სიტუაციების ჩათვლით. როგორც პროექტის მფლობელი, აჭარის წყლის ალიანსი პასუხისმგებელია მიწის შეძენისა და განსახლება/გარიგების გეგმების (LARP) განსახორციელებლად საჭირო თანხების დროულად გამოყოფაზე. რაც შეეხება LARP- ს, კომპენსაციისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო ბიუჯეტი პირდაპირ ანაზღაურდება აჭარის წყლის ალიანსის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.

მიწის შეძენისა და განსახლება/ გარიგების ხარჯები (ძირითადად, კერძო მიწის შეძენა და ამ მიწებზე არსებული ქონების ანაზღაურება) შეფასდება შესაბამისი ქვეპროექტებისთვის. მშენებლობის პროცესში მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა შევიდეს სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორების ხარჯთაღრიცხვაში.

8. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

8.1 შესავალი და მიზანი

ეს თავი მიმოიხილავს სოციალურ და გარემოს დაცვით კვლევებთან დაკავშირებულ საკონსულტაციო აქტივობებს. მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური სტანდარტი 10-ის თანახმად, მონაწილე მხარეთა ჩართულობა აღიქმება, როგორც ძლიერი, კონსტრუქციული და რეაგირებადი ურთიერთობების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი და განხორციელებული ჩართულობის პროცესი, რაც მნიშვნელოვანია პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული საფრთხეების წარმატებული მენეჯმენტისთვის.

მსესხებელთა შესახებ სახელმძღვანელო შენიშვნა 10-ის პარაგრაფი 13.2 (30)-ის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანია უზრუნველყოს:

- პროექტის აღწერა იმ დროისთვის ცნობილი მოსალოდნელი გარემოს დაცვისა და სოციალური ზეგავლენების გათვალისწინებით; (იხილეთ თავი 6)
- დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან მოწყვლადი ადამიანებისა და ჯგუფების ჩათვლით;
- /შემოთავაზებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა (მოიცავს: საკითხებს, რომლებშიც მონაწილე მხარეები იქნებიან ჩართულნი, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზებს, ჩართულობის მეთოდებს, იმ ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელზეც საჯარო წვდომა იარსებებს, ენებს, რომლებზეც ხელმისაწვდომი იქნება მოცემული ინფორმაცია, საკონსულტაციო პერიოდის ხანგრძლივობას, და კომენტარის გაკეთების შესაძლებლობებს);
- საჭირო რესურსების და პასუხისმგებლობების ჩვენება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისთვის საჭირო აქტივობების განსახორციელების მიზნით;
- გასაჩივრების მექანიზმის შემაჯამებელი აღწერა(იხილეთ თავი 11);
- საკონტაქტო ინფორმაცია და დამატებითი ინფორმაციის ძიების პროცედურა (მოწოდებულ იქნება საჩივრების გამოსწორების მექანიზმში).

აქტივობების დამთხვევის თავიდან არიდების მიზნით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების გამოსწორების მექანიზმი მჭიდროდ იქნება კოორდინირებული ლოტი 1-სა და ლოტი 2-ს კონსულტანტებს შორის. ასევე დაგეგმილია მონაწილე მხარეთა ჩართულობის აქტივობები და ისინი სრულდება ლოტი 2-ის თამხლები ღონისძიებების ფარგლებში მომხმარებელთან ურთიერთობასა და საზოგადოების მობილიზაციის აქტივობებთან მჭიდრო კოორდინაციით.

დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციისა და ჩართულობის პროცესი გაგრძლედება პროექტის ყველა ეტაპზე, როგორც ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზე არის ნაჩვენები. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა განახლდება ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში რომელიც შეიძლება წარმოიშვას გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის საწყისი შეფასების შემდეგ;

გამოსახულება 21 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და კონსულტაციის პროცესი;

8.2 დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა

მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტი 10-ის თანახმად, /დაინტერესებული მხარეები არიან ფიზიკური პირები ან ჯგუფები:

- ვისზეც პროექტი ახდენს ან იქონიებ სგავლენას (პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი მხარეები, PAP)
- ვინც შესაძლოა დაინტერესებულნი იყვნენ პროექტით (სხვა დაინტერესებული მხარეები)

ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზე აღნიშნულია პროგრამით დაინტერესებული მხარეები და ასევე ნაჩვენებია მათი ურთიერთკავშირები; ორი ზემოთ ხსენებული კატეგორიის გვერდით გამოიკვეთნენ ეგრეთწოდებული ''ვეტო მოთამაშეები'', რომელთა მხარდაჭერის და მონაწილეობის გარეშეც ვერ მიიღწევა პროგრამის მიზნობრივი შედეგი და მათ პროგრამაზე ვეტოს დადების უფლებაც კი შეიძლება ჰქონდეთ;

ილუსტრაცია გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელებისთვის საჭიროა მთელი რიგი დაინტერესებული მხარეების გათვალისწინება. ამასთან ერთად, ისინი დეტალურად არიან წარმოდგენილი მომდევნო ცხრილში თავიანთი დღის წესრიგის, აქტივობის სფეროსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გათვალისწინებით. თითოეულ დაინტერესებულ მხარეს გააჩნია საკუთარი მოთხოვნები, ჩართულობის შესაძლებლობები და სავარაუდოდ საჭიროებენ განსხვავებულ მეთოდებს იმისთვის, რომ პროგრამა დაუბრკოლებლად განხორციელდეს, რაც ამავდროულად მომგებიანია დაზარალებული საზოგადოებისთვის. დაინტერესებულ მხარეთა ცხრილები განახლდება მუდმივად პროექტის განხორციელების პროცესში ახალი დაინტერესებული მხარეების გამოჩენის შემთხვევაში.

გამოსახულება 22 დაინტერესებულ მხარეთა აღნიშნვა სქემაზე



ცხრილი 49 დაინტერესებულ მხარეთა მონაცემების აღწერა

დაინტერესებული მხარე	დღის წესრიგი/სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მოღვაწეობის სფერო/ გავლენის სფერო	სხვა აქტორებთან ურთიერთობა
აჭარის წყლის ალიანსი	ინფრასტრუქტურის განვითარება და ადაპტირება;	პროექტის აღმასრულებელი სააგენტო(პასი): პასუხისმგებელი იქნება პროექტის მართვასა და შედეგებზე;	პასი იმყოფება აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ; სააქციო საზოგადება დაარსებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და

დაინტერესებული მხარე	დღის წესრიგი/სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მოღვაწეობის სფერო/ გავლენის სფერო	სხვა აქტორებთან ურთიერთობა
			მუნიციპალიტეტების მიერ.
მომხმარებლები/ მომხმარებელთა ჯგუფები	წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების გაუმჯობესება; გაუმჯობესებული ჯანმრთელობა; ტარიფის შემოღებით დაზარალებულნი	დეცენტრალიზებული ინფრასტრუქტურის მონიტორინგი, ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა	მჭიდროდ თანამშრომლობს და კოორდინირებს შესაბამის მუნიციპალიტეტთან/ წყლის საწარმოსთან;
მუნიციპალიტეტები	ინფრასტრუქტურის განვითარება და ადაპტირება;	ადგილობრივი თვითმმართველობა; საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მფლობელები; მშენებლობის ნებართვის გაცემა;	აჭარის წყლის ალიანსის აქციონერები; მუნიციპალური წყლის საწარმოების მფლობელები;
მუნიციპალური წყლის საწარმოები	ინფრასტრუქტურის განვითარება და ადაპტირება	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მართვა და ექსპლუატაცია	მუნიციპალიტეტების მფლობელობაში
სხვა ადგილობრივი მოსახლეობა	გაუმჯობესებული ჯანმრთელობა და გარემო პირობები; პროექტის ნაწილად ყოფნის შესაძლო ინტერესი; მძიმე ტექნიკით შეწუხებულნი, პოტენციურად.	სოფლის შეხვედრებში მონაწილეობა; პროგრამაში მონაწილეობისადმი ინტერესის შეტყობინება, შეშფოთების გაჟღერება;	მუნიციპალიტეტების იურისდიქციის ქვეშ მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობა, რომელსაც მომსახურებას უწევენ კომუნალური წყლის საწარმოები;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	ინფრასტრუქტურის განვითარება და ადაპტირება	პასის ფუნქიონირების, გადასახადებისა და მიწის შესყიდვის (საჭიროების შემთხვევაში) დაფინანსება	აჭარის წყლის ალიანსის აქციონერი

დაინტერესებული მხარე	დღის წესრიგი/სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მოღვაწეობის სფერო/ გავლენის სფერო	სხვა აქტორებთან ურთიერთობა
KfW-ს ბანკი	პროგრამის შედეგები(ანგარიშგება)	სესხის/გრანტის უზრუნველყოფა	ევროკავშირისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი დაფინანსება ერთად, მმართველი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ევროკავშირი	პროგრამის შედეგები (ანგარიშგება)	სესხის/გრანტის უზრუნველყოფა	ერთობლივი დაფინანსება KfW-ს და აჭარის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	პროგრამის შედეგები (ანგარიშგება)	სესხის გარანტია	ერთობლივი დაფინანსება KfW ბანკსა და ევროკავშირთან ერთად.
აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	გაუმჯობესებული ჯანმრთელობა და გარემო პირობები;	ოფიციალური პროექტის აღმასრულებელი სააგენტო, მიწისქვეშა წყლების მოპოვების ლიცენზიის გაცემა	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
მარეგულირებელი ორგანოები*	პროგრამა შესაბამება სათანადო მოთხოვნებს	მარეგულირებელი როლი: ნებართვის და ლიცენზიების გაცემა, შემოწმებები	არ არის ხელმისაწვდომი
სამეთვალყურეო საბჭო	პროგრამის შედეგები (ანგარიშგება)	პროგრამის განხორციელების ზედამხედველობა	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის წყლის ალიანსის, KfW-ს ბანკის, ევროკავშირის წარმომადგენლები
გენდერული თანასწორობის საბჭო	პროგამაში გენდერული ასპექტების	შეუძლია დაეხმაროს სოფლებში ქალთა ჩართულობის	დაარსებულია მუნიციპალიტეტების ფარგლებში;

დაინტერესებული მხარე	დღის წესრიგი/სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მოღვაწეობის სფერო/ გავლენის სფერო	სხვა აქტორებთან ურთიერთობა
	გათვალისწინება; ადგილობრივ საზოგადოებაში ქალთა პოზიციის გაუმჯობესება;	უზრუნველყოფას; ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებში ჩართულობა(მონაწილეობის სურვილი დადასტურებულია)	ჩართულობის აქტივობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის;
ბათუმი წყალი	ინფრასტრუქტურის განვითარება და ადაპტირება	ნოუ-ჰაუს გადაცემა	KfW პროგრამის ხანგრძლივი ინფრასტრუქტურა
არასამთავრობო ორგანიზაციები*	პროგრამის განვითარება შესაბამისი ორგანიზაციების ხედვასთან შესაბამისობით	რეგიონული სპეციფიკის ნოუ-ჰაუ	ურთიერთობა სამთავრობო და მარეგულირებელ ორგანოებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ჩართულობა;
პრესა და მედია	მიმდინარე ღონისძიებების რეპორტაჟი	/ფართო აუდიტორიის ინფორმირება; კონსულტაციისა და ჩართულობის ღონისძიებების ჩაწერა;	
კონტრაქტორები	სამუშაო პროცესის შესრულება, შრომის უფლებებთან წვდომა;	სამშენებლო სამუშაოები	დასაქმებულია აჭარის წყლის ალიანსის მიერ
მომწოდებლები	კონტრაქტების გაფორმება	პროდუქციის მიწოდებამ და ხარისხმა შესაძლოა გავლენა იქონიოს პროექტის ვადებზე	დასაქმებულია აჭარის წყლის ალიანსის მიერ

ცხრილი 50 დაინტერესებული მხარეების მონაცემების აღწერა"მარეგულირებელი ორგანოები"

დაინტერესებული მხარე	დღის წესრიგი/სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მოღვაწეობის სფერო/ გავლენის სფერო
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის	გარემოს დაცვა	გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვა

დაინტერესებული მხარე	დღის წესრიგი/სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მოღვაწეობის სფერო/ გავლენის სფერო
მეურნეობის სამინისტრო		
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია	წყლის რესურსების დაცვა; წყლის ტარიფის რეგულირება	წყალმომარაგების ექსპლუატაციის ლიცენზიების გაცემა; ტარიფის დამტკიცება;
აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტო	მიწისქვეშა წყლის რესურსების დაცვა	მიწისქვეშა წყლების მოპოვების ლიცენზიების გაცემა;
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტო	გარემოს დაცვა	ზედაპირული წყლების ამოღებისა და ჩაშვების ნებართვა; გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების მონიტორინგი;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის ინსპექცია	გარემოს დაცვა	გარემოს ინსპექცია და მონიტორინგი;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო	ტყის დაცვა	სატყეო ნებართვის გაცემა;
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან მიმართებით ნებართვის გაცემა

ცხრილი 51 დაინტერესებულ მხარეთა მონაცემების ჩაწერა: არასამთავრობო ორგანიაციები

დაინტერესებული მხარეები	დღის წესრიგი/ მოღვაწეობის სფერო/ სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მიმდინარე აქტივობები	საკონტაქტო პირი
გარემოს დაცვის მიმართულებით			
გარემოს დაცვის ასოციაცია ''ფსოვი''	ეკოტურიზმი; გარემოს დაცვა, ფრინველებზე დაკვირვება; გამოკითხვები;	არ არის ხელმისაწვდომი	ჯიმშერ მამუჭაძე ტელ: 595 40 66 90
გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების	გარემოს დაცვა; სოფლის მეურნეობის განვითარება საზოგადოებრივ დონეზე;	არ არის ხელმისაწვდომი	ზურაბ მანველიძე ტელ: 599 54 25 57

დაინტერესებული მხარეები	დღის წესრიგი/ მოღვაწეობის სფერო/ სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მიმდინარე აქტივობები	საკონტაქტო პირი
ასოციაცია ''მთა-ბარი''	გამოკითხვები/კვლევები; სამეცნიერო სამუშაოები;		
ველური გარემოს დაცვის საზოგადოება ''ჭაობი''	გარემოს დაცვა; სამეცნიერო კვლევა;	არ არის ხელმისაწვდომი	ზურაბ მანველიძე ტელ:599 54 25 57
შავი ზღვის ეკო აკადემია	გარემოს დაცვის საკითხები; ველური ბუნება და ტყის დაცვა; გამოკითხვები; ტურიზმის განვითარება; სოფლის მეურნეობა; ახალი ენერგიის უტილიზაცია; საზოგადოებრივი განვითარება; ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერა; ნარჩენების მართვა; ცნობიერების ამაღლება;	ერთობლივი პარტნიორობის წევრი LOT 2 კონსულტანტთან ერთად	ეკატერინე ხვედელიძე ტელ: 577 42 39 27
CENN-კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია	გარემოს დაცვის საკითხები; ველური ბუნება და ტყის დაცვა; გამოკითხვები; ტურიზმის განვითარება; სოფლის მეურნეობა; ახალი ენერგიის უტილიზაცია; საზოგადოების განვითარება; ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერა; ნარჩენების მართვა; ცნობიერების ამაღლება;	ENPARD-ი, პროექტი ქედაში, მალე დასრულდება	კახა გუჩმანიძე ტელეფონი: 577 46 51 46
ბათუმის გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ცენტრი	ფრინველებისა და ბუნების კონსერვაცია; ფრინველებზე დაკვირვება;	ფრინველების მონიტორინგის პროგრამა, ტურისტული აქტივობები;	https://www.ba-tumiraptor-count.org/contact
მტირალასა და მაჭახელას დაცული ტერიტორიების	გარემოს დაცვის საკითხები; ველური ბუნებისა და ტყის დაცვა; გამოკითხვები; ტურიზმის განვითარება;	''აჭარის მთიან რეგიონებში ტურიზმის მდგრადი	გულნაზ სურმანიძე ტელ: 593 58 56 28

დაინტერესებული მხარეები	დღის წესრიგი/ მოღვაწეობის სფერო/ სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მიმდინარე აქტივობები	საკონტაქტო პირი
მეგობართა ასოციაცია	საზოგადოების განვითარება; საზოგადოების და ახალგაზრდობის ჩართულობა ბუნების დაცვის პროცესში;	განვითარების (ბუნებაზე ორიენტირება) მხარდაჭერის'' პროექტი	
	სოციალური		
ადამიანის უფლებათა ცენტრის აჭარის ოფისი	ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დაცვა პროექტის განხორციელების პროცესში;	არ არის ხელმისაწვდომი	თბილისის ოფისი ტელ: 032 225 04 63
ახალგაზრდა მეცნიერთა ცენტრი ''ინტელექტი''	დემოკრატიის განვითარება; მიგრაცია; საზოგადეობის განვითარება; ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერა; ცნობიერების ამაღლება;	ამჟამად არ მიმდინარეობს ღონისძიებები საპროგრამო ტერიტორიაზე;	ლევან გობაძე ტელ: 599 50 78 95
თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი	ახალგაზრდობა და ბავშვები; განათლება; სქესი; მედია;	არ არის ხელმისაწვდომი	ასლან ჭანიძე ტელ: 593 30 71 55
''ნაბიჯი წინ''	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მხარდაჭერა;	ამჟამად არ მიმდინარეობს ღონისძიებები საპროგრამო ტერიტორიაზე;	მანანა ინაიშვილი ტელ: 593 71 86 18
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, ბათუმის ოფისი	დემოკრატია და საზოგადოება; საჯარო პოლიტიკა; ადგილობირვი მთავრობა;	არ არის ხელმისაწვდომი	ნათია აფხაზავა ტელ: 599 77 71 85
განვითარების და თანამშრომლობის ხელშეწყობის კავშირი ''პროგრესი''	სამართლებრივი საკითხები; განათლება;	არ არის ხელმისაწვდომი	ნინო გაბუნია ტელ: 593 25 70 40
დემოკრატიის ინსტიტუტი, ოფისები ქედასა და ხულოში	ადამიანის უფლებები; განათლება; სოციალური საკითხები	ENPARD-ის პროექტი ქედაში	არჩილ ხახუტაშვილი ტელ: 577 21 04 10

დაინტერესებული მხარეები	დღის წესრიგი/ მოღვაწეობის სფერო/ სტრატეგიული მიზნები და ინტერესები	მიმდინარე აქტივობები	საკონტაქტო პირი
		კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციას თან(CENN) ერთად;	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირი ხულოში	ახალგაზრდობა; სოციალური განვითარება; ინტერესთა დაცვა; შეზღუდული შესაძლებლობა;	არ არის ხელმისაწვდომი	ჯემალ ჭელიძე ტელ: 591 71 47 42

ცხრილი 52 პრესა და მედია ორგანიზაციები აჭარაში

ნომ.	ორგანიზაცია
1	აჭარის ტელევიზია
2	სატელევიზიო არხი “TV 25”
3	რადიო’’აჭარა’’
4	გაზეთი ‘’აჭარა’’
5	გაზეთი ‘’ბათუმელები’’
6	გაზეთი “ბათუმური ქრონიკები”
7	გაზეთი “აჭარა P.S.”
8	გაზეთი “მთიანეთი”
9	გაზეთი “ხულო”
10	გაზეთი “ქედა”

8.3 ინფორმაციის გამოქვეყნება

ინსტრუქცია 10-ის თანახმად, უნდა გამოქვეყნდეს მინიმუმ მომდევნო სახის ინფორმაცია:

- პროექტის მიზანი, ბუნება და მასშტაბი;

- შემოთავაზებული საპროექტო აქტივობების ხანგრძლივობა;
- პროექტის შესაძლო საფრთხეები და გავლენები ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ შერბილების წინადადებები, პოტენციური საფრთხეებისა და გავლენების გამოკვეთა, რომლებმაც შეიძლება უკუპროპორციული ზეგავლენა მოახდინოს მოწყვლადი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებზე;
- დაინტერესებული მხარის ჩართულობის პროცესი, რომელშიც ხაზგასმული იქნება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ფორმები;
- ნებისმიერი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დრო და ადგილი და პროცესი, რომლის საშუალებითაც მოხდება შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, შეჯამება და მოხსენება;

პროცესი და საშუალებები, რომელთა მეშვეობით მოხდება საჩივრების წამოჭრა და მოგვარება. ლოტი 2-ის თანმდევი ღონისძიებების ფარგლებში, დამატებით ჩატარდება საზოგადოებრივი მობილიზაციისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები როგორც ლოტი 1-ს, ასევე ლოტი 2-ის პროგრამით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.

8.3.1 საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის/ დოკუმენტების ჩამონათვალი

საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება შემდგომი ინფორმაცია:

- გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის გეგმები(დაბებისთვის);
- საკონტროლო სიების ტიპის საინფორმაციო ფურცლები(სოფლებისთვის)
- გარემოს დაცვის სკრინინგის განაცხადი და გადაწყვეტილება
- წინასწარი დიზაინები;
- საკონტაქტო ინფორმაცია საჩივრის გამოსწორებისთვის;
- ნებისმიერი დაგეგემილი საჯარო კონსულტაციების შეხვედრების დრო და ადგილი;
- ინფორმაციის მიწოდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებასა და მშენებლობის განრიგის, ასევე გზის პოტენციური გადაკეტვისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის შესახებ;

8.3.2 ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის საშუალებები

გამოყენებულ იქნება ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის შემდგომი საშუალებები:

ცხრილი 53 ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის წყაროები

საშუალება	ყველაზე უფრო შესაფერისი აპლიკაცია
საინფორმაციო დაფები	საინფორმაციო დაფების შემოღება თითოეულ საპროექტო ტერიოტორიაზე მცხოვრები საზოგადოებაში, მუნიციპალურ ოფისებში;
მობილურით/ელ.ფოსტით/ SMS-ით მომიწერა	საპროექტო ინფორმაციის გავრცელება მთავრობის ხელმძღვანელობას, ორგანიზაციებს, სააგენტოებსა და კომპანიებს შორის; დაინტერესებული მხარეების მოწვევა შეხვედრებზე;
ოფიციალური წერილობით მიმოწერა: ელ.ფოსტა/წერილი	ხელმძღვანელებთან და მარეგულირებელ ოგანოებთან კომუნიკაცია;
რეკლამები ბეჭდურ მედიასა და რადიოში	პროექტის ინფორმაციის გავრცელება ფართო აუდიტორიისთვის და შესაბამისი ინფორმაციის არ მქონე დაინტერესებულ მხარეებითვის; დაინტერესებული მხარეების ინფორმირება საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ;
აჭარის წყლის ალიანსის ვებგვერდი	საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტების გამოქვეყნება, საჯარო განცხადებები, PR კამპანია, ცნობიერების ამაღლება, საკონტაქტო ინფორმაციის გავრცელება;
სოციალური მედია (Facebook and Instagram)	საჯარო განცხადებები, PR კამპანია, ცნობიერების ამაღლება, საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარება;

8.4 ჩართულობის მეთოდები

კონკრეტული დაინტერესებული მხარეთა ჯგუფის კონსულტაციებისთვის საჭირო სიხშირისა და ჩართულობის სათანადო ტექნიკის არჩევისას გათვალისწინებული იქნება შემდგომი კრიტერიუმები:

- პროექტის ზემოქმედების მასშტაბი დაინტერესებულ მხარეებზე;
- დაინტერესებულ მხარეთა პროექტზე გავლენის მასშტაბი ზღვარი;
- კულუტურული თვალსაზრისით მისაღები მხარეთა ჩართულობისა და ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;

გამოყენებულ იქნება შემდგომი ჩართულობის მეთოდები:

ცხრილი 54 გამოყენებული ჩართულობის მეთოდების მიმოხილვა

ჩართულობის მეთოდი	ყველაზე შესაფერისი აპლიკაცია
ინტერვიუები ერთი-ერთზე	შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოკითხვა; დაინტერესებული მხარეებისთვის თავისუფლად და თავდაჯერებულად ურთიერთსაწინააღმდეგო და სენსიტიურ თემებზე საუბრის შესაძლებლობის მიცემა; ახლო ურთიერთობების დამყარება;
ოფიციალური შეხვედრები	პროექტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის. შეხედულებებისა და მოსაზრებების წარმოჩენის საშუალების მიცემა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის; მაღალი სტატუსის მქონე დაინტერესებულ მხარეებთან ობიექტური ურთიერთობების დამყარება; ტექნიკური დოკუმენტების გავრცელება;
საჯარო შეხვედრები	პროექტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა დაინტერესებულ მხარეთა ფართო აუდიტორიისთვის და კონკრეტული საზოგადოებისთვის; შეხედულებებისა და მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობის მიცემა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის; მეზობელ თემთან ურთიერთობის დამყარება; პროექტის არატექნიკური ინფორმაციის გავრცელება;
ვორქშოფები	პროექტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის; შეხედულებებისა და მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობის მიცემა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის; მონაწილეობრივი აქტივობების გამოყენება ჯგუფური განხილვების, პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების ძიების, ინფორმაციის გაანალიზების გაადვილებისა და რეკომენდაციებისა და სტრატეგიების შემუშავების მიზნით.
სამიზნე ჯგუფის დისკუსიები	8 და 15 კაციანი შემადგენლობის მქონე მცირე ჯგუფისათვის საწყის მიზნობრივ ინფორმაციაზე

ჩართულობის მეთოდი	ყველაზე შესაფერისი აპლიკაცია
	თავიანთი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოხატვის საშუალების მიცემა. მეზობელ თემებთან ურთიერთობების დამყარება;
გამოკითხვები	ინდივიდუალური დაინტერესებული მხარეებიდან მოსაზრებებისა და შეხედულებების შეგროვება; საბაზისო მონაცემების შეგროვება; საბაზისო მონაცემთა ბაზის შემუშავება ზემოქმედებების მონიტორინგისთვის

8.4.1 მონაწილეობისთვის შემაფერხებელი დაბრკოლებების აღმოფხვრის ზომები

გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები მოწყვლადი ჯგუფებისთვის მონაწილეობის პოტენციური დაბრკოლებების აღმოფხვრისა და მათი შეხედულებების გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით.

ცხრილი 55 კონსულტაციის მეთოდი მოწყვლადი ჯგუფებისთვის

ჯგუფი	კონსულტაციის მეთოდი
მოხუცები	დამხმარე ტრანსპორტი შეხვედრებისთვის, სატელეფონო კონსულტაციები
ქალები	დამატებითი დისკუსიები სამიზნე ჯგუფთან
უმცირესობები	დამატებითი დისკუსიები სამიზნე ჯგუფთან, მთარგმნელობითი მომსახურება;
ეტლით მოსარგებლეები	სატელეფონო კონსულტაციები

8.4.2 გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა

თუ წყალთან დაკავშირებულ საოჯახო საქმიანობაში გავითვალისწინებთ ქალების მთავარ როლს, აქტივობები დაინტერესებული მხარის ჩართულობის გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს გენდერულად მგრძნობიარე თვალსაზრისით, რაც მოიაზრებს შემდგომ ასპექტებს:

- ქალები და მამაკაცები წყლის რესურსებს სხვადასხვაგვარად იყენებენ; წყალთან დაკავშირებულ საშინაო საქმიანობებს (საჭმლის მომზადება, რეცხვა, წმენდა, ბავშვების დაბანა) ძირითადად ქალები ასრულებენ;
- ქალთა საშინაო და ეკონომიკურმა მოვალეობებმა შეიძლება შეზღუდოს მათი მხრიდან მონაწილეობის შესაძლებლობა და სურვილი.

- ბუნებრივ გარემოსთან დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის გავრცელების გეგმაში შესაძლოა გახდეს საჭირო ცვლილება, იმისთვის რომ ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ქალების/მამაკაცებისა/ბიჭებისთვის, ასევე გოგონებისთვის;
- ზოგადად, ქალები, როგორც ჯგუფი (გამონაკლისების გარდა) არ არიან ჩართულნი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში იმ მასშტაბით, როგორც მამაკაცები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, პრობლემის გადაჭრის გზებში წვლილის შეტანასა და ასევე პროცესზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობებზე. თანაბარი წვდომა პოტენციურად ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრის უკეთესი გზის პოვნასა და გადახდის უფრო მაღალ მზაობას;
- ქალთა მონაწილეობა შეიძლება ნაწილობრივ ან სრულიად იყოს შეზღუდული იმ თემებში, სადაც მამაკაცი არის დომინანტი, რაც არ აძლევს ქალებს საზოგადოებაში ჩართულობისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი თუკი მას სათანადო კონტროლი არ გაეწევა.
- საქართველოში ქალებსა და მამაკაცებს გადასახადი/ვალის დაფარვის განსხვავებული გამოცდილება აქვთ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომსახურების გადახდის მზაობაზე.
- ქალებს, ზოგადად და როგორც ჯგუფს (გამონაკლისების გარდა) ბევრად დაბალი სამსახურეობრივი შემოსავალი აქვთ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს გადახდის უნარიანობაზე.
- ქალთა მონაწილეობა შეიძლება შეიზღუდოს თუ ფასილიტატორები მამაკაცები არიან.

პროგრამის ფარგლებში გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობისთვის განხორციელდება შემდგომი მიდგომა:

ცხრილი 56 გენდერული მეინსტრიმინგის აქტივობები პროგრამის ფარგლებში

#	პროგრამის ფაზა	აქტივობა
1	საწყისი ფაზა	**სოციალური მონაცემების საწყისი ანალიზი გენდერული საკითხების გათვალისწინებით:** გენდერული ნიშნით გამოყოფილი მონაცემების მიღება, სადაც შესაძლებელია; კონტექსტი და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც გენდერულ სხვაობაზე, ასევე წყალთან დაკავშირებულ აქტივობებში ქალთა ჩართულობასა და საზოგადოებრივ საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებაზე;
2	საწყისი ფაზა	**შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და ქალთა ოთახის წარმომადგენლებთან**

#	პროგრამის ფაზა	აქტივობა
		მუნიციპალიტეტებში ქალთა ინსტიტუციური როლის მოპოვება და გაცნობიერება; ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით კონტაქტის დამყარება ძირითად დაინტერესებულ მხარეებსა და დაზარალებულ მოსახლეობასთან. ადგილობრივ ქალებთან კომუნიკაციის საუკეთესო გზის განსაზღვრა;
3	პროგრამაში მონაწილე სოფლის შერჩევის შემდეგ	**სამიზნე ჯგუფების განხილვა:** დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება პროგრამის საქმიანობამ გავლენა იქონიოს საარსებო წყაროზე, გენდერულ ურთიერთობებსა და ქალთა როლებზე; მომავალ მომხარებელთა ჯგუფებში ქალთა როლის შესწავლა და განსაზღვრა, თუ რა სახის ქმედებები და გადაწყვეტილებებია საჭირო თანასწორობის გაზრდისა და უარყოფითი შედეგების თავიდან არიდების მიზნით;
4	გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასება	**გენდერული ასპექტის გათვალისწინება გარემოსა და სოციალური ზემოქმედების ქულების გამოთვლისას** გარემოსა და სოციალური ზეგავლენის შეფასების დროს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შედეგად მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება.
5	მომხმარებელთა ჯგუფების შექმნისთანავე	**ქალთა წარმომადგენლობა სოფლის გამგეობებში/მომხმარებელთა ჯგუფებში** უზრუნველყოფ არომ, მინიმუმ ერთი ქალი მაინც იყოს შესაბამისი სოფლის გამგეობის /მომხმარებელთა ჯგუფის წევრი.
6	სამუშაო პროცესის დაწყებამდე, მიმდინარე	**საჩივრების გამოსწორების მექანიზმი** პროექტის დონეზე (ლოტი1&2) საჩივრების გამოსწორების მექანიზმის შეიქმნა აჭარის წყლის ალიანსის ხელმძღვანელობით. ადგილობრივი მოსახლეობის მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ინფორმირება საჩივრების გამოსწორების მექანიზმის დანიშნულებისა და გამოყენების შესახებ;

8.4.3 თემის წარმომადგენლობის შემოწმება

მსესხებლების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქცია 10-ის თანახმად, ”როდესაც დაინტერესებული მხარის ჩართულობა ადგილობრივ პირებთან და თემებთან არსებითად დამოკიდებულია თემთა წარმომადგენლებზე, მსესხებელი გაატარებს შესაბამის ძალისხმევას იმის დასადგენად, რომ მსგავსი პირები ნამდვილად წარმოაჩენენ სხვა

ინდივიდებისა და თემების შეხედულებებს, და რომ ისინი სათანადოდ უწყობენ ხელს კომუნიკაციის პროცესს".

იმისათვის რომ, ინფორმაციული ნაკადი არ იყოს დამოკიდებული სოფლის რწმუნებულზე[7], რომელიც ხშირად ერთზე მეტ სოფელზე არის პასუხისმგებელი, პროგრამის ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული ''სოფლის გამგეობები''. სოფლის გამგეობის მიზანი არის სოფლის მაცხოვრებლებსა და პროექტის აღმასრულებელ სააგენტოს/კონსულტანტს შორის საკონტაქტო ორგანოს ფუქნციის შესრულება.

[7] რწმუნებული (ქართ.) = სოფელში მერის წარმომადგენელი

8.5 ჩართულობის გეგმა

ცხრილი 57 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
			1. წინა სამშენებლო ფაზა				
1.1	პროგრამის დასაწყისი	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის წყლის ალიანსი და პროექტის აღმასრულებელი სააგენტო.	საწყის ეტაპზე შეგროვებული მონაცემების წარდგენა;	შეხვედრები, პრეზენტაციები, სარეკლამო ფურცლები	ლოტი 1 და ლოტი 2	პროექტის დაწყებისას	ფოტო მასალა
1.2	განახლებული ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ	აჭარის წყლის ალიანსი, პროექტის აღმასრულებელი სააგენტოს სამუშაო გუნდი(პასი)	ინფორმაცია კონსულტანტების ლოტი 1-სა და ლოტი 2-ის მიმდინარე აქტივობებისა და წინსვლის შესახებ	შეხვედრები პრეზენტაციები საინფორმაციო ფურცლები	ლოტი 1 და ლოტი 2	ორ კვირაში ერთხელ	შეხვედრის ოქმები

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
1.3	პროგრამის გაცნობა	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები; ყველა მუნიციპალიტეტის სოფლის რწმუნებულები;	არსებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაცნობა და განხილვა; პროგრამის დეტალებისა და მისი პოტენციალის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. რწმუნებულისთვის განაცხადების დარიგება სოფლის მაცხოვრებლებში პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით.	შეხვედრები;	ლოტი 2-ის გუნდის ლიდერი და სოციალური გუნდი;	პროექტის დაწყებისთანავე	ფოტო დოკუმენტაცია მიღებული შევსებული განაცხადები;

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
1.4	ვორქშოფები სოფელში	სოფლის წარმომადგენლები	მიმდინარე მდგომარეობის, პრობლემების, შეხედულებებისა და მოლოდინის განხილვა; პროგრამის კონცეფციის გაცნობა; ადგილობრივი სოფლის გამგეობის პოტენციური წევრების დადგენა, რომლებიც მნიშვნელოვანი პირები იქნებიან სოფლებში დაგეგმილი სამომავლო ღონისძიებებისთვის.	პრეზენტაცია; ვორქშოპი;	ლოტი 2 გუნდის ლიდერი და ლოტი 2 სოციალური გუნდი;	სოფლის შერჩევის პროცესის განმავლობაში;	დასწრების სია; ფოტო დოკუმენტაცია;

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
1.5	კონსულტაციები სოფლებთნ	სოფლის წარმომადგენლები	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებთან დაჯკავშირებით მიღებული გადაწყვეტების განხილვა მოსახლეობასთან(პირველადი დიზაინი) და უკუგების მიღება; ; /მოსახლეობისთვის განსხვავებული შესაძლო საპირფარეშოს ჩვენება და წყალომარაგებისა და წყალარინების სისტემების შეთავაზება პროექტისადმი საკუთრების და პასუხისმგებლობის	დისკუსია სამიზნე ჯგუფთან;	ლოტი 2-ის სოციალური და ტექნიკური გუნდი;	საწყისი დიზაინის დასრულების შემდეგ;	შეხვედრის ოქმები; დასწრების სია; ფოტო დოკუმენტაცია;

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
			გრძნობის განვითარება; ექპსლუატაციისა და უზრუნველყოფის კონცეფციის				
1.6	სოფლის ტურიზმი	აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი	სოფლის ტურიზმის როლის გაცნობიერება და განვითარება; პრიორიტეტული სოფლების არჩევა დეპარტამენტის შეხედულებიდან გამომდინარე;	შეხვედრა	ლოტი 2 სოციალური გუნდი	პროექტის დასაწყისშივე	პრიორიტეტული სოფლებისია ტურიზმის დეპარტამენტის შეხედულებით
1.7	საჯარო კონსულტაციები დაბაში	დაბის წარმომადგენლები	საზოგადოებრივი მონაწიელობა/დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, პროექტის მიდგომის გამჭვირვალობა და	საჯარო შეხვედრა, პროექტის კონცეფციის დეტალური პრეზენტაცია,	ლოტი 1 და ლოტი 2-ის სოციალური გუნდი	საბოლოო დიზაინისა და გარემოს დაცვისა და სოციალური ზეგავლების	შეხვედრის ოქმები; დამსწრეთა სია;

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
			გარემოს დაცვის და სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შემარბილებელი ღონისძებები	გარემოსა დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასება და გარემოს დაცვისა და სოციალური მენეჯმენტის გეგმა მუნიციპალიტეტში.		შეფასების და მენეჯმენტის გეგმის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მშენებლობის დაწყებამდე.	ფოტო დოკუმენტაცია;
1.8	შეხვედრა მუნიციპალიტეტთან გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხთან დაკავშირებით;	მუნიციპალიტეტისა და კომუნალური საწარმოების წარმომადგენლები;	მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა გარემოს დაცვისა და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით. პროგრამის გარემოს დაცვისა და სოციალური	შეხვედრა	ლოტი 1-სა და ლოტი 2-ის გარემოს დაცვისა და სოციალური გუნდი	გარემოს დაცვისა და სოციალური ზეგავლენის შეფასების მომზადების ფაზაში;	შეხვედრის ოქმები

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
			საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციების წარმოება				
1.9	ნებართვის გაცემა	მარეგულირებელი ორგანოები	ნებართვისა გაცემისა და ლიზენციის განაცხადის პროცედურებისა და შესაბამისი სტანდარტების დამტკიცება.	შეხვედრები	ლოტი 1-ისა და ლოტი 2-ის გარემოს დაცვისა და სოციალური გუნდი	გარემოს დაცვისა და სოციალური ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადების ფაზაში;	შეხვედრის ოქმები
1.10	გენდერული თანასწორობა	გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქალთა ოთახის წარმომადგენელი;	პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;/ზეგავლენის დადგენასა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება;	შეხვედრა	ლოტი 1-სა და ლოტი 2-ის გარემოს დაცვისა და სოციალური გუნდი;	გარემოს დაცვისა და სოციალური ზეგავლენის შეფასების მომზადების ფაზაზე, ყველა საკონსულტა	შეხვედრის ოქმი

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
			/ძირითადი დაინტერესებული მხარეებსა და პროგრამის გავლენის ქვეში მოქცეულ მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელების მულტიპლიკატორები;			ციო შეხვედრისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს	
1.11	არაასამთავრობო ორგანიზაციის აქტივობები;	რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები	პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ზეგავლენის დადგენასა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება; ძირითადი დაინტერესებული	შეხვედრა	ლოტი 1-სა და ლოტი 2-ის გარემოს დაცვისა და სოციალური გუნდი;	გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების ეტაპზე, ყველა საკონსულტაციო შეხვედრის/საზოგაოებასთან	შეხვედრის ოქმი;

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
			მხარეებსა და დაზარალებული მოსახლეობაში			ურთიერთობის დროს	
1.12	საწყისი ვორქშოპი	აჭარის წყლის ალიანსი, KfW ბანკი, ევროკავშირი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, დამფუძნებელთა კომიტეტი, მუნიციპალიტეტიის წარმომადგენლები, დაინტერესებული საზოგადოება;	პროგრამის საწყის ფაზაზე მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაციის გავრცელება; განხილვა;	პრეზენტაციები; დისკუსიის ციკლი	ლოტი 1 და ლოტი 2 კონსულტანტები;	საწყისი ანგარიშის წარდგენის შემდეგ;	ფოტო და ვიდეო დოკუმენტაცია; მედია გაშუქება;

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
1.13	მიწის ნაკვეთის საფასურის კომპენსაციის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება;	პროგრამის გავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა;	მოსახლეობისა და ზარალის ინვენტარიზაცია, შეფასების პროცედურისა და საბოლოო ვადის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;	შეხვედრა, ბეჭდური საინფორმაციო ფურცლები, მუნიციპალური ბიულეტენის დაფა.	აჭარის წყლის ალიანსი და მუნიცილიტეტები, ლოტი 1 -სა და 2-ის გარემოს დაცვისა და სოციალური გუნდის მხარდაჭერით	მოლაპარაკების ვადის ამოწურვის შემდეგ;	საჯარო განცხადება
1.14	საჯარო საჩივრების მექანიზმი	პროექტის გავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა	კომუნიკაცია განხორციელებული მექანიზმის შექმნისა და საშუალებების შესახებ	შეხვედრები, ბეჭდური სარეკლამო ფურცლები	აჭარის წყლის ალიანსი, რომელსაც დახმარებას უწევს ლოტი 1 და ლოტი 2-ის გარემოსდაცვისა და	საჩივრების მექნიზმის დანერგვისთანავე	საჯარო განცხადება

ნომერი	რა? ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნა	ვის? შეტყობინების მიმღები პირები	რატომ? საჭირო მოქმედების საფუძველი	როგორ? კომუნიკაციის საშუალებები	ვინ? სრული პასუხისმგებელობის მქონე პირი	როდის? ვადა/სიხშირე	შემოწმების მაჩვენებლები ან საშუალებები
					სოციალური გუნდი		
			2. მშენებლობის ფაზა				
2.1	მშენებლობის ფაზის ზეგავლენა ყოველდღიურ საქმიანობაზე;	ადგილობრივი მოსახლეობა	მოსახლეობის ინფორმირება მძიმე ტექნიკის ხშირი გადაადგილების, ხმაურით გამოწვეული უსიამოვნების, გზების შესაძლო გადაკეტვის, სამუშაო განრიგის და სხვა ფაქტორების შესახებ.	შეხვედრები, მუნიციპალური ბიულეტენის დაფა	ლოტი 1 და ლოტი 2	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე;	საჯარო განცხადება;
2.2	მომუშავე პირის საჩივარი	სამშენებლო სამუშაოები	მომუშავე პირების ინფორმირება თავიანთი უფლებებისა და საჩივრის მექანიზმის სისტემის შესახებ;	შეხვედრები, ბეჭდური სარეკლამო ფურცლები	ლოტი 1 და ლოტი 2 ტექნიკური გუნდები	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე;	სარეკლამო ფურცლები

8.6 საჯარო კონსულტაციების შედეგი

2019 წლის მეოთხე კვარტალსა და 2020 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში; ცხრილი მუდმივად განახლდება და საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებული სეგმენტი დანართის სახით დაერთვება კვარტარულ ანგარიშებს. ცხრილში მოცემული ინფორმაცია დახარისხებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ენაზე აჭარის წყლის ალიანსის ვებგვერდის მეშვეობით.

ცხრილი 58 2019 წლის მეოთხე კვარტალისა და 2020 წლის პირველი კვარტალის საჯარო კონსულტაციების შედეგები

Nr.	თარიღი/ მდებარეობა	აქტივობა/ კომუნიკაციის მეთოდი	კონსულტირებული დაინტერესებული მხარეები მონაწილეთა რაოდენობა	გასაჯაროვებული ინფორმაცია	უკუგების შეჯამება	პასუხი/ უკუგების ინტეგრირება
1	2019 წლის ოქტომბერი-2020 წლის თებერვალი ყველა მუნიციპალიტეტი	საჯარო შეხვედრები		პროგრამის ზოგადი კონცეფცია	პროგრამის საწყი კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა ძირითადად საზოგადოებრივი სეპტიკური ავზების დამონტაჟებას, არ იქნა შეთანხმებული, პროგრამის წარმატების რისკი	კონცეფციის შეცვლა-გაცილებით მეტი ინდივიდუალური სეპტიკური ავზი კომუნალური სეპტიკური ავზების ნაცვლად.
2	2019 წლის-ოქტომბერი 2020 წლის თებერვალი ყველა მუნიციპალიტეტი	საჯარო შეხვედრები		პროგრამის ზოგადი კონცეფცია	მიწით სარგებლობის თვალსაზრისით, სოფლის მოსახლეობისთვის გაურკვეველია ზუსტად რა შედეგები მოჰყვება მათ მიწაზე სეპტიკური ავზის ან სხვა	ინსტრუქციების კრებულის შექმნა ქართულ ენაზე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სეპტიკური ავზის ზედაპირი; ინფორმაცია ხელმისაწვდომი

			ინფრასტრუქტურის დამონტაჟებას	იქნება აჭარის წყლის ალიანსის ვებგვერდზე და ბროშურების სახით;
3				

8.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მონიტორინგი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მონიტორინგი გულისხმობს: მონაცემთა შეგროვებას, ჩართულობის დონის შეფასებასა და მონაცემთა შეგროვებისას მიღებული ინფორმაციით სტრატეგიებისა და მოქმედებების განახლებას დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური ჩართულობის მიზნით. მონიტორინგის ღონისძიებები და პროცედურები შეიქმნა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ეფექტური და დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად;

8.7.1 შიდა მონიტორინგი

პროექტის განხორციელების პერიოდში ყოველწლიურად განახლდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა. ყოველთვიური პროგრესის ანგარიში ასევე მოიცავს თავს გარემოს დაცვისა და სოციალური ზეგავლენის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ.

8.7.2 პროექტის აღმასრულებელი სააგენტოს შეხვედრები

პროგრამის დასაწყისში, ჩამოყალიბდა პროექტის აღმასრულებელი სააგენტოსა და ორივე კონსულტანტის შეხვედრები, რომლებიც ტარდება ორ კვირაში ერთხელ და ემსახურება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების მუდმივ შემოწმებას. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან მიმართებით, შემდგომი კითხვები არის (იქნება):

- ვისთან და რის შესახებ ვისაუბრეთ?
- კომუნიკაციის საშუალებით მივიღეთ თუ არა მოსალოდნელი შედეგები?
- თუ არა-რატომ არა და რისი შეცვლა შეგვიძლია? (შესაბამისად, საჭირო იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის გადაკეთება)
- პროექტის აქტივობები და ბიუჯეტი;
- პროექტის შედეგები-მოკლე და საშუალო ვადიანი;
- როგორ განვითარდა პროექტის კონტექსტი.

8.8 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და მისი თანმხლები დოკუმენტები განახლებადია. გამოვლენილი დაინტერესებული მხარეები და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია ყოველ წელს განახლდება, რათა უზრუნველყოფილი იქნას გეგმის შეესაბამისობა პროექტის მოლოდინებთან და საჭიროების შემთხვევაში გაკეთდეს ცვლილებები.

9. საექსპლუატაციო უზრუნველყოფის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა/ჩარჩო

აჭარის წყლის ალიანსი, მუნიციპალური საწარმო და მომხმარებელთა ჯგუფები მიიღებენ ყოვლისმომცველ ინსტრუქციებს და ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგები არსებული და ახლად აშენებული წყალმომარაგებისა და წყალარინების ობიექტების ექსპლუატაციასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. სპეციფიური ინსტრუქციების ვორქშოპები და ტრენინგები მორგებული იქნება სასწავლო გუნდის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. სპეციფიური ტრენინგები ეხება ტექნიკურ, კომერციულ და ბუღალტრულ საკითხებს. კერძოდ, ტრენინგები შესაბამისობაში იქნება შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ყველა მნიშვნელოვან მოთხოვნებთან.

9.1 შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა სამუშაო ადგილზე

პროექტის განხორციელების ფაზაზე ყველა სამუშაო გეგმა, შრომითი აქტივობები და სამუშაოებზე კონტროლის პროცედურები განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. ქვემოთ მოცემულია ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტები და კონკრეტული ქართული კანონები. ისინი ერთად ქმნიან შრომის ჯანმრთელობის დაცვის განხორციელებისა და უზრუნველყოფის მტკიცე საფუძველს.

ცხრილი 59 ევროკავშირის მნიშვნელოვანი დირექტივებისა და შრომისა და უსაფრთხოების ქართული კანონების ამონარიდი.

კანონმდებლობა და ცვლილების ბოლო თარიღი	სფერო	კონკრეტული მოთხოვნების ამონარიდი
ევროკავშირის დირექტივა 89/391/ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა(EEC)-შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა ''ჩარჩო დირექტივა'' ბოლო ცვლილება: 03/05/2018	სამუშაო ადგილას მუშათა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ზომების დანერგვა;	ჩარჩო დირექტივა შეიცავს დამსაქმებელთა და მომუშავე პირთა ძირითად მოვალეობებს. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომუშავე პირთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა სამსახურთან დაკავშირებულ ყველა ასპექტში და ამ მიზნის მისაღწევად მან არ უნდა დააკისროს მომუშავე პირს ფინანსური გადასახადები. პრევენციის ზოგადი პრინციპები მოცემულია დირექტივაში.

კანონმდებლობა და ცვლილების ბოლო თარიღი	**სფერო**	**კონკრეტული მოთხოვნების ამონარიდი**
ევროკავშირის რეგულაცია 2016/425 პირადი დაცვის აღჭურვილობის შესახებ ბოლო ცვლილება: 25/07/2019	სტანდარტი პირადი დაცვის აღჭურვილობის თვის	ამ რეგულაციის მიზანი არის ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში პირადი დაცვის აღჭურვილობის ზოგადი სტანდარტების უზრუნველყოფა მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით . პირადი დაცვის ყველა აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს რეგულაციას და საფრთხე არ უნდა შეუქმნას როგორც ადამიანებს, ისე პირად საკუთრებას. პირადი დაცვის ყველა აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების იმ მოთხოვნებს, რომლებიც დაზუსტებულ უნდა იქნეს პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობის შესახებ არსებული ''ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის'' საშუალებით.
საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ *19/02/2019*	არეგულირებსდასაქმებული პირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პროცესს სამუშაოს განხორციელების დროს.	დამსაქმებელი ვალდებულია შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოება და უზრუნველყოს დასაქმებული პირებისთვის სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ჩატარება;(მუხლი 5) დამსაქმებელმა, მინისტრის ბრძანების თანახმად, უნდა შეიმუშავოს და განაახლოს რისკების შეფასების დოკუმენტი. (მუხლი 6) დამსაქმებელ პირს, რომელსაც 20 ან ნაკლები თანამშრომელი ჰყავს, შეუძლია თვითონ შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები, იმ შემთხვევაში თუ მას გავლილი აქვს მოცემული კანონით გათვალისწინებული აკრედიტირებული პროგრამა. დამსაქმებელი პირი, რომელსაც 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, ვალდებულია დანიშნოს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
საქართველოს კანონი საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ *08/04/2010*	კანონი ითვალისწინებს, სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ /იურიდიულ პირებს შორის სამართლებრივ	კანონის მიზანია განსაზღვროს პრინციპები და ნორმები საშიში ნივთიერებების გამოყენებისთვის.(მუხლი 3) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება მიიღონ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია საშიში ნივთიერებების გამოყენების შესახებ. (მუხლი 12) საშიში ნივთიერებების შენახვა ნებადართულია მხოლოდ პროექტით გათვალისწინებულ კონკრეტულ საცავებში,

კანონმდებლობა და ცვლილების ბოლო თარიღი	სფერო	კონკრეტული მოთხოვნების ამონარიდი
	ურთიერთკავშირს საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისას.	რომლებიც არ მდებარეობს წყალდაცვით ზონაში.(მუხლი 32) ქიმიური ნივთიერებების შესანახი სივრცე აღჭურვილი უნდა იყოს ვენტილაციით, განათებით, პირველადი სამედიცინო დახმარების მოწყობილობით, პირადი დაცვის აღჭურვილობით და ა.შ(მუხლი 33) საშიში ქიმიური ნივთიერებების შესანახი ნაგებობა უნდა იყოს შემოღობილი და აღიჭურვოს გამაფრთხილებელი ნიშნებით. (მუხლი 35)
საქართველო-დადგენილება 361, *ტექნიკური რეგულაცია მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ* *17/05/2014*	ეს ტექნიკური რეგულაცია ეხება სამშენებლო ტერიტორიაზე განსახორციელებელ სამუშაოებს და განსაზღვრავს უსაფრთხოების წესებს.	უნდა დაინიშნოს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი ინჟინერი; მუშები და ინჟინრები აღჭურვილინი უნდა იყვნენ ჩაფხუტებით და სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით. ყველა სამშენებლო ობიექტზე უნდა იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები. (მუხლი 1) სამშენებლო მოედანი უნდა იქნეს შემოღობილი თუ იგი მდებარეობს დასახლებულ ადგილებში ან საზოგადოებრივი სივრცის მახლობლად. (მუხლი 2) სამშენებლო მოედნებზე ორმოები და თხრილები უნდა იქნეს შემოღობილი უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით. (მუხლი 2) ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული წესით დამზადებული სათადარიგო ნაწილების გამოყენება. (მუხლი 3)

ყველა სამუშაო ფაზაში მოქმედებს პროექტის ფარგლებში არსებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტები, რომლებიც მკაცრად უნდა იქნას დაცული. თითოეული ჯგუფი გარანტირებულად გაივლის სამუშაო პროცესებში სპეციფიური უსაფრთხოების წესების შესახებ სწავლებასა და ინსტრუქტაჟს და უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დამცავი აღჭურვილობით (სამუშაო ფეხსაცმელები, ჩაფხუტები, ხელთათმანები და შესაბამისი აკრედიტირებული სამუშაო იარაღები)
წყალმომარაგებისა და წყალარინების ობიექტების ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფისთვის ადაპტირებული შრომის უსაფრთხოების სისტემების შემუშავება და განხორციელება პროექტის ეკოლოგიური და სოციალური მდგრადობის საფუძველია.

გამოსახულება 23 შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობები პროექტირების ფაზის განმავლობაში



9.2 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა

როგორც პროექტის გუნდის წევრებისა და კონტრაქტორების, ასევე მუნიციპალიტეტების მაცხოვრებელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა პროექტის მნიშვნელოვან პოლიტიკას წარმოადგენს. საპროექტო პერიოდში შემუშავდება შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო პროცესის მართვის სრულყოფილი გეგმა, რომელიც ასევე უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სახელმძღვანელოებისა და სტანდარტების დაცვას წყალმომარაგების /წყალარინების საწარმოების მხრიდან. შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა ეფუძნება რისკების შეფასებას, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს პროექტის სხვადასხვა ფაზაზე სამშენებელო ობიექტზე წარმოშობილ სპეციფიურ პრობლემებს. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა რეგულარულად განახლდება მმართველობითი კვლევების, ხელმძღვანელთა მიერ შეცვლილი პირობების, და პროექტთან დაკავშირებული სხვა ცვლილებების საფუძველზე.
პროექტის მშენებლობის ფაზაში ყველა სამშენებლო აქტივობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მმართველობის გეგმის განხორციელების პროცესს უხელმძღვანელებს კონკრეტული კონტრაქტორი. პროექტის კონსულტანტი რეგულარულად შეამოწმებს კონტრაქტორის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმას, რათა დარწმუნდეს რომ იგი ნამდვილად პასუხობს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სახელმძღვანელოებსა და მიზნებს.

ცხრილი 60 ჯანმრთელობასა და უსაფრთოებასთან დაკავშირებული აქტივობები პროექტის სხვადასხვა ეტაპზე

პროექტის ფაზა	კონსულტანტის მიერ განხორციელებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აქტივობები
პროექტირების პროცესი	მომარაგებისა და სამუშაო კონტრაქტების სატენდერო დოკუმენტების განხილვა სამუშაო პირობების წესებთან და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის წესებთან შესაბამისობის თვალსაზრისით; მენარდეთა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების გადსინჯვა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან და სამუშაო პირობებთან მიმართებით; პროექტის დიზაინის გადასინჯვა მშენებლობის, ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის დროს საჭირო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ; საზოგადოების ჩართვაშრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საზოგადოებრივ საქმიანობებში;
მშენებლობის ფაზა	კონტრაქტორის რისკის შეფასების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საბოლოო გეგმების და კონტრაქტორის მიერ მომზადებული უსაფრთხოდ შესრულების მეთოდების სახელმძღვანელოს მიმოხილვა; სამშენებლო ობიექტის შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის და ასევე სამუშაო პირობების პერიოდული შემოწმება; დახმარების გაწევა მაკორექტირებელი ზომების შემუშავებაში და დაუყოვნებლივი შეტყობინება მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში; ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყოველთვიური შეხვედრა კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებთან; პროექტის დასრულებისას საბოლოო შესაბამისობის შემოწმება და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საბოლოო ანგარიშის წარდგენა; /მოსახლეობის ჩართვა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საზოგადოებრივ საქმიანობებში;
ექსპლუატაციის ფაზა	''რისკის შეფასების'' მომზადება თითოეული საფრთხის შეფასების საფუძველზე. იმ ზომების დაცვა და განხორციელება, რომლებიც ამ რისკების მართვას ემსახურება;

პროექტის ფაზა	კონსულტანტის მიერ განხორციელებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აქტივობები
	ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის კონცეფციის შემუშავება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმის გათვალისწინებით; ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის ყველა ინსტრუქციის კრებულის მიმოხილვა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის განახლებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით;
სისტემის ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის და პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობების შეძენა	ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის, მათ შორის უსაფრთხოებისა და პირადი დაცვის აღჭურვილობის შესყიდვების ტენდერის მომზადება და განხორციელება; სამუშაო პერსონალისთვის სასწავლო კურსის მომზადება და ჩატარება სისტემის ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის აღჭურვილობების სათანადო გამოყენებასა და შენახვაში. შენახვისა და მოვლა-პატრონობის კონცეფციის მომზადება ფასებისა და მოხმარების პირობების გათვალისწინებით, ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის აღჭურვილობის ერთობლივი გამოყენების მიზნით.;

9.3 რისკის შეფასება – სამუშაო ტერიტორიაზე საფრთხეების დადგენა

სამუშაო ტერიტორიაზე საფრთხეების დადგენის მიზნით, აჭარის წყლის ალიანსისა და კომუნალური საწარმოებისთვის შემუშავდება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმის საფრთხეების შეფასების სქემა; 19/02/2019-ით დათარიღებული "საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის " მე –4 პუნქტი განაპირობებს, რომ უპირველეს ყოვლისა, უფლებამოსილმა პირმა უნდა შეაფასოს ასრულებენ თუ არა კომუნალურ საწარმოებში მომუშავე პირები ასრულებენ შესაბამის აქტივობებს სამუშაოს გაზრდილი საფრთხის, მძიმე სამუშაოს, ან სახიფათო და საშიშროების შემცველ სამუშაო გარემოში. მსგავსი საქმიანობა უნდა ეცნობოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მყოფ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და დარეგისტრირებულ იქნეს ზემოთ ხსენებული კანონის იურიდიული ნორმების თანახმად.

საფრთხის შეფასება განხორციელდება ადგილობრივ ხელისუფლებასა და საწარმოებთან ახლო თანამშრომლობის საფუძველზე და ამ პროცესში თითოეული სამუშაო აქტივობა შეფასდება შემდგომი კრიტერიუმების თანახმად:

1. წყლის უსაფრთხოებაზე მოქმედი შესაძლო საშიშროებების დადგენა(საფრთხეები/საფრთხის შემცვლელი მოვლენები), რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წყლის ხარისხზე, მომუშავე პირებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე;
2. თითოეული საფრთხის მნიშვნელობის შესაბამისი კლასიფიცირება(პრიორიტეტის მინიჭება)
3. რისკების მართვისთვის არსებული მაკონტროლებელი ზომების ეფექტურობის შეფასება;

ცხრილი 61 საფრთხეების აღმოჩენა წყალმომარაგებისა და წყალარინების ჩაშვებისთვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეში.

სამუშაო ტერიტორია	საფრთზე	აუცილებელი ზომები
წყალშემკრები აუზები	მექანიკური, ქიმიური, და ბიობაქტერიოლოგიური მინარევების ჩაშვება; წყალდიდობები; კლიმატური და სეზონური ცვლილება (მაგალითად, ძლიაერი წვიმები)	წყლის დამცავი ტერიტორიების შექმნა და კონტროლი; პერიოდულად ქიმიური და ბიობაქტერიოლოგიური ანალიზების ჩატარება; წყლის სათავე ნაგებობის სამშენებლო დიზაინი მიზნად ისახავს მინარევების ფიზიკური შეღწევადობის თავიდან აცილებას; საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ადამიანის საქმიანობით წყლის ხარისხზე ზეგავლენის საკითხში.
წყლის გამწმენდი ნაგებობა	შეუსაბამო ან არასრული გაწმენდითი პროცედურები, მათ შორის დეზინფექციაც;	აპრობირებული წყლის გამწმენდი ქიმიური ნივთიერებებისა და მასალების გამოყენება; სადეზინფექციო საშუალებებთან მუშაობის ინსტრუქცია, სწავლება და კონტროლი. უნებართვო წვდომისა თავიდან აცილების უზრუნველყოფა
წყლის რეზერვუარები	ღრმა და დახურულ სივრცეებში მუშაობა; ბაქტერიოლოგიური დაბინძურება; სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება და შენახვა;	შრომის უსაფრთხოების წესების სწავლება და შემოწმება ღრმა და დახურულ სივრცეებში მუშაობისას- სტანდარტული საექსპლუატაციო

სამუშაო ტერიტორია	საფრთხე	აუცილებელი ზომები
		პროცედურების შემუშავება და განხორციელება; პერიოდულად ბიობაქტეროლოგიური ანალიზების ჩატარება; სადეზინფექციო საშუალებებთან მუშაობის ინსტრუქცია, სწავლება და კონტროლი.
წყლის გამანაწილებელი ქსელი	ფიზიკური საშიშროებები მილის დაგებისა და შეკეთებისას; სამშენებლო მანქანა-დანადგარებისა და სამუშაო იარაღების გამოყენება; საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული საშიშროებების წარმოქმნა საზოგადოებრივ ადგილებში მუშაობისას;	სამშენებლო საქმიანობისას საკუთარი პერსონალის ზედამხედველობა და მონიტორინგი; სამშენებლო მანქანა-დანადგარებისა და სამუშაო იარაღების გამოყენებაში; საკუთარი პერსონალის სწავლება და ინსტრუქტაჟი.
წყალარინების ქსელი	ასანიზაციისა და ჭავლის მანქანების და სპეციფიური იარაღების მოხმარება; ღრმა და დახურულ სივრცეებში მუშაობა; საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული საფრთხეების წარმოქმნა საზოგადოებრივ სივრცეებში მუშაობის შემთხვევაში.	ასანიზაციისა და ჭავლის მანქანების გამოყენების გაცნობა და სწავლება; შრომის უსაფრთხოების წესების სწავლება და შემოწმება ღრმა და დახურულ სივრცეებში მუშაობისას- სტანდარტული საექსპლუატაციო პროცედურების შემუშავება და განხორციელება; პირადი დაცვის აღჭურვილობის მიწოდება და მისი მოხმარების სწავლება.
წყალარინების გამწმენდი ნაგებობები	ფიზიკური და ჰიგიენური საფრთხეები გაწმენდითი პროცესის დროს;	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ყველა

სამუშაო ტერიტორია	საფრთხე	აუცილებელი ზომები
		რეგულაციის გამოყენება და კონტროლი
სეპტიკური ავზები	ღრმა და დახურულ სივრცეებში მუშაობა მოვლა-პატრონობის პერიოდში.	სეპტიკური ავზის დაცლისა და უზრუნველყოფითი სამუშაოებისთვის სტანდარტული საექსპლუატაციო პროცედურების დანერგვა და განხორციელება.
გადაუდებელი სიტუაციების მართვა	ისეთი მოვლენების წარმოქმნა, რომლებიც საფრთხეში ჩააგდებს ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; ისეთი მოვლენების წარმოქმნა, რომლებიც საფრთხეს უქმნის წყლის სტრუქტურულ შემადგენლობას და წყალარინების ობიექტებს;;	გადაუდებელ სიტუაციებში სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება, მომუშავე პერსონალის სწავლება და ადგილობრივი ჯანდაცვის დეპარტამენტთან თანამშრომობა;

10. შესაძლებლობების განვითარების ზომები

10.1 აჭარის წყლის ალიანსი (AWA)

აჭარის წყლის ალიანსის შიდა პროცედურები წინასწარ არის განსაზღვრული კომპანიის, როგორც სააქციო საზოგადოების სტრუქტურით. შესაბამისად, აჭარის წყლის ალიანსი უნდა მოერგოს სააქციო საზოგადოების შესაბამის პროცედურებს. ეს მოიცავს სააქციო საზოგადოების ყველა ორგანოს (მეწილეთა გენერალური ასამბლეა, მმართველი დირექტორატი, ზედამხედველობითი საბჭო) პასუხისმგებლობებსა და როლს. კონსულტანტის დახმარებით აჭარის წყლის ალიანსმა ჩამოაყალიბა პროცედურები, როგორიცაა მეწილეთა რეზოლუციები, წლიური სამოქმედო გეგმები, კორპორატიული დიზაინის პრინციპები, ბლოკნოტები და ლოგო. აღნიშნულის გაგრძელება და გავრცობა მოხდება ლოტი 2 კონსულტანტის საშუალებით პროგრამის განმავლობაში.

პროგრამის პროცედურები და პასის როლი ძირითადად განსაზღვრულია KfW ბანკის გაიდლაინებითა და განსაკუთრებული ხელშეკრულებით. შესაბამისი პროცედურები და პროცესები ხორციელდება აჭარის წყლის ალიანსის მიერ, რომელსაც დახმარებას კონსულტანტის გუნდი უწევს. აჭარის წყლის ალიანსის ძირითადი პროცედურების ორგანიზება ხდება აჭარის წყლის ალიანსის მართვის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში, რომელიც ორეგანიზებას გაუწევს აჭარის წყლის ალიანსის შიდა და გარე პროცედურებსა და პროცესებს.

10.1.1 აჭარის წყლის ალიანსის (AWA) ადამიანური რესურსების განცითარება

აჭარის წყლის ალიანსის (AWA) ორგანიზაციული სტრუქტურა და ადამიანური რესურსების პოტენციალი მნიშვნელოვნად განვითარდა აჭარის წყლის ალიანსის (AWA) 2017 წელს დაარსების შემდგომ. დასაწყისში გათვალისწინებული იყო ორგანიზაციის ადამიანური რესურსების გაძლიერება მხოლოდ ორი ინჟინრის და ერთი ეკონომისტის დაქირავებით. მეწილეების გადაწყვეტილებით, აჭარის წყლის ალიანსი (AWA) თავის ადამიანურ რესურსებს გააძლიერებს 2 კოორდინატორ-ოფიცრით თითოეული მუნიპალიტეტისთვის. შესაბამისი პროცესი განხორციელდება 2020 წელს.

